ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“ +„რიშელიე“ 8 ლარი 30 მაისიდან 13 ივნისამდე




პარასკევი, 3 ივნისი, 2011 №130 (5511) ფასი: 30 თეთრი

# ოპოზიციას ვურჩევ, ნუ „გაპადიშდებიან“!



გვ.4

## საქართველოში 37 წელია

გვ.2

ალასანია სხვა პლანეტიდან არის მოფრენილი




გვ.2



## რა დროს საარჩევნო კოდექსია

### კუდ-მა ტერორისტული აქტის მცდელობაში ექვმიტანილები დააკავა

კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ტერორისტული აქტის განხორციელების მორიგი მცდელობა აღკვეთეს, — ამის შესახებ შსს იუწყება.

შსს-ს ცნობით, სამართალდამცველებმა სამეგრელოს რეგიონში დააკავეს აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, გალის რაიონში მცხოვრები აბესალომ ჩხეტია და თამილა ბენია. დაკავებულებს თან ჰქონდათ ასაფეთქებელი ნივთიერება, რომელიც პოლიციამ ამოიღო და გაააუვნებელყო წყლის ჭავლის სპეციალური დანადგარით. სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებული პირების ჩვენებით ირკვევა, რომ მათ ტერორისტული აქტის განხორციელება აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფმა რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომლებმა იგორ ვლასოვმა და სერგეი კუზმინმა დაუკვეთეს. კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი აგრძელებს ძიებას საქმესთან დაკავშირებით, დამატებითი დეტალების დადგენის მიზნით.

*ინტერპრესნიუსი*



გვ.3

## რუსეთი აფხაზეთის აღიარებაში ფულს იხდის

### აფხაზეთის მომავალი პრეზიდენტი გუდაუთის დაჯგუფებიდან იქნება

გვ.6

რატომ აკრიტიკებდნენ აფხაზები ბაღაფშს



## მაგთიკომმა ერთიანი საგანმანათლებლო ქსელი შექმნა

საგანმანათლებლო ქსელმა პირველი ურთულესი გამოცდა წარმატებით ჩააბარა



გვ.5

## *ილია II:* ბოროტებას მხოლოდ სიყვარული კურნავს

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

**5** მთავრობამ საპატრიარქოს უძრავი ქონება დაუმტკიცა

**9** ფიფას კვლავ ბლატერი უთავკაცებს

**5** საქართველო ევროკავშირის ქვეყნებიდან ბოსტნეულის ექსპორტის აკრძალვას არ აპირებს

**7** დასავლეთს სააკაშვილის რეჟიმის შეცვლა არ სურს

# რა დროს საარჩევნო კოდექსია

## რატომ არ გადადის აქტიურ მოქმედებებზე ოპოზიციური რვიანი

ნათია ხურცილავა

**დღეს ოპოზიციური პოლიტიკური სპექტრი ორ ფრთად არის დაყოფილი — რევოლუციონერებად და მოლაპარაკებების მომხრეებად. ფაქტია, რევოლუციურმა იდეამ კრახი განიცადა.**
**ახლა ჯერი მოლაპარაკებების ანუ საარჩევნო გარემოს გაჯანსაღების მომხრე პოლიტიკურ „რვიანზეა". თუმცა, ფაქტია, რომ პროცესი ჩიხშია შესული და მოლაპარაკებები გაყინულია.**



„რვიანის" განცხადებით, მათ გზას ალტერნატივა არა აქვს. ამის თამამად განცხადების საშუალება მათ რევოლუციონერებმა და ხელისუფლებამ ერთდროულად მისცეს. თუმცა, კვლავ პასუხგაუცემელია კითხვა: როგორ აპირებს „რვიანი" წარმატების მოპოვებას?

არაერთგზის ვადების გადაწევის შემდეგ აშკარაა, რომ ოპოზიციურ „რვიანს" მოქმედებებში კორექტივების შეტანა მოუწევს.

არ არის გამორიცხული, კორექტივები სწორედ მასშტაბური საპროტესტო აქციები იყოს, მრავალათასიანი პროტესტი, რომელსაც კონკრეტული მთხოვნა ექნება, მით უფრო მაშინ, როდესაც ხელისუფლებისთვის ძალა ხალხის რაოდენობის დემონსტრირებაზე გადის.

გამოვა თუ არა მრავალი ათასი ადამიანი ქუჩაში სწორედ ამ მოთხოვნით, შემდეგ გაითვალისწინებს თუ არა ამას ხელისუფლება და რამდენად ჰპოვებს ეს ასახვას საარჩევნო კანონში, ამას დრო გვიჩვენებს.

ასევე მნიშვნელოვანია, მთელ ამ პროცესში როგორი იქნება საერთაშორისო საზოგადოების განწყობა.

ამ საკითხებზე „ახალი მემარჯვენეების" წარმომადგენელ **მამუკა კაციტაძეს** ვესაუბრეთ.

— ***ბატონო მამუკა, „რვიანს" ხელისუფლებისთვის 31 მაისამდე ჰქონდა ვადა მიცემული. რა მოტივით მოხდა ვადის გაგრძელება?***

— მას შემდეგ, რაც 30 მარტს ხელისუფლების გარკვეული მოქმედებებით თუ ხრიკებით მოლაპარაკებები შეწყდა და ჩიხში შევიდა, მაშინ შესაძლებლად ჩავთვალეთ, თუ ხელისუფლებისთვის ის ფორმატი მიუღებელი იყო, ინდივიდუალური მოლაპარაკებების ფორმატში გაგრძელებულიყო ეს პროცესი. მარტის ბოლოდან დღემდე ინტენსიურად იყო საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან მოლოდინები, რომ მოლაპარაკება უნდა გაგრძელდეს და უნდა დასრულდეს აუცილებლად შედეგით და ამან უნდა უზრუნველყოს სამართლიანი საარჩევნო გარემოს შეცვლა. შეთანხმებული ვადების გადახედვა არც ჩვენი და არც ხელისუფლების მხრიდან არ მომხდარა. მაისის დასაწყისიდან, იმის შემდეგ, რაც 2 მაისს გახმოვანდა გარკვეული თარიღები სახალხო აქტივობებისა, რევოლუციების დაანონსებისა, მოლაპარაკებების საკითხი რალაცნაირად მეორეხარისხოვნად დაფიქსირდა. ხელისუფლებამაც, საზოგადოებამაც და პოლიტიკური სპექტრის ერთმა ნაწილმაც მოლოდინები შეიქმნა მაისის ბოლოსთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, მოლოდინები ყველაზე ცუდი შედეგით დასრულდა, იმ შედეგით, რომელსაც 26 მაისის ღამე ჰქვია. ჩვენ ვთქვით, რომ როდესაც არის მსხვერპლი, არიან დაკავებულები, დაკარგულები, მას შემდეგ, რაც პოლიტიკური მდგომარეობა შეიცვალა, საუბარი იმაზე, რომ ყველაფერი დამთავრდა 1 ივნისს, პოლიტიკურად არ არის გამართლებული. ახალი პოლიტიკური მოცემულობიდან გამომდინარე, ეს არ არის სწორი. ამ დღეებმა და 26 მაისის ღამემ კიდევ ერთხელ დაგვანახვა ჩვენ, ვფიქრობ, საზოგადოებასაც, მათ შორის, საერთაშორისო საზოგადოებას, რომ იმ გზას, რომელსაც „რვიანი" დაადგა, ვგულისხმობ მოლაპარაკებებს, საარჩევნო გარემოს შეცვლას ალტერნატივა არა აქვს. უპასუხისმგებლო ქმედებები, გაუთვლელი ქმედებები, მოუმზადებელი ქმედებები იმ ტიპის აგრესორ ხელისუფლებასთან, როგორიც საქართველოს ჰყავს, არასწორია. არასწორია ამ ტიპის ხელისუფლებასთან დაპირისპირება, ერთი მხრივ, საქართველოში მყარი საყრდენის გარეშე (საქართველოს მოსახლეობა) და, მეორე მხრივ, მყარი საერთაშორისო პარტნიორის გარეშე.

— ***თქვენ საუბრობთ პოლიტიკურ მოცემულობაზე, რომელიც 26 მაისის შემდეგ დადგა. თუმცა, ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ უსასრულოდ გაგრძელდეს მოლოდინის რეჟიმი?***

— მანამდე, სანამ არსებობს დროის რესურსი. ბრძოლა ერთმნიშვნელოვნად უნდა გაგრძელდეს, სანამ არსებობს შეთანხმების მიღწევის რესურსი. ყველა მოთხოვნა ქვეყნის შიგნითაც და ქვეყნის გარეთაც ხელისუფლების მიმართ ასეთია: ერთი წელი მაინც უნდა გააჩნდეს ამომრჩეველსაც და პოლიტიკურ სუბიექტებსაც სტაბილური საარჩევნო გარემო იმისთვის, რომ არჩევნებისთვის მოემზადოს. ამიტომ გარკვეული დროის რესურსი, თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ, არსებობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მაისის ბოლო ოქტომბერ-ნოემბერზეა გადანაცვლებული. არც ისეა, რომ ივნის-ივლისში წერტილი დაესვას საკითხს, როდესაც არსებობს შეთანხმების გარკვეული რესურსი. უახლოეს დღეებში არაერთხელ დაფიქსირდა ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ, მართალია, ზეპირ განცხადებებში, მაგრამ მაინც დაფიქსირდა ის, რომ შეთანხმებას უნდა მივაღწიოთ, რომ მიიღწევა, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვებია ჯერჯერობით. ამიტომ „რვიანის" მხრიდან ხისტი ქმედება, რომ საბოლოოდ დაკეტილია ეს გზა და სხვა იწყება, რომ მოლაპარაკებები უგულებელყოფილია, პოლიტიკურადაც წამგებიანია, პერსპექტივითაც უპერსპექტივოა. ყველაზე მთავარი ის არის, რომ ერთმა ადამიანმა მაინც თქვას, სხვა რა გზა არსებობს, თუ არა ეს გზა, პოლიტიკური აქტივობებით ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ, საარჩევნო გარემოს გაჯანსაღებით და შემდეგ არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლაზე ვიმუშაოთ, ვიმეორებ, სანამ არსებობს თუნდაც თეორიული შანსი შეათანხმების მიღწევისა და დროის რაციონალური საშუალება.

— ***რესურსებზე საუბრობთ, მაგრამ რა გარანტია გაქვთ...***

— სიტყვა „გარანტიას" ნუ ახსენებთ, ძალიან გთხოვთ.

— ***როდესაც დარწმუნებით საუბრობთ რესურსზე?..***

— მე შანსებზე გელაპარაკებით, თქვენ — გარანტიებზე. გარანტია პოლიტიკაში გამორიცხულია, მით უმეტეს — ასეთი შეურაცხადი ხელისუფლების პირობებში.

— ***ანუ არ არსებობს...***

— არის შანსი, რომ ქართველი და საერთაშორისო საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით ანუ ქვეყნის შიგნით მყარი საყრდენით, რაც, სამწუხაროდ, ბოლო პოლიტიკურ პროცესებს არასაკმარისად გააჩნდა და მყარი პარტნიორობით ქვეყნის გარედან, ხელისუფლება ვაიძულოთ, კონკრეტულ დათმობებზე წამოვიდეს და შედგეს შეთანხმება.

— ***როგორ? თუ შეიძლება, დააკონკრეტეთ!***

— გეუბნებით — ბრძოლით. ისევ უნდა გაგრძელდეს საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ზეწოლის ტიპის განცხადებები, რაც გააკეთა კლინტონმა, აპატურაიმ, ნატოს მინისტერიალმა, ევროსაბჭოს ასამბლეამ. მეორე მხრივ, აუცილებელია, ქართველი საზოგადოების განწყობა დაფიქსირდეს ამასთან დაკავშირებით.

— ***როგორ უნდა დაფიქსირდეს — აქციებით?***

— ოპოზიციურ „რვიანს" გარკვეული ვარიანტები, პროექტები გვაქვს ჩვენი მოქმედებების გაგრძელების, გააქტიურების იმისთვის, რომ მეტი ეფექტი მივიღოთ თანამდგომი და გარეშე მხარდამჭერი ძალის თვალსაზრისით. შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობის გამო საჭიროდ არ ჩავთვალეთ, ისევ 1 ივნისითა და 31 მაისით გვემუსირა. სამართლებრივ და პოლიტიკურ მხარეს თავი რომ დავანებოთ, მორალურადაც ძალიან ცუდი მდგომარეობაა. ადამიანები დაკარგულები არიან, ჯერ კიდევ დაკრძალულები არ არიან, საპყრობილეებში სხედან და ამ დროს რომ კოდექსზე ვისაუბროთ, ძნელია. რამდენიმე დღეში ეს სიტუაცია მეტნაკლებად ჩაწყნარდება. მართალია, ამ უბედურებას ვერასდროს ვერავინ დაივიწყებს, მაგრამ რაღაცნაირად გადაივლის და უახლოეს დღეებში ჩვენ ჩვენს სათქმელს ვიტყვით, თუ მანამდე ხელისუფლებამ კონკრეტული ინიციატივა არ შემოგვთავაზა.

— ***ბატონო მამუკა, თუ შეიძლება, გვითხარით, რა უნდა თქვათ?***

— როგორც გითხარით, არსებობს რამდენიმე ვარიანტი, ვერსია ჩვენი მომავალი მოქმედებისა.

— ***კონკრეტულად?***

— ვერ გეტყვით, რადგან კონკრეტულ გადაწყვეტილებაზე წერტილი არ გვაქვს დასმული, თუმცა, ჩამოყალიბებული მოსაზრებები გვაქვს. „რვიანში" შემავალი პარტნიორების ურთიერთპასუხისმგებლობაც არსებობს. ახლა მე რომ რაღაც პოზიცია გავაჟღერო, რომელზეც არ არის საბოლოო შეთანხმება, სწორი არ იქნება, თანაც ამ რეალობაში არ გვინდა განსაკუთრებული დინამიზმი და სიჩქარე. რამდენიმე დღეში არსებული მდგომარეობა, თუ შეიძლება ითქვას, მოშუშდება, ასევე ჩვენი მხრიდანაც წერტილი დაესმება გზების შერჩევასა და გადაწყვეტილებების მიღებას, ხელისუფლებასაც აქვს რამდენიმე დღე ფიქრისთვის. ამდენად, ბუნებრივია, ახალი მოცემულობა შეიქმნება. ამ დღეებმა კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ სხვა გზით სიარული უაზრობაა ქართულ პოლიტიკაში, მით უფრო ამ ხელისუფლების პირობებში. რაც შეეხება რაციონალურ დროს, ეს არსებობს და შანსიც არის, თუ საკმარისი ძალისხმევა იქნება ქართველი და საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან.

— ***ირაკლი ალასანიამ განაცხადა მრავალათასიან აქციებზე...***

— არაერთგზის მითქვამს, რომ პოლიტიკური ბრძოლის არსენალიდან ე.წ. ქუჩის აქციები, ძალის დემონსტრირება არავის ამოუღია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, მიხვიდე და დაიყვირო — „გადადექი!" მერე ან უნდა შევარდე, ან სისხლი დაიღვაროს. 20 წელმა ამის მეტი არაფერი გვაჩვენა. მთელი მსოფლიოს მასშტაბით ტარდება აქციები, რომლის მოთხოვნაც კონკრეტულია, საკითხის აქტუალიზაცია, ძალის დემონსტრირება ხდება. როდესაც ჩავთვლით, რომ მხარდაჭერა იქნება ისეთი, რომელიც არ იქნება გაკოტრებული და კომიკური და აქცია კონკრეტულ შედეგს დააყენებს, ეს იქნება.

## ალასანია სხვა პლანეტიდან არის მოფრენილი

ქეთი ხომერიკი

*26 მაისს სპეცოპერაციის შედეგად ყინწვისის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის 24 წევრი დააკავეს, რომელთაც ბრალად ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხში მონაწილეობის ხელშეწყობა ედებათ. 30 მაისს კი შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოძრაობის ლიდერ ნიკა გოგუაძისა და რამდენიმე წევრის აღიარებითი ჩვენებები გამოაქვეყნა. მერაბიშვილის უწყებამ გოგუაძის სატელეფონო საუბრები მოსკოვში თემურ ხაჩიშვილთან, ოლეგ კეშელავასთან, პაატა მოდებაძესთან და თბილისში შალვა ხაჭაპურიძესთან გაავრცელა. ფარულ ჩანაწერში ნათლად ჩანს, თუ როგორ ეუბნება გოგუაძე ხაჭაპურიძეს, ჩვენს ძმას გადაურეკეო. ჩვენს ძმაში ხაჩიშვილს გულისხმობს და ხაჩიშვილის ნომერს აძლევს. რა კავშირი აქვს ხაჭაპურიძეს გოგუაძე-ხაჩიშვილის დუეტთან? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა" „კანონი და სამართლიანობის" ლიდერს, ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძეს ექსკლუზიურად ესაუბრა.*

# საქართველოში 37 წელია

**შალვა ხაჭაპურიძე:**

— ეს ჩანაწერი არის პროვოკაცია. ეს ადამიანი, ნიკა გოგუაძე, 22 თუ 23 მაისს, ზუსტად არ მახსოვს რიცხვი, „სახალხო კრების" აქციაზე შემხვდა. ვიცი, გელბახიანის ადვოკატი ბრძანდებით და როგორ არის ბატონი ვალერი, რა ხდება მის საქმეზეო, მკითხა, რა ვიცი, ნორმალურად არის-მეთქი, ვუპასუხე. მოგეხსენებათ, ვალერი გელბახიანის ადვოკატი ვარ, მისი საქმე კი სტრასბურგის სასამართლოშია გასაჩივრებული.

— ***გოგუაძე, როგორც გელბახიანის მეგობარი, ისე გაგეცნოთ. მანამდე არ იცნობდით ამ პიროვნებას?***

— არა, როგორც გელბახიანის მეგობარი, ისე არ გამცნობია. უბრალოდ, მოვიდა, გამარჯობაო და გამეცნო. აქციაზე ასეთი ძალიან ბევრი შემთხვევა ყოფილა, მოდიოდა ხალხი, გამარჯობას მეუბნებოდა, როგორ ხართ, ბატონო შალვაო და მეცნობოდნენ. შემდეგ, სხვების მსგავსად, ამ ადამიანმაც ტელეფონის ნომერი მთხოვა. აქციაზე ბევრი ადამიანი მოდიოდა და მთხოვდა ტელეფონის ნომერს, არა მარტო ამ აქციაზე, ყველა აქციაზე, რომელზეც ოდესმე ვყოფილვარ. საერთოდ ეგეთი წესია, მოდის ადამიანი და ტელეფონის ნომერს გართმევს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც რომელიმე სფეროში ცნობილი პიროვნება ხარ. შემდეგ გავიდა ორი დღე და დილით მეუღლე მეუბნება, ვიღაც გოგუაძე რეკავსო. ვინ გოგუაძე-მეთქი, ვკითხე დიანას, ვერ გავიხსენე, რადგან ამ პიროვნების გვარი პირველად ტელევიზიით გავიგე, მისი გვარი არ ვიცოდი. გამარჯობათო, გაგიმარჯოს-მეთქი და ჩვენს ბიჭებს უნდათ თქვენთან საუბარიო, დაახლოებით ასეთი რამ მითხრა, თუმცა, ვერც ის გავიგე, ვინ ჩვენს ბიჭებს, ჩვენს ბიჭებში ვის გულისხმობდა. სანამ მე დამელაპარაკებოდა, მანამდე დიანას ესაუბრა, გამარჯობათო, მოიკითხა, თუმცა შსს-ს ეს ამოჭრილი აქვს, არ გაუშვეს, ანუ ჩანაწერი დამონტაჟებულია. ჩვენს ბიჭებსო და ვის-მეთქი, ჩვენს ძმებსო და ხო, კარგი-მეთქი. ვინ იყო, ვის ვესაუბრებოდი, საერთოდ, ვერ გავიხსენე, ასე ვთქვათ, ვერ აღვიდგინე მისი პიროვნება. ტელეფონის ნომერი-მეთქი და, რომ მომცა ნომერი, აი, მაშინ მივხვდი, რომ რუსეთის ტელეფონის ნომერს მაძლევდა. რუსეთში კი ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ვალერი გელბახიანის გარდა არავინ მყავს. გელბახიანთანაც კავშირი თავისი საქმიდან გამომდინარე მაქვს, მაგიტომ მირეკავს ხოლმე და



გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# რუსეთი აფხაზეთის აღიარებაში ფულს იხდის

ნანა მიშელაშვილი

**აფხაზეთში დე-ფაქტო პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშის დაკრძალვაზე დასასწრებად თურქეთის დელეგაცია ჩავიდა. სააგენტო „აპსნი პრესის" ინფორმაციით, დელეგაციას თურქეთის პრემიერის ოფიციალური წარმომადგენელი, პარლამენტის დეპუტატი არბა ხელმძღვანელობდა.**

საქართველოს პარლამენტის წევრები განმარტავენ, რომ ეს არ არის თურქეთის ოფიციალური დელეგაცია და თურქეთში არის გარკვეული ჯგუფები, რომლებსაც აფხაზეთთან პირდაპირი კონტაქტი უნდათ, კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე.

პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილი აცხადებს, რომ თურქეთი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მაქსიმალურად ითვალისწინებს ჩვენს ინტერესებს.

აფხაზეთში დე-ფაქტო პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშის დაკრძალვაზე რუსეთის პრემიერი ვლადიმერ პუტინი ჩავიდა. დე-ფაქტო პრემიერთან სერგეი შამბასთან შეხვედრაზე პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთმა, შესაძლოა, აფხაზეთისთვის დაფინანსების გაზრდის შესაძლებლობა განიხილოს.

რაც შეეხება რუსულ დელეგაციას, დავით დარჩიაშვილს რუსეთის დელეგაციისგან საერთაშორისო ნორმებისა და ქართული კანონმდებლობის დარღვევა არ უკვირს.

„ახალი თაობა" **დავით დარჩიაშვილს** ესაუბრა.

***— აფხაზეთში დე-ფაქტო პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშის დაკრძალვაზე დასასწრებად თურქეთის დელეგაცია ჩავიდა. რას იტყვით ამაზე?***

— ეს არ არის ოფიციალური დელეგაცია, უბრალოდ, ამ დელეგაციაში შესაძლოა იყოს ის, ვისაც საჯარო თანამდებობა უკავია. დეტალები ჯერ არ ვიცი. საერთოდ, ძველი რომაელები ამბობდნენ: გარდაცვლილზე ან კარგი უნდა თქვა, ან არაფერიო. ახლა არ მინდა ამაზე საუბარი. თურქეთში არიაგ გარკვეული ჯგუფები, რომლებსაც აფხაზეთთან პირდაპირი კონტაქტი უნდათ, პირველ რიგში, კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე. ნაწილობრივ ეს არის აფხაზური დიასპორა. ამის შესახებ ზოგჯერ მოლაპარაკებებში ისმევა საკითხი, რომ ეს არ უნდა ხდებოდეს საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევით, რაც თურქეთის ხელისუფლებას ესმის. თურქეთი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მაქსიმალურად ითვალისწინებს ჩვენს ინტერესებს.



***— რაც შეეხება რუსეთის დელეგაციის წარმომადგენლებს, რომლებიც ასევე ჩავიდნენ აფხაზეთში?..***

— რუსეთის დელეგაციისგან საერთაშორისო ნორმებისა და ქართული კანონმდებლობის დარღვევა გასაკვირი ნამდვილად არ არის. ამას წერტილი დაესმევა, მაგრამ ამას სჭირდება ინტენსიური შრომა, რაც მიმდინარეობს.

***— ვანუატუსთან დაკავშირებით ჯერ დეტალური ინფორმაცია არ არსებობს, აღიარა თუ არა აფხაზეთის დამოუკიდებლობა, თუმცა, საუბარია იმაზე, რომ შესაძლოა რამდენიმე ჯუჯა სახელმწიფომ აღიაროს აფხაზეთის დამოუკიდებლობა. რამდენად არის მოსალოდნელი აღიარების პოლიტიკის გაგრძელება?***

— რუსეთი ამას ძალიან ცდილობს, მაგრამ საერთაშორისო სისტემის სოლიდურ მოთამაშეებთან არაფერი გამოსდის. სამყარო ძალიან ჭრელია: არის დემოკრატიული სახელმწიფოები გაერთიანებული საერთაშორისო სამართლით მოქმედ ორგანიზაციებში: ეუთო, ნატო, ევროკავშირი, არის ძლიერი მსოფლიო დონის სახელმწიფოების ლიდერების პოზიცია, ეს არის საქართველოსთვის პარტნიორული სამყარო. არის ქვეყნები, რომელთაც საერთაშორისო თანამეგობრობა იზოლაციაში აქცევს, იმიტომ რომ ოდიოზური მმართველები არიან, მაგალითად, ლიბია და სხვა. არიან ისტორიული ვითარების უნიკალურობით წარმოქმნილი საერთაშორისო სამართლის სუბიექტები, რომლებიც არ თამაშობენ წამყვან როლს. სწორედ აქ ცდილობს რუსეთი, რაღაცნაირად პოზიცია დაიმკვიდროს, რადგან ამ სახელმწიფოების

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# საქართველოში 37 წელია

დასაწყისი მე-2 გვერდზე




რუსეთში მის გარდა არავისთან მაქვს კავშირი. ვიფიქრე, ალბათ, ვალერის ვილაც ახლობელია-მეთქი, მაგრამ აღარ გადამირეკავს. შემდეგ ვისაუზმე და წავედი ქალაქში. რომ გადამერეკა, ბუნებრივია, ეს ჩანაწერიც ექნებოდათ.

***— და გოგუაძე მას შემდეგ აღარ შეგხმიანებიათ. მისი ზარი უცნაურად არ გეჩვენათ?***

— არა, აღარ შემხმიანებია. თუ არ ვცდები, 26 მაისს, დილას დამირეკა და, მგონი, როდესაც დარეკა, უკვე დაპატიმრებული იყო. ხმები მესმოდა, ვილაც ეუბნებოდა, ახლა ეს უთხარი, ახლა, ესო, მაგრამ იმ წუთებში, სიმართლე გითხრათ, ეს არ გამიანალიზებია და ახლაც, მაპატიეთ, ეს საკითხი ნაკლებად მაღელვებს.

***— თქვენი აზრით, ამ საქმეში თქვენი გარევა ხელისუფლების სურვილი იყო?***

— რა თქმა უნდა, ამ საქმეში ჩემი გარევა ხელისუფლებას სურდა. ჯერ რა აჯანყება ეს არის, ხელისუფლება ყვირის, აჯანყებააო, თორემ ამის სხვა მტკიცებულებები სად არის? ერთი ბოთლი არ უსვრია არავის, ერთი ტყვია არ გავარდნილა, ერთი იარაღიანი კაცი არ დაუჭერიათ და მსგავსი არაფერი ყოფილა ხომ. და ახლა, ეს ადამიანი, გოგუაძე, თუ თვალებდასისხლიანებული იტყვის რამეს, ვის გაუკვირდება ან ვინ დაიჯერებს მის ნათქვამს. ეს რეჟიმი უკვე იმასაც აღარ ერიდება, რომ ჩვენებებს ნაცემი კაცი იძლევა და ამას საზოგადოებას ღიად ანახვებს.

***— თქვენ თვლით, რომ გოგუაძემ ზეწოლას ვერ გაუძლო და ძალოვნებს აღიარებითი ჩვენება ამიტომ მისცა? ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობა ბიწაძესთან ერთად ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხების მოწყობას არ გეგმავდა?***

— რას ნიშნავს, მე ვთვლი? ტელევიზიით არ ჩანს, რომ ნაცემია, საზოგადოება ვერ ხედავს ამას, თუ ეს ადამიანი დაეცა და თვალი კიბეზე ჩამოარტყა? მე, არა მგონია, რომ ეს ადამიანები საერთოდაც, ყინწვისში იყვნენ დაპატიმრებულნი, რადგან ერთ-ერთი პიროვნება, რომელიც ჩვენებას იძლევა, ხელისუფლების ცნობილი „ნასედკაა". მისი სახელისა და გვარის დასახელება არ მინდა. ვიმეორებ, ერთ-ერთი დაკავებული, რომელიც აღიარებით ჩვენებას იძლევა, ცნობილი „ნასედკაა" და ხელისუფლების კაცია. ამ ადამიანმა თავის დროზე ჩემი პარტიიდან გარიცხვა გადაწყვიტა, რათა ჩემი პარტიის სახელით ჰააგიდან გამოეტანა სარჩელი. ხელისუფლებამ ჩემი ამ საქმესთან მიწებება ერთი მომენტის გამო გადაწყვიტა. ხელისუფლებას სურს ჩემი, როგორც ჰააგაში გაგზავნილი სარჩელის ავტორის, დისკრედიტაცია მოახდინოს.

***— და ადამიანი, რომელსაც ხელისუფლების ცნობილი „ნასედკა" უწოდეთ, ამ მოძრაობაში შეგზავნილი იყო? რის საფუძველზე აცხადებთ, რომ ეს ადამიანი ხელისუფლების კაცია?***

— მე ისიც კი არ ვიცი, რა მოძრაობაა ეს საერთოდ. მისი არსებობის შესახებ არც გამიგია. დიახ, ეს კაცი შეგზავნილი იყო ამ მოძრაობაში, რადგან რამდენიმე დღით ადრე ტელევიზიით შევიტყვე, რომ ეს ადამიანი დააკავეს, შემდეგ ის აქციაზე გამოცხადდა, ანუ გამოუშვეს და თურმე ცეცხლსასროლი იარაღის ტარების ნებართვა ჩამოართვეს და ამის შემდეგ ტელევიზიით ვხედავ, რომ ის კვლავ დააკავეს. ერთ კვირაში რამდენჯერმე დაიჭირეს გამოუშვეს და კვლავ დაიჭირეს. ურჩევნიათ, თავიანთი აგენტურა კარგად დაშიფრონ.

***— გელბახიანს თუ ესაუბრეთ, რას ამბობს ის ამ ყველაფერზე?***

— გელბახიანმა გუშინ დამირეკა, გადარეული იყო ადამიანი და მითხრა, გიჟები არიან ესენიო. რა გადატრიალება, რის გადატრიალება, რა სისულელეებს ამბობენო. ჩემი ადვოკატი არ ხარ, დამიცავიო და შენ რა დაგიცვა, მგონი მე ვარ ამათ ხელში აქეთ დასაცავი-მეთქი.

***— თემურ ხაჩიშვილთან და სხვებთან არანაირი კონტაქტი არ გაქვთ, ამ ადამიანებთანაც არაფერი გაკავშირებთ?***

— ხაჩიშვილს საერთოდ არ ვიცნობ, რა კავშირი უნდა მქონდეს მასთან? ხაჩიშვილის მიმართ ყოველთვის უარყოფითი დამოკიდებულება მქონდა, რადგან იცით თქვენ, რომ მე გია ჭანტურიას სიცოცხლეში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრი გახლდით და ხაჩიშვილს კიდევ ოფიციალური ბრალდება აქვს წაყენებული, როგორც გია ჭანტურიას მკვლელს. დუმბაძე მე კი არა მთელმა საქართველომ იცის, ვინც არის. წაიყვანეს რუსებმა და არის იქ. დანარჩენები ნამდვილად არ ვიცი, ვინ არიან. რაც შეეხება იმ ცნობილ „ნასედკას", ეს ადამიანი ჩაწერილი ჩვენც გვყავს. ჩვენ გვაქვს ჩანაწერი, სადაც ჩანს, რომ ის ხელისუფლების დავალებით მუშაობს და ა.შ. ეს ჩანაწერი არსებობს. ეს ადამიანი თავის დროზე შს მინისტრმა მერაბიშვილმა ივანიშვილის საარჩევნო შტაბში გაუშვა. ივანიშვილმაც იცოდა, რომ ის მერაბიშვილის კაცი იყო. რომ იცოდეთ, თავად ივანიშვილიც ხელისუფლების კაცია და ამას არც არავინ მალავდა. შემდეგ ეს პიროვნება ჩვენთან მოვიდა, მოგვიყვა ეს ყველაფერი და ჩავიწერეთ. ის ამ ყველაფრის გამო ერთხელ ვცემეთ კიდევაც. კაცი ნომრიანი აგენტია და ზის იქ, აღიარებით ჩვენებებს იძლევა, თითქოსდა ბიწაძე უნდა გამოვარდნილიყო, შემდეგ „გრუ" უნდა შემოვარდნილიყო და ა.შ. რეპრესიები დაიწყო, იცით, გუშინ 600-დე ვეტერანი სულ ტყუილუბრალოდ დააპატიმრეს.

***— „სახალხო კრებას" უჭერდნენ მხარს და მაგიტომ დააკავეს?***

— არა, ისინი აქციაზე არ დადიოდნენ. ერთ-ერთი დაკავებული სულ ორჯერ იქნება ნამყოფი აქციაზე, თუმცა, სტაცეს ხელი და დააკავეს, მაგრამ მალევე გამოუშვეს. რის საფუძველზე დააკავეს ვეტერანები, არ ვიცი. აი, ასე პანტაპუნტით იჭერენ ხალხს. რეპრესიებია დაწყებული, ვიმეორებ, დღეს საქართველოში 37 წელია.

***— თქვენ იურისტი ბრძანდებით და იქნებ გვითხრათ, არის ეს მტკიცებულებები საკმარისი იმისთვის, რომ ადამიანები დააპატიმრონ? როგორ ფიქრობთ, „სახალხო კრება" რუსეთიდან იმართებოდა?***

— რა ჩვენებებიც მოვისმინე, ეს არაფერიც არ არის. ეს არის, ჯერ ერთი, უდანაშაულობის პრეზუმპცია, რაზეც სარჩელი მზადდება და ტელეკომპანიების წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში აუცილებლად შევა. რაც შეეხება „სახალხო კრების" რუსეთთან კავშირებს, მე რასაც ვუყურე და მოვისმინე, მსგავსი ვერაფერი დავინახე. მე კრების მხოლოდ ერთ სათათბირო სხდომას დავესწარი და, იქ რაც მოვისმინე, იყო ის, რომ 21 მაისს დაიწყებოდა აქციები, რომელიც იქნებოდა მშვიდობიანი და ასე მშვიდობიანადაც ჩაატარეს, ხომ. რა, კრების წევრებმა ვინმეს სცემეს, საავადმყოფოში მოახვედრეს, ვინმემ მოლოტოვის კოქტეილი ისროლა თუ რა?

***— თუმცა, უამრავი ფარული ჩანაწერია, ასევე შეფიცულების მეთაურის, გია უჩავას ჩვენებაც...***

— რაც შეეხება გია უჩავას ჩვენებას, ამაზე ერთ რამეს გეტყვით. უჩავას ადვოკატმა საოცარი ინფორმაცია მოგვაწოდა და ამას საზოგადოება პირველად თქვენი გაზეთის ფურცლებიდან შეიტყობს. იმ ხალხიდან, რომელიც პოლიციის „ფოლკსვაგენს" ჯოხებს ურტყამდა, „სახალხო კრების" წევრი და მხარდამჭერი არც ერთი არ ყოფილა. ისინი ზონდერბრიგადები იყვნენ. გია უჩავამ იცოდა ეს და ადვოკატს დაავალა, მიდი და ეს ყველაფერი კრების ორგანიზატორებს უთხარიო. დიახ, უთხარი, რომ მათგან არც ერთი არ არის კრების წევრიო. პოლიციიის თანამშრომლები გადაცმულები იყვნენ და თავად ურტყამდნენ მანქანას ჯოხებს. და კითხვა არ დაებადა არავის, რომ ამდენი ადამიანი რომ ურტყამს მანქანას, კარი ერთმა მაინც რატომ ვერ გააღო და ეს უჩავა ვერ გადმოათრია იქიდან? მე დამებადა ეს კითხვა, თქვენც, ხომ? ჰოდა, უჩავამ შემოთვალა ამ კითხვაზე პასუხი, იმ ადამიანებიდან არც ერთი არ იყო კრების წარმომადგენელიო. შსს-მ შექმნა იმის იმიტაცია, რომ „სახალხო კრების" წევრები იყვნენ აგრესიულები.

***— გაჩნდა ვერსია, რომ უჩავა თავიდანვე ხელისუფლების თამაშს თამაშობდა... რას ელით, გავრცელებული ინფორმაციით, თქვენი დაპატიმრება იგეგმება, რის საფუძველზე შეიძლება, რომ დაგაკავონ?***

— არ ვიცი, გია უჩავა ვინ არის და რა არის, თუმცა, ოფიციალური ბოზი რომ არის, კი ვხედავ. ზის და ჩვენებებს იძლევა. დამაპატიმრონ, თუ უნდათ, მაგრამ რის საფუძველზე? რას მედავებიან? ეტყობა, უბრალოდ, უნდათ, რომ დაგვაპატიმრონ, თორემ ამის საფუძველი არ არსებობს. მე რამდენჯერმე გამოვედი აქციაზე, ვთქვი სიტყვა, შემდეგ აქციის დარბევის დროს არანორმალურად გვცემეს მე და ჩემი პარტიის წევრები (გვანახვებს სისხლჩაქცევებს), ჩემი მეუღლეც, მას თავი აქვს გატეხილი, ჩემი პარტიის წევრები — თამაზ დვალი, ილია ხუსკივაძე და სხვები უმოწყალოდ არიან ნაცემი. მარტო ჩემი პარტიიდან 32 ადამიანია ნაცემი და ხელისუფლება კი აცხადებს, სულ 19 დაშავებულიაო, არადა, მარტო ერთი პარტიიდან 32 კაცია ნაცემი. ასევე დაკავებულია ჩემი პარტიის წევრი, ზვიად ახვლედიანი. მოკლედ, მოგვაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, რაზეც ამ დღეებში ჰააგაში გაიგზავნება საჩივარი. ჰააგის პროკურორს დოკუმენტები და ჩემი სურათები, რომელზეც სხეულის დაზიანებები მაქვს, უკვე გავუგზავნეთ. ახლა, კიდევ თუ დაპატიმრება გადაწყვიტეს, დამაპატიმრებენ კიდეც. რა გითხრათ, აბა, 37 წელია და ამ გიჟებისგან ყველაფერია მოსალოდნელი. სხვათა შორის, ის ორი გვამი სახურავზე ჩვენ აღმოვაჩინეთ და, სამწუხაროდ, დარწმუნებული ვარ, მსხვერპლი გაცილებით მეტია, რადგან იმ სიტუაციაში, რომელშიც მე ვიყავი, ძალიან ძნელია, რომ ადამიანი გადარჩეს.

***— რას გეუბნებოდნენ, რას გერჩით, რატომ გცემთო?***

— არაფერს, ეს ხაჭაპურიძე არ არისო, მიცნეს და დამიწყეს ცემა. იციან, რომ კრიმინალური რეჟიმის წევრები არიან და მე კიდევ ამ კრიმინალურ რეჟიმს ვებრძვი და ამიტომაც მცემეს. რას ვიზამთ, ციხეში ვიქნებით, შევეცდებით, იქიდან გამოვიქცეთ, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ეს რეჟიმი რაც შეიძლება მალე დამთავრდეს.

***— ანუ ბრძოლას აგრძელებთ, ბატონო შალვა?***

— რა თქმა უნდა, ბრძოლას ვაგრძელებთ. აქ ორი აზრი არ არსებობს. ვიბრძოდი ტირანიის წინააღმდეგ და ბრძოლა ტირანიის წინააღმდეგ ჩვეულებრივ რეჟიმში გრძელდება. მეტიც, ტირანიაც აღარ არის, ეს უკვე დიქტატურაა, რადგან 37 წელი რა ყოფილა, დღეს გაიგო ქართველმა საზოგადოებამ. მიმდინარეობს მასობრივი დაპატიმრებები, მეტიც, პირდაპირ სასწაულები ხდება. თბილისში ხომ გაასამართლეს ადამიანები და მიუსაჯეს 400-400 ლარი ჯარიმის სახით, შემდეგ ხომ წავიდნენ ეს ადამიანები სახლებში და თავის რაიონში თავიდან ასამართლებენ, იცით? და ეს ხელისუფლება გველაპარაკება ჩვენ კანონზე.

***— ხელისუფლება აცხადებს, აქცია არასანქცირებული იყო და კანონის ფარგლებში ვიმოქმედეთო.***

— ვერ მეტყვით, ხელისუფლება როდის იქცეოდა კანონის შესაბამისად? 7 წლის განმავლობაში ხელისუფლების ერთი კანონიერი ქმედება მითხარით, აბა. ზურაბ ჟვანია რომ მოკლეს, ეს იყო კანონიერი ქმედება? პატარკაციშვილი რომ მოკლეს, კანონიერი იყო? ადამიანები ქუჩაში რომ დახოცეს, კანონიერი იყო? კონსტიტუცია, შრომის კანონმდებლობა, სისხლის სამართალი რომ შეცვალეს, კანონიერი იყო? ეს ხელისუფლება ოდესმე კანონიერად მოქმედებდა? ეს აქცია იყო კანონიერი, ვიმეორებ, აქცია აბსოლუტურად კანონიერი იყო.

***— სანქცია საჭირო არ იყო, ბატონო შალვა?***

— არა, სანქცია საჭირო არ იყო. კონსტიტუციის 25-ე მუხლი ყველაზე და ყველაფერზე მაღლა დგას და ჩაიხედონ და ნახონ, რა წერია კონსტიტუციის 25-ე მუხლში, თუ არ იციან. ვიმეორებ, აქცია კანონიერი იყო. ხელისუფლების მსგავსად, ზოგიერთი ოპოზიციონერის განცხადებებიც მაოცებს. აი, მაგალითად, გუშინ ალასანია ტელევიზიით გამოვიდა და განაცხადა, სასამართლოს დამოუკიდებლობაზე, პოლიციის დეპოლიტიზაციასა და საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესებაზე უნდა ვიბრძოლოთო. მაპატიოს ალასანიამ და ვერ გამოიარა ადვოკატების აქციაზე, რაიმე სხვა მოთხოვნები გაგვაჩნდა ჩვენ? ალასანია, მე მგონი, უცხო პლანეტიდანაა მოფრენილი. რაიმე სხვას ვითხოვდით ჩვენ? მაგიტომ ვიყავით ჩვენ 21 მაისსაც შეკრებილები, არავის უთქვამს იქ, მიშა, გადადექიო. ჩვენი მოთხოვნა იყო, გაუმჯობესებული საარჩევნო კოდექსი, დამოუკიდებელი სასამართლო და პოლიციის დეცენტრალიზაცია. აი, ეს მოთხოვნები გვქონდა ჩვენ და, ალასანია თუ თვლის, რომ თვითონ უნდა მოითხოვოს ეს და თვითონაა ყველაზე მაგარი, კი ბატონო. ჩვენ, რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ და ახლა ალასანიამ გააკეთოს მაშინ.

# რუსეთი აფხაზეთის აღიარებაში ფულს იხდის

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ზოგიერთი წარმომადგენელი ვერ ერკვევა საერთაშორისო რეალობაში ან ზოგიერთს შეიძლება ჰქონდეს წმინდა მერკანტილური ინტერესი. არაფერის თქმა არ მინდა არც ვანუატუზე და არც პატარა სახელმწიფოებზე, რომლებიც საერთაშორისო პოლიტიკაში ნაკლებად არიან ჩახედული. რუსეთი თავის მცდელობებს ახორციელებს, უმეტეს შემთხვევაში, წარუმატებლად, ერთადერთი, ნაურუსთან მოახერხა ეს.

— *ასევე ნიკარაგუასთან...*

— ნიკარაგუის შემთხვევაში პრეზიდენტის აბსოლუტურად ოდიოზური ფიგურის ცამხრივი გადაწყვეტილებაა, რომელსაც პარლამენტი არ უჭერს მხარს და ასევე ოდიოზური ფიგურაა უგო ჩავესი.

— ***ოპოზიცია ამბობს, რომ გაეროში საქართველოს ელჩმა სათანადო მუშაობა არ წარმართა, რათა ასეთმა პატარა სახელმწიფოებმა არ აღიარონ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. ამაზე რას იტყვით?***

— ოპოზიციას ზოგჯერ ისევე ახასიათებს რეალობიდან, დიპლომატიური სპეციფიკიდან აცდენა, როგორც ზოგიერთ რუს ჟურნალისტს, რომელთაც ვერ გაურჩევიათ ცხინვალი პრიშტინასგან. რა თქმა უნდა, ყველგან არის სამუშაო და ძალიან ბევრს აკეთებს საქართველოს ელჩი გაეროში. ბევრ ისეთ ქვეყანას, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს, სად არის საქართველო და მხოლოდ ნავთი აინტერესებს, ან შეიძლება, ნავთი არ აინტერესებს და ფული აინტერესებს, მუშაობა მიმდინარეობს, რომ რაიმე შეცდომა, საერთაშორისო სამართლიდან გადაცდენა შემთხვევით არ მოუვიდეთ. გარწმუნებთ, ამ მუშაობამ შედეგები გამოიღო. ბევრ შემთხვევაში ამის განმუხტვა მოხერხდა, ისევე, როგორც ვანუატუს შემთხვევაშიც მოხერხდება. თუ ვერ მოხერხდება, ეს ტრაგედია კი არ არის, ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რა ტიპის მეთოდებით მოქმედებს რუსეთი.

— ***ძირითადად რუსეთის მხრიდან საუბარია ფინანსურ დაინტერესებაზე?***

— სხვა რა უნდა იყოს? აბა, სამართლიანობის განცდა და აფხაზეთის ცოდნა ამ ადამიანებს არა აქვთ.

— ***აფხაზური წყაროები იუწყებიან, რომ აფხაზეთსა და ვანუატუს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება დაიწყო...***

— ამის არავითარი ოფიციალური დადასტურება არ მოსულა.

— ***რუსეთში 2012 წელს არჩევნებია დანიშნული. რუსეთს რამდენად აქვს შესაძლებლობა, გამოათავისუფლოს ფული აღიარების საყიდლად?***

— მათ აქვთ ცხელი ფული ნავთობიდან მიღებული, ძალიან ფლანგავენ ამ ფულს, მაგრამ ასეთი პატარა ბწკენებისთვის ფული ჰყოფნით. მათ ფული აქვთ იმისთვისაც, რომ საქართველოში დესტაბილიზაცია დაგეგმონ. მაგრამ, უნდა მიხვდნენ, რომ დესტაბილიზაციის მოწყობა ახლა უფრო ძვირი დაუჯდება, ვიდრე აქამდე უჯდებოდათ, რადგან ქალბატონმა ბურჯანაძემ იმედები ვერ გაუმართლათ.

— ***გავრცელდა ინფორმაცია, რომ სოხუმის აეროპორტი, შესაძლოა, მმართველობაში რუსულ კომპანიას გადაეცეს. რუსული პრესა წერს, რომ სოხუმის აეროპორტის მმართველობას რომან ტროცენკოს კუთვნილი რუსული ჰოლდინგი „ნოვაპორტი“ აპირებს. რა კომენტარს გააკეთებთ ამაზე?***

— ასეთ შემთხვევაში ამ კომპანიას აუცილებლად შეექმნება პრობლემები საერთაშორისო დონეზე.

— ***საქართველო საერთაშორისო ორგანიზაცია „იკაოს“ მიმართავს?***

— ყველა ის ნაბიჯი, რომელიც საერთაშორისო წესებით არის გათვალისწინებული, იქნება გამოყენებული, თუკი ასეთი რამ მოხდება.

— ***ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე იგეგმება თუ არა რუსეთთან დაკავშირებული საკითხის განხილვა?***

— ამ ეტაპზე არ იგეგმება, წინა სესიაზე განხილვები იყო და გარკვეული გადაწყვეტილებებია მიღებული. ამ სესიაზე რაიმე განსაკუთრებული არ იგეგმება. ამ სესიაზე ზოგადად იქნება საუბარი მონიტორინგის წესებზე, პრინციპებზე, ქვეყნები რას ასრულებენ და რას — არა. შემოდგომაზე იქნება საუბარი, ახალი წინადადებების მოსმენა. მიგრაციის კომიტეტში არჩეულია ახალი ადამიანი. რუსები ცდილობდნენ, მათთან დაახლოებული ადამიანი გაეყვანათ, მაგრამ სამმაგი უპირატესობით გავიდა შვედეთის პარლამენტის წარმომადგენელი. მას დრო სჭირდება, არა მგონია, შემოდგომამდე რაიმე კონკრეტული განხილვები იყოს.

# ოპოზიციას ვურჩევ, ნუ „გაპადოშდებიან“!

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერ კახა კუკავასთან

— ***ბატონო კახა, 26 მაისის მოვლენების შემდეგ ჩვენი ინტერვიუ არ შემდგარა. როგორც ცნობილია, იმ ღამით თქვენც იქ იყავით და დაზარალდით. როგორ შეაფასებდით იმას, რაც 26 მაისს მოხდა რუსთაველზე და რამდენად იყო ეს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, როგორც ეს ხელისუფლების მიერ შეფასდა?***

— საქართველოს ისტორიას მსგავსი რამ არ ახსოვს. რა გითხრათ, ადარებენ 9 აპრილს, მაგრამ, 9 აპრილისგან განსხვავებით, რამდენიმე მნიშვნელოვანი განცხადებაა. იქ სპეცრაზმის ამოცანა არ იყო ხალხის დალუპვა. იქ გაუფრთხილებლობით უფრო მოხდა ხალხის დალუპვა, დერეფანიც დატოვებული იყო და დაკავებული ხალხი ცემით არ მოუკლავთ. ამიტომ 9 აპრილზე მძიმე დანაშაული იყო, ჯერ ერთი, იმის გამო, რომ სპეციალურად ალყა შემოარტყეს ხალხს და ადამიანების დახოცვა — ეს იყო პირდაპირი განზრახვა მიხეილ სააკაშვილის მხრიდან, ხოლო მეორე მნიშვნელოვანი სხვაობა ის არის, ანალოგიებზე როცა საუბრობენ, აქ იუგოსლავიის მაგალითიც იქნა ნახსენები. ეთნოკონფლიქტების დროს ასეთი სისასტიკე უფრო არის ხოლმე და საკუთარი ერის წარმომადგენლების მიმართ ასეთი ანალოგია მართლაც წარმოუდგენელია. იგივე 9 აპრილს, თქვენ იცით, რომ საბჭოთა მილიციამ, რომელსაც დღეს აუგად მოიხსენიებენ, უარი თქვა მაშინ, მონაწილეობა მიეღო ხალხის დარბევაზე, პირიქით, ეხმარებოდა მომიტინგეებს, მშვიდობიანად დაეტოვებინათ ტერიტორია. თუ შევადარებთ თავისი ტრაგედიის მასშტაბებით, რთული შესადარებელია. საქართველოში მსგავსი ანალოგი ცნობილი არ არის. ასეთი რამ, რომ ქართულმა სახელმწიფომ თავისი შეიარაღებული ორგანიზებული ფორმირებები გამოიყენოს მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ, ჩვენს ისტორიაში, ალბათ, ეს პირველი პრეცედენტია. სააკაშვილს უყვარს გამოთქმები, „პირველად საქართველოში“ და მან პირველად საქართველოში გააკეთა ის, რაც თავის დროზე ჰიტლერმა გააკეთა გერმანიაში, მუსოლინიმ — იტალიაში. ალბათ, სხვებიც იყვნენ ასეთები.

— ***რა ისახავდა მიზნად ეს ყოველივე, საზოგადოების საბოლოოდ დაშინებას?***

— მიზანი ოპოზიციის განადგურებაა, ვინაიდან სააკაშვილმა პოლიტიკური პროცესი წააგო. დღეს მისი ერთადერთი ამოცანა და გზაა, ფიზიკურად მოერიოს ოპოზიციასა და საზოგადოებას. კახა ბენდუქიძეს წამოსცდა სიმართლე. თქვენ იცით, რომ ბენდუქიძე ამ ლიდერშიკთან დაახლოებული პერსონაა და მან მისცა კომენტარი, რომ ის, ვინც კარგად იცემა, მეორედ ასეთ ექსპერიმენტში მონაწილეობას აღარ მიიღებს. სწორედ ეს იყო ამის მიზანი.

— ***თქვენ ბოლომდე ამ აქციებზე იდექით და დაშავდით კიდეც. დღეს ხელს იშვერენ „სახალხო კრების“ ლიდერებისა და ნინო ბურჯანაძისკენ, რომ მან მიზანმიმართულად დაარბევინა აქცია...***

— იცით, ასეთები თავის დროზე იმ პერიოდშიც იყვნენ, როცა მოხდა 9 აპრილის ტრაგედია. კომუნისტურ პროპაგანდას მაშინაც ჰყავდა ხალხი, რომლებიც ამბობდნენ, რომ გამსახურდიასა და კოსტავაზე იყო მთელი პასუხისმგებლობა. დღესაც, რა თქმა უნდა, ხელისუფლებას ჰყავს სატელიტები და არა მარტო გია თორთლაძე, „პადოშების“ მთელი ახალი კასტა გაჩნდა, რომლებიც საუბრობენ იმაზე, რომ ოპოზიციას უნდა დაეკისროს თურმე პასუხისმგებლობა. მე, ალბათ, მაქვს უფლება, პოლიტიკურიც და მორალურიც, იმის გამო, რომ ნინო ბურჯანაძის ოპონენტი ვიყავი და დღესაც პოლიტიკური თვალსაზრისით ოპონენტი ვარ, გახსოვთ ჩემი არაერთი მწვავე კრიტიკული განცხადება, მაგრამ დღეს, როცა ხელისუფლება მოგვიწოდებს, რომ თურმე პოლიტიკურად უნდა ინდულგენცია მივცეთ ხელისუფლებას ბურჯანაძის წინააღმდეგ რეპრესიებზე, დღეს ხელისუფლების ჭკუაზე მე არ ვივლი და იმ ოპოზიციურ პარტიებს, რომლებიც საკუთარ თავს ოპოზიციად მიიჩნევენ, ვურჩევ, ცრუ მოწმეებად ნუ დაუდგებიან და ნუ „გაპადოშდებიან“. ეს არის დღეს ჩემი მთავარი მესიჯი. ყველას მინდა მივმართო, ჩემს ყოფილ მეგობრებს — ნუ „გაპადოშდებით!“ მით უფრო, რომ სრულიად აშკარაა, არანაირი მტკიცებულება ხელისუფლებას არა აქვს, რომელიც გადატრიალებას დაადასტურებდა, ნაწამები ადამიანების ჩვენებების გარდა. სად არის, ერთი მოლოტოვის კოქტეილი არ ამოუღია არავის, ცეცხლსასროლ იარაღზე რომ აღარაფერი ვთქვათ.



— ***კომპრომატებს კომპრომატებზე აქვეყნებს შინაგან საქმეთა სამინისტრო და ეს წამების შედეგად მოპოვებული ჩვენებებია?***

— ეს არის დაკავებული, ნაწამები ადამიანების ჩვენებები, მეტი რა კომპრომატი აქვთ? რა თქმა უნდა — წამების შედეგად. მურმან დუმბაძეზე ვიცით ინფორმაცია და სხვა ბევრი ინფორმაცია ვიცით, ადამიანებს როგორ აწამებდნენ „მოდულში“ იმის გამო, რომ ის ჩვენებები მიეღოთ. სხვათა შორის, კრების აქტივისტი ახლაც ბევრია გამოძახებული და მათ ყველას იდენტური ჩვენებების მიცემას სთხოვენ, რომ ვითომდა მოლოტოვის კოქტეილები მზადდებოდა და ბადრი ბიწაძე ხელმძღვანელობდა ამ ყველაფერს. იცით, რა მაინტერესებს? ნინო ბურჯანაძე თავის შვილთან როგორ ჭორაობდა, ამის დაფიქსირება თუ მოახერხა სოდმა, ახლა როგორმე მოლოტოვის კოქტეილის გადაღებასა და დაფიქსირებასაც შეძლებდა. ეს ბევრად უფრო ადვილია, მით უმეტეს, თუ ამაში ასობით ადამიანი იყო ჩართული, ვითომდა ზოგი — მომზადებაში, ზოგი — განაწილებაში და ზოგიც — გამოყენებაში. ფაქტია, რომ ასეთი რამე ორგანიზატორებს არ ჰქონდათ განზრახული, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ.

— ***ოპოზიციის ამ ფრთის მიზანმიმართული დისკრედიტაცია მიმდინარეობს?***

— მხოლოდ ამ ფრთის არა. სხვათა შორის, ეს ტექნიკურად სწორი ილეთია, საინტერესო ილეთია, სააკაშვილი რასაც აკეთებს, ვითომ მიდის ბურჯანაძის დისკრედიტაცია, თუმცა, ჩემი აზრით, ამ ე.წ. კონსტრუქციული ოპოზიციის დისკრედიტაცია უფრო მიდის, იმიტომ რომ, საზოგადოებაში თუ არის ბურჯანაძის მიმართ უარყოფითი რეაქცია, არა იმდენად იმის გამო, რომ ხელისუფლებამ გადატრიალების ბრალდება წაუყენა, არამედ, მის გამო უფრო, რომ ეს გადატრიალება მან მართლაც არ განახორციელა. რეალურად ბევრად უფრო დიდი აგრესია მიმართულია იმ პარტიების წინააღმდეგ, რომლებიც ხელისუფლების ამ ისტერიკას არიან აყოლილები. სააკაშვილი ორ კურდღელს ერთად იჭერს ამით, ბურჯანაძის დისკრედიტაციასაც ახდენს ამ თავისი ისტერიკით და, ამავდროულად, ბევრად უფრო მძიმე დარტყმას აყენებს ამ ე.წ. ხარისხიან ქართველებს, როგორც თავიანთ თავს ეძახიან, რომლებიც, პრაქტიკულად, „გააპადოშა“ და ხელისუფლების ცრუ მოწმეების როლში ჰყავს გამოყვანილი.

— ***სხვათა შორის, ამოიწურა ულტიმატუმის ის ვადა, რომელიც რვიანს ჰქონდა ხელისუფლებისთვის წაყენებული...***

— მე არც ამის გამო არ ვაკრიტიკებ მათ, იმიტომ რომ, არც არაფრის მოლოდინი არასდროს გამჩენია. საერთოდ, არის ჩერჩილის ცნობილი გამონათქვამი: პოლიტიკა — ეს არის პროფესია, რომ ყველანაირი დაპირება გასცე და შემდეგ გაამართლო, თუ რატომ ვერ შეასრულე ეს დაპირება. რა თქმა უნდა, ახლა აღმოჩნდება მილიონი მიზეზი იმისა, თუ რატომ ვერ შესასრულეს ეს დაპირებები. ჩემი აზრით, დღეს მთავარი ის კი არ არის, რომ რვიანი ვაკრიტიკოთ, თუ რატომ ვერ გააკეთეს საქმე. რვიანი რომ საქმეს ვერ გააკეთებდა, ამაში საზოგადოებას არანაირი ეჭვი არ ჰქონდა. მთავარია, ჩვენ მოვძებნოთ და არც ისე ადვილია მოვძებნოთ ეფექტური გზა ხელისუფლების შეცვლისა. ამიტომ ახლა მე არც ის მინდა მოხდეს, რომ რეალურად ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოების ნაწილი რვიანის კრიტიკაზე გადაერთოს. ჩვენ ხელისუფლების დასამარება გვჭირდება და არა რვიანის. რვიანი ამაში ხელს ნამდვილად არ გვიშლის.

— ***იყო საუბრები, რომ თითქოს საზოგადოების დაშინების მიზნით ჩატარდა რუსთაველზე ეს ოპერაცია, რათა ველარ გაებედა ხალხს პროტესტის ამ ფორმით გამოხატვა...***

— რა თქმა უნდა და ეს ბენდუქიძემ თქვა პირდაპირ. სხვათა შორის, კახა ბენდუქიძეზე გამიგია, რომ პრაგმატული ადამიანია და, მე ვფიქრობ, ეს უხეში შეცდომა მოუვიდა იმიტომ, რომ ნებისმიერი სამხედრო ტრიბუნალი ინატრებდა ასეთ აღიარებით ჩვენებას, რაც მან მისცა. აი, ის კარლა დეოპონტე, სააკაშვილს ძალიან რომ ეშინია მისი, თუ ჩაიგდებს კახა ბენდუქიძის ამ ჩვენებას ხელში, დარწმუნებული ვარ, მას ელექტროსკამი ან სამუდამო პატიმრობა ემუქრება. პირდაპირ თქვა, რომ სპეცრაზმი გამოყენებულ იქნა ადამიანების ცემისთვის, იმისათვის, რომ მათ თავიანთი პოლიტიკური შეხედულებები შეეცვალათ.

— ***თუმცა, ამის მიუხედავად, სულ სხვა შედეგი მივიღეთ და ვნახეთ, რა ხდებოდა მეორე-მესამე დღეს რუსთაველის გამზირზე...***

— ეს არის, რაც იმედს გვაძლევს და რის გამოც დღეს ჩვენ ისევ ოფისებში ვართ, ისევ დავდივართ, ისევ ვმოძრაობთ და გვაქვს რწმენა, რომ შესაძლებელია, საქმე გამოვიდეს.

— ***როგორი იქნება ამ პროცესის გაგრძელება?***

— დღეს ოპოზიციაში ბევრი ცრუ მეტრი არის გამოჩეკილი, ზოგი რადიკალური და ზოგიც ზომიერი. მე ადრე თქვენს გაზეთს მივეცი ინტერვიუ, რომელიც შემდეგ ტელევიზიებმაც აიტაცეს. ოპოზიციური პარტია საქართველოში არის ერთი, ეს არის პარტია თავისუფალი საქართველო, რომელიც არის ხელისუფლების შეცვლით მოტივირებული. სხვა პარტიების მოტივაციას, მგონი, კარგად ხედავთ. ამ პერიოდში მაინც კარგად გამოჩნდა, რომ ეს არის გარკვეული ნიშის დაკავება, ეს არის გარკვეული დივიდენდების მოპოვება მიტინგებზე, მიკროფონთან მივარდნა-მოვარდნა და ასე შემდეგ. მე მინდა, გულწრფელად ვთქვა, რომ ჩვენს პარტიას დღეს არა აქვს ძალა იმისა, რომ ხელისუფლება დამოუკიდებლად შეცვალოს. ჩვენი პირველი ამოცანაა, საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილს, რომელიც სისხლხორცეულად არის დაინტერესებული ხელისუფლების ცვლილებით, თავი მოვუყაროთ ერთ ორგანიზაციაში. როცა არსებობს დიქტატურა, უნდა არსებობდეს ერთი ალტერნატივა, ერთი წინააღმდეგობის მოძრაობა და დღეს ეს წინააღმდეგობის მოძრაობა არის პარტია თავისუფალი საქართველო.

— ***რამდენად არის იმის შანსი, რომ უახლოეს პერიოდში დადგეს ხელისუფლების პასუხისმგებლობის საკითხი?***

— საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ეს მესიჯები და განცხადებები უკვე მოვისმინეთ და ჩვენ ვგეგმავთ გარკვეულ აქტივობებს იმ მიზნით, რომ ეს რეალობად ვაქციოთ. მე ვფიქრობ, დღეს ამის შანსი არსებობს და ეს უნდა გამოვიყენოთ.

— ***როგორც ცნობილია, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე ბადრი ბიწაძის წინააღმდეგ. როგორ ფიქრობთ, სხვა ლიდერებზეც ხომ არ აღძრავს საქმეს ხელისუფლება?***

— არა მგონია, რადგან ხელისუფლებისთვის მხოლოდ პროპაგანდა ეს სისხლის სამართლის საქმეა და არა რეალური მოქმედებები. სისხლის სამართლის განაჩენს ვერ გამოიტანენ. როგორც ცოტნე გამსახურდიას საქმეზე განაჩენი გამოტანილ ვერ იქნა, დარწმუნებული ვარ, ბადრი ბიწაძის საქმეზეც განაჩენი გამოტანილი ვერ იქნება. ბადრი იქნება მიმალვაში და საქმე იქნება შემოდებული თაროზე. აი, ეს არის ძალთა ბალანსი ამ დროისათვის.

— ***თქვენ მაინც გაქვთ იმედი, რომ თქვენ მიერ წამოწყებული საპროტესტო ტალღა წარმატებით დასრულდება?***

— რა თქმა უნდა, ამის დიდი იმედი მაქვს, თუმცა, ეს ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. დღეს უმთავრესი ამოცანაა, რომ დეზორიენტირებული ქართველი საზოგადოება იქნეს ერთ პოლიტიკურ ცენტრში თავმოყრილი, იმიტომ რომ, რითიც გვებრძვიან ჩვენ ოკეანის გაღმიდან, ის არის, რომ ყალბი მოლოდინები იქმნება. ხან ის ჩამოვა, ხან ეს ჩამოვა და ყველა ეს თოჯინა იმართება ერთი და იმავე ცენტრიდან. ყველაფერი, რაც ბრწყინავს, ოქრო არ არის, ამიტომ ამ რაღაცა თარილებს, მოლოდინებს, ლეგენდებს, მითებს უნდა შევეშვათ და ყველა, ვინც ვგრძნობთ ჩვენს თავში ძალას, რომ შეგვიძლია ვიბრძოლოთ ამ რეჟიმის წინააღმდეგ, ერთ ორგანიზაციაში უნდა იყოს ეს ძალა თავმოყრილი, როგორც თავის დროზე ეს გაკეთდა ეროვნული მოძრაობის დროს არა მარტო საქართველოში, არამედ ყველა ქვეყანაში. არ შეიძლება, დღეს პოლიტიკური პარტიები იყვნენ იდეოლოგიური ნიშნით დაყოფილი, იმიტომ რომ დღეს ჩვენ რეალურად გვატყუებენ, დღეს ჩვენ საარჩევნო კამპანიას კი არ ვატარებთ, რეალურად ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის ვიბრძვით. აქ წარმოუდგენელია, დამოუკიდებლობისთვის სხვადასხვა ძალა სხვადასხვა ფლანგიდან იბრძოდეს.

— ***როგორ ფიქრობთ, რუსეთის სახით მტრის ხატის შექმნა ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს და სწორედ ამიტომ აქვეყნებს ასეთ კომპრომატებს?***

— რუსეთიდან მტრის ხატის შექმნა პიარია და, მინდა გითხრათ, რომ ეს პიარი დამარცხდა, რადგან საზოგადოება ამას მაინცდამაინც დიდი მოწონებით არ ხვდება. რაღაცას როცა აკეთებ, უნდა გაწყობდეს. რა სარგებლობა აქვს საქართველოს, თუ რუსეთ-საქართველოს შორის მტრობა გაგრძელდება? რამე შანსი გვაქვს, რომ რუსეთს დავიპყრობთ, დავშლით, მოვერევით თუ რა?! ისეთი მტერი უნდა აირჩიო, რომ 50% მაინც გქონდეს შანსი გამარჯვების. საქართველოს საქმე ნამდვილად არ არის რუსეთთან დაპირისპირება, პირიქით, ჩვენ უნდა მოვახერხოთ რუსეთთან კომპრომისი და რუსეთის ძალითა და რუსეთის ზურგით გადავწყვიტოთ ჩვენ წინაშე არსებული ამოცანები. თუ ჩვენ ვირჩევთ იმ პოზიციას, რომელსაც სააკაშვილი ირჩევს, რომ წინასწარ აპრიორში ვამბობთ, რომ, აი, რუსეთია ჩვენი მოწინააღმდეგე და ამ პოზიციიდან უნდა მივუდგეთ ყველა საკითხს, მაშინ ყველა საკითხი წინასწარ წაგებულია. ეს დაახლოებით ასეთი პოზიციაა, თამაშის დაწყებამდე მსაჯს რომ აგინო. ხომ სრული სისულელეა?! რუსეთი მსაჯია. საკითხები, რომლებიც უნდა გადაწყდეს საქართველოს სასარგებლოდ, აფხაზეთი იქნება ეს, სამაჩაბლო თუ ეკონომიკური საკითხები, რეგიონული უსაფრთხოება, რუსეთის ხელშია ეს გადაწყვეტილება. მოინდომებს რუსეთი — გადაწყდება აფხაზეთის საკითხი, მოინდომებს რუსეთი — განვითარდება ჩვენი ეკონომიკა. ამ საკითხებს ვერც ნატო წყვეტს, ვერც ბრიუსელი და ვერც შეერთებული შტატები. ეს ყველაფერი აგვისტოს ომის დროსაც კარგად გამოჩნდა.

## *ილია II:* ბოროტებას მხოლოდ სიყვარული კურნავს



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ამაღლების დღესასწაულთან დაკავშირებით საღმრთო ლიტურგია საბურთალოს ამაღლების სახელობის ტაძარში აღავლინა.

წირვის დასრულების შემდეგ კი პატრიარქმა სიხარულის შესახებ იქადაგა და ბრძანა, რომ ბოროტებას მხოლოდ სიყვარული კურნავს. სიხარული სიყვარულისაგან გამოდის და თუ ადამიანს სიყვარული არ გააჩნია, მას არც სიხარული აქვს.

უწმინდესმა იმედი გამოთქვა, რომ ქართველები შეუნდობენ ერთმანეთს, ყველაფერი მალე დამშვიდდება და თავის კალაპოტში ჩადგება.

— ჩვენ მალე გაბრაზება ვიცით, მაგრამ ქართველი ადამიანი მალე ივიწყებს იმ წყენას, რომელიც მიაყენეს. ამით ქართველი ადამიანი უფლის მონათესავია, — ბრძანა უწმინდესმა

პატრიარქმა ქადაგებისას აღნიშნა, რომ საქართველოს ვერავითარი გარეშე და შიდა მტერი ვერაფერს დააკლებს, რადგან ის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა.

**მედიანიუსი**

## მთავრობამ საპატრიარქოს უძრავი ქონება დაუმტკიცა

მთავრობამ საპატრიარქოსთვის უძრავი ქონების გადაეცემა დაამტკიცა.

როგორც „ინტერპრესნიუსს" ვიცე პრემიერის გიორგი ბარამიძის პრესსამსახურიდან აცნობეს, საქართველოს მთავრობამ, მთავრობასა და საქართველოს საპატრიარქოს შორის ქონებრივი საკითხების განმხილველი სამთავრობო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები დაამტკიცა, რის საფუძველზეც საპატრიარქოს უძრავი ქონება გადაეცემა. კერძოდ, ეკლესიისა და სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის მიზნით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ფონაში სახელმწიფო 6291 კვ. მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 35 კვ. მ. შენობა-ნაგებობა; ასევე, საეპისკოპოსო რეზიდენციის განთავსების მიზნით ქ. გარდაბანში 17 035 მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 687 კვ. მ. შენობა ნაგებობა.

მთავრობასა და საპატრიარქოს შორის ქონებრივი საკითხების განმხილველი სამთავრობო კომისია 2010 წლის 23 თებერვალს შეიქმნა. კომისიის თავმჯდომარე ვიცე პრემიერ-მინისტრი გიორგი ბარამიძეა და კომისიის შემადგენლობაში მთავრობის, საპატრიარქოს, პარლამენტისა და თბილისის მერიის წარმომადგენლები შედიან.

**ინტერპრესნიუსი**

## საქართველო ევროკავშირის ქვეყნებიდან ბოსტნეულის ექსპორტის აკრძალვას არ აპირებს

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, საქართველო ევროკავშირის ქვეყნებიდან ბოსტნეულის ექსპორტის აკრძალვას ჯერჯერობით არ აპირებს.

როგორც სურსათის ეროვნული სააგენტოდან „მედიანიუსს" აცნობეს, საქართველო მიერთებულია ევროკავშირის სწრაფი განგაშის სისტემას, რაც იმას ნიშნავს, რომ ნყველა საფრთხეებთან დაკავშირებით, რაც სურსათს უკავშირდება, ხდება შეტყობინების მიღება. შეტყობინება ამა თუ იმ ქვეყანას ეგზავნება იმ შემთხვევაში, თუ საფრთხის შემცველელი პროდუქტი იმპორტირებულია ამ ქვეყანაში, ან ამ ქვეყნიდან მოხდა ექსპორტი.

ამ დრომდე მსგავსი შეტყობინება საქართველოს არ მიუღია. გარდა ამისა, საქართველოში ევროკავშირიდან ბოსტნეული არ შემოდის.

სააგენტო ასევე განმარტავს, რომ მათი უწყება „ქსელში განთავსებული სურსათის, მათ შორის ბოსტნეულის ლაბორატორიულ კვლევას მონიტორინგის ფარგლებში ახორციელებს. შემოსავლების სამსახური კი საზღვარზე ახორციელებს როგორც დოკუმენტაციის, ასევე სურსათის კვლევას".

შეგახსენებთ, რუსეთმა მიიღო გადაწყვეტილება ევროკავშირის ქვეყნებიდან ბოსტნეულის იმპორტის აკრძალვასთან დაკავშირებით. მიზეზი ევროკავშირის ქვეყნებში ბოსტნეულში, კერძოდ კიტრში აღმოჩენილი მომაკვდინებელი ბაქტერიაა, რომლის შედეგად 1 500-მდე ადამიანი დაინფიცირდა, ხოლო 17 ადამიანი დაიღუპა.

**მედიანიუსი**

# მაგთიკომმა ერთიანი საგანმანათლებლო ქსელი შექმნა

## საგანმანათლებლო ქსელმა პირველი ურთულესი გამოცდა წარმატებით ჩააბარა

**კომპანია „მაგთიკომმა" საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დაკვეთილი ერთიანი საგანმანათლებლო ქსელის პროექტი დაასრულა. ქსელის მეშვეობით ყველა საჯარო სკოლა და რესურს-ცენტრი, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს კომპიუტერულ ცენტრს დაუკავშირდა. მათ ასევე მიეცათ ინტერნეტთან წვდომის საშუალება. სწორედ ამ ქსელის საშუალებით გახდა შესაძლებელი, პირველად საქართველოსა და მსოფლიოში, ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარება. გამოცდების მსვლელობის დროს, ქსელთან დაკავშირებული არცერთი სერიოზული ხარვეზი არ დაფიქსირებულა.**



პროექტის დასრულებასთან დაკავშირებით კომპანია მაგთიკომმა, განათელბის სამინისტრომ და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა 2 ივნისს ერთობლივი ბრიფინგი გამართეს.

ამ დიდ წარმატებას წინ, საკმაოდ რთული მოსამზადებელი პერიოდი უძღოდა. საჭირო იყო სკოლების ერთიან მონაცემთა ბაზაში გაერთიანება, რისთვისაც საჭირო გახლდათ კვალიფიციური სპეციალისტების მოწვევა და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა.

***ირაკლი ლობჟანიძე, კომპანია მაგთიკომის მარკეტინგის დირექტორი:*** „მოგეხსენებათ დასრულდა საქართველოს ერთიანი საგანმანათლებლო ქსელის შექმნის პროექტი, რომელშიც გუშინ ჩაერთო ბოლო სკოლები. საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაკვეთილი ეს სამუშაო კომპანია „მაგთიკომმა" დაგეგმილ ვადაზე სამი თვით ადრე დაასრულა. ჩვენი დიდი მონდომების და ძალისხმევის ხარჯზე ნაცვლად სექტემბრისა, ქსელი ექსპლოატაციაში მაისის მიწურულს გაეშვა. აქვე მინდა გითხრათ, რომ ქსელმა უკვე ძალიან დიდი გამოცდა ჩააბარა. როგორც მოგეხსენებათ გუშინ დასრულდა სასკოლო გამოსაშვები გამოცდები და ერთდროულად მთელი საქართველოს მასშტაბით ონლაინ რეჟიმში ბავშვებმა ქსელთან დამოკიდებული ყოველგვარი ხარვეზების გარეშე ჩააბარეს გამოცდები.

მე ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, რომელიც ამ პროექტში იღებდა მონაწილეობას როგორც მაგთიკომის მხრიდან, ისე განათლების სამინისტროს და გამოცდების ეროვნული ცენტრის მხრიდან."

ამ სიახლემ განათლების სამინისტროს შესაძლებლობა მისცა აწარმოოს არა მხოლოდ გამოცდების მიმდინარეობის კონტროლი და მონიტორინგი, არამედ ყველა საჯარო სკოლა ერთიან ინტერნეტ ქსელში გააერთიანოს.

ერთიანი ინტერნეტ ქსელი კი თავისთავად გულისხმობს სხვადასხვა



ინოვაციებისა, თუ პროექტების სწრაფი გაცნობისა და დანერგვის საშუალებას.

სწორედ ამ მიზნის მისაღწევად, საქართველოს განათლების სამინისტრომ, ჯერ კიდევ ორი წლის წინ გადაწყვიტა სკოლების უახლესი ტექნოლოგიური აპარატურით აღჭურვა.

აღნიშნული პროექტის განხორციელება სერიოზული გამოწვევა გახდა, რადგანაც ქსელში ჩასართავი სკოლების უმეტესობა რეგიონებშია გაფანტული და მათი დიდი ნაწილი რთულად მისასვლელ ადგილებში მდებარეობს.

თავდაპირველად ქსელის გამართვა სხვა კომპანიამ ითავა, მაგრამ მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო ვერ განახორციელა. ქსელის გამართვის რამოდენიმე წარუმატებელი ცდის შემდეგ საქართველოს მთავრობამ პროექტის განსახორციელებლად კომპანია „მაგთიკომს" მიმართა.

კომპანიას უკვე ჰქონდა მსგავსი ქსელის წარმატებულად შექმნის გამოცდილება „ერთიანი სამთავრობო ქსელის" პროექტის სახით რომელშიც 700-ზე მეტი სამთავრობო ობიექტია ჩართული.

მიუხედავად არსებული სიძნელეებისა მაგთიკომსა და განათლების სამინისტროში კარგად ესმოდათ ამ პროექტის მნიშვნელობა.

2009 წელს კომპანია მაგთიკომსა და საქართველოს მთავრობას შორის არსებული მემორანდუმის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, მაგთიკომსა და „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს" შორის გაფორმდა სამმხრივი ხელშეკრულება, რომელიც მიზნად ისახავდა, საქართველოს საგანმანათლებლო ობიექტების „საქართველოს ერთიან სამთავრობო ქსელში" ჩართვასა და ინტერნეტით უზრუნველყოფას.

ამ მიზნის განსახორციელებლად, მთელი საქართველოს მასშტაბით საინფორმაციო ტექნოლოგიების სამასამდე სპეციალისტი შეირჩა, რომლებმაც 2220-ზე მეტ სკოლაში ლოკალური ქსელისა და საჭირო აპარატურის მონტაჟი განახორციელეს.

შეიქმნა მონაცემთა დამუშავების ცენტრი, რომელიც გამოთვლითი და დამხმარე აპარატურის (სერვერები, ქსელური აპარატურა, შემნახველი მოწყობილობები დ.ა.შ.), შეუფერხებელ და უსაფრთხო ფუნქციობას, ასევე მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნასა და მისი ცენტრალიზებულ მართვას უზრუნველყოფს.

ერთიანი საგანმანათლებლო ქსელის შექმნით, საქართველომ უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადადგა განათლების სფეროს განვითარებისა და ევროპულ სტანდარტებთან მიახლოების საქმეში.

ორწლიანი თავდაუზოგავი მუშაობის შემდეგ, „მაგთიკომმა" ვადაზე 3 თვით ადრე დაასრულა ეს უმნიშვნელოვანესი პროექტი და მასზე დაკისრებული ვალდებულებები პირნათლად შეასრულა.

საქართველოს ყველა სკოლა გაერთიანებულია ერთიან კომპიუტერულ ქსელში, რაც ახალგაზრდა თაობას უდიდეს შესაძლებლობებს უხსნის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონებში მცხოვრები მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის, რადგანაც მათთვის ერთიანი საგანმანათლებლო ქსელი ინტერნეტთან ურთიერთობის ერთადერთ საშუალებაა.

ეს კი პირველ რიგში კომპანია „მაგთიკომის" დამსახურებაა. კომპანიის მიერ გაწეული სამუშაოს შედეგად გაკეთდა დიდი მამულიშვილური საქმე. ნამდვილად საამაყოა, რომ საქართველო ჩვენს რეგიონში პირველი ქვეყანაა, სადაც მსგავსი ქსელი წარმატებით მუშაობს.

***ირინა ქურდაძე, განათლების მინისტრის მოადგილე:*** „კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტაეტს წარმოადგენს განათლების რეფორმის ჩატარება, განათლების ხარისხის ამაღლება ქვეყანაში. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებისა და დანერგვის გარეშე შეუძლებელია ამ ამოცანის გადაჭრა. ამიტომ მე მოხარული ვარ, რომ ჩვენ დღეს უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველა საჯარო სკოლა, ისევე როგორც ყველა რესურს ცენტრი საქართველოს მასშტაბით, ჩართულია ამ ერთიან ქსელში, რაც სამინისტროს და შესაბამის სააგენტოებს აძლევს საშუალებას, რომ კომუნიკაცია სკოლებთან და რესურს ცენტრებთან ჰქონდეთ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. ეს ყოველივე კი, ბუნებრივია, ზოგავს ჩვენს სახსრებსაც, დროსაც და გვაძლევს უფრო მეტ საშუალებებს სწრაფი განვითარებისათვის.



ასევე მინდა ხაზი გავუსვა იმ ფაქტს, რომ გამოსაშვები გამოცდები ნამდვილად ჩატარდა წარმატებულად და ერთერთი მთავარი კომპონენტი ამ გამოცდების ჩატარებისთვის გახლდათ ამ ქსელის არსებობა და ხარვეზების გარეშე მუშაობა. მოხარული ვარ, რომ ამ მიმართულებით ჩვენ ხარვეზები ნამდვილად არ გვქონდა. ვფიქრობ ეს არის ძალზედ მნიშვნელოვანი ნაბიჯი არა მხოლოდ სასკოლო განვითარების მიმართულებით არამედ მთლიანად ეს ყოველივე ხელს შეუწყობს ქვეყნის განვითარებას, ვინაიდან თანამედროვე ტექნოლოგიები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ამ მიმართულებითაც."

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების დირექტორის, ირაკლი თოდუას განცხადებით, რომ არა „მაგთიკომი", ასეთი მასშტაბური პროექტის განხორციელება, ასეთ მოკლე დროში შეუძლებელი იქნებოდა.

30 მაისს, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უახლესი სისტემებით აღჭურვილი სასერვერო ოთახი დაათვალიერა. ამ ოთახიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები მთელი საქართველოს მასშტაბით საატესტატო გამოცდების მიმდინარეობას ვიდეოგამოსახულების საშუალებით აკვირდებიან.

დასრულდა „საუკუნის პროექტად" წოდებული,საქართველოს სკოლების ერთიან საგანმანათლებლო ქსელში ჩართვის პროცესი.

მაგთიკომმა ეს ნამდვილად აუცილებელი და ქართული საქმე გრაფიკით გათვალისწინებულ ვადაზე სამი თვით ადრე დაასრულა.

***დევიდ ლი, მაგთიკომის გენერალური დირექტორი:*** „მე ძალზედ მოხარული ვარ, რომ მაგთიკომი და საქართველოს მთავრობა თანამშრომლობს. ამ პროექტის ფარგლებში მაგთიკომი და საქართველოს მთავრობა ვაკეთებთ ქვეყნისათვის ძალზედ მნიშვნელოვან საქმეს, რითაც მომავალ თაობებს ვაძლევთ საშუალებას ჰქონდეთ თანამედროვე და ხარისხიანი განათლების სისტემა".

***გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი, მაია გაბუნია:*** მინდა მოგახსენოთ, რომ მართლა ძალზედ წარმატებით განხორციელდა ესდ პროექტი, განსაკუთრებით მაინც ხაზს გავუსმევ იმ გამოცდებს, რომელიც გუშინ დავასრულეთ და რომელმაც მართლაც რომ წარმატებით ჩაიარა.

**გია ბრელი ე**

# აფხაზეთის მომავალი პრეზიდენტი გუდაუთის დაჯგუფებიდან იქნება

## რატომ აკრიტიკებდნენ აფხაზები ბაღაფშს

**სერგეი ბაღაფშის გარდაცვალების გარემოებებმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია მასმედიასა და პოლიტიკურ წრეებში. გავრცელდა სხვადასხვა აზრი მისი სიკვდილის შესახებ და იმაზე, თუ რატომ არ იყო კმაყოფილი მისი მოღვაწეობით აფხაზთა ერთი ნაწილი და რუსეთის პოლიტიკური წრეების გარკვეული ჯგუფი. ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრება თბილისში მოღვაწე სოხუმელ ჟურნალისტ თენგიზ პაჭკორიას, რომელიც იცნობდა როგორც სერგეი ბაღაფშს, ასევე ბევრ სხვა აფხაზ პოლიტიკოსს. თენგიზ პაჭკორია გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე სისტემატურად ეცნობა აფხაზური პრესის, რადიოსა და ტელევიზიის მასალებს.**

თეა მარხვაი ე

*— ბატონო თენგიზ, სერგეი ბაღაფშის გარდაცვალების შემდეგ მისი ქება უეცრად დაიწყო აფხაზი და რუსი პოლიტიკოსების იმ ნაწილმა, რომლებიც თავის დროზე მწარედ და მწვავედ აკრიტიკებდნენ მას...*

— ამაში გასაკვირი არაფერი არ არის. ასეთი რამე ხშირად ხდება პოლიტიკაში. მინდა აღვნიშნო, რომ 2004 და 2009 წლებში რუსეთის ხელისუფლებისა და პოლიტიკური ელიტის უდიდეს ნაწილს მაინცდამაინც არ აწყობდა სერგეი ბაღაფშის გამარჯვება აფხაზეთში ჩატარებულ ე.წ. არჩევნებში. კრემლმა ბევრი იღვაწა იმისათვის, რომ 2004 წლის „არჩევნებში“ გაემარჯვა რაულ ხაჯიმბას, რომელიც აფხაზეთში უშიშროების სამინისტროს სისტემაში თითქმის 20 წელი მსახურობდა — ჯერ კიდევ სსრკ-ის დროს და შემდგომ — პოსტსაბჭოთა პერიოდში. 2004 წელს აფხაზეთში ე.წ. არჩევნების ჩატარებამდე და მის შემდეგ რუსეთის გავლენიანმა პირებმა ღიად გააკრიტიკეს ბაღაფში. ყველას ახსოვს, რომ კრასნოდარის მხარის გუბერნატორმა ალექსანდრე ტკაჩოვმა ბაღაფშსა და ანქვაბს „კრიმინალები“ უწოდა, თუმცა შემდეგ მათი ურთიერთობა მეტ-ნაკლებად „გათბა“. გათბა თავად რუსეთის ხელისუფლების დამოკიდებულება ბაღაფშის მიმართ. თვით ბაღაფშმა 2005-2009 წლებში ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ კრემლის ნდობა დაემსახურებინა. ნაწილობრივ მან ეს მოახერხა, თუმცა კრემლში მას და „პრემიერ-მინისტრს“, შემდეგ კი „ვიცე-პრეზიდენტს“ ალექსანდრე ანქვაბს ბოლომდე მაინც არ ენდობოდნენ. რუსეთის ხელისუფლების გარკვეული ნაწილი და აფხაზი საზოგადოების ერთი ნაწილი თვლიდა, რომ ბაღაფში და ანქვაბი თითქოს პროქართული ორიენტაციის პოლიტიკოსები იყვნენ, თუმცა, არ არსებობდა რაიმე საფუძველი ამისთვის. ბაღაფში და ანქვაბი პროქართულად განწყობილი მოღვაწეები ნამდვილად არ იყვნენ, თუმცა, ეს „იარლიყი“ მათ ბოლომდე არ მოეხსნათ. როგორც ჩანს, ის ფაქტი, რომ ანქვაბი 80-იან წლებში თითქმის 9 წელი მუშაობდა მაღალ თანამდებობებზე თბილისში (ჯერ საქართველოს კომპარტიის ცეკაში, შემდეგ — საქართველოს შსს-ში), ხოლო ბაღაფში 1970-იანი წლების მიწურულს მოღვაწეობდა საქართველოს დედაქალაქში (კომკავშირისა და კომპარტიის ცეკაში), სოხუმსა და მოსკოვში მათ ოპონენტებს არ ასვენებდა, თუმცა, თბილისში საბჭოთა კავშირის დროს მათი და სხვა აფხაზი ეროვნების პირების მოღვაწეობა არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ავტომატურად პროქართული არიან, პირიქით, ზოგჯერ ის, ვინც მოღვაწეობდა თბილისში, უფრო რადიკალურად არის განწყობილი, ვიდრე სხვა დანარჩენი აფხაზი მოღვაწეები.

*— მაგრამ, ალბათ, არსებობდა კიდევ სხვა მიზეზები იმისა, თუ რატომ არ ენდობოდნენ ბოლომდე ბაღაფშს კრემლიც და აფხაზი საზოგადოების ერთი რადიკალური ნაწილიც...*



— დიახ, ბევრი მიზეზი იყო. კერძოდ, ბაღაფში და განსაკუთრებით ანქვაბი უფრო დამოუკიდებლები იყვნენ, ვიდრე სხვა აფხაზი პოლიტიკოსები. რუსული პრესისა და რუსი პოლიტიკოსების გარკვეული ნაწილი გაღიზიანებული იყვნენ იმით, რომ ბაღაფში აქტიურად ცდილობდა, ჩამოესახლებინა თურქეთიდან აფხაზი მოჰაჯირები — იმ აფხაზთა შთამომავლები, რომლებიც მე-19 საუკუნეში რუსეთის ცარიზმის დროს იყვნენ გადასახლებული თურქეთში. მოჰაჯირების ზუსტი რაოდენობა უცნობია, სხვადასხვა აფხაზური წყაროს ცნობით, დღეისათვის თურქეთში ცხოვრობს 300-500 ათასი მოჰაჯირი, თუმცა, ზოგიერთებს ეს რიცხვი ძალიან გაბერილი ეჩვენება და, მათი მონაცემებით, აფხაზ მოჰაჯირთა რაოდენობა თურქეთში მაქსიმუმ 150 ათასს შეადგენს. ორი წლის წინ ბაღაფშმა საჯაროდ თქვა, რომ მისი ამოცანაა უახლოეს წლებში დააბრუნოს აფხაზეთში ასეულობით ათასი აფხაზი თურქეთიდან. ეს არ მოეწონათ რუსეთის გარკვეულ პოლიტიკურ წრეებს და რუსულ პრესას, რადგან მოჰაჯირების მასობრივი დაბრუნება აფხაზეთში დემოგრაფიულ სიტუაციას შეცვლის და რუსეთს არ მისცემს საშუალებას, ეტაპობრივად განახორციელოს აფხაზეთში რუსეთის ტერიტორიიდან ბევრი სპეციალისტის, მშენებლებისა და სხვათა ჩამოსახლება ან გაართულებს ამ პროცესს. ზემოაღნიშნულმა ფაქტებმა და კიდევ მრავალმა სხვა მიზეზმა განაპირობა ის, რომ სოხუმში ჯერ კიდევ 2009 წელს დაიწყო საზოგადოებრივი აზრის მომზადება ბაღაფში-ანქვაბის პოლიტიკიდან გასაცილებლად იმ მიზნით, რომ 2009 წელს „არჩევნებზე“ არჩეული იყოს სხვა პოლიტიკური გუნდი. სოხუმში გამომავალი გაზეთის „ჩეგემსკაია პრავდას“ პუბლიკაცია ამაზე მეტყველებდა. გაზეთი წერდა: „ბაღაფში თითქმის შემთხვევით გახდა 2004 წელს პრეზიდენტობის კანდიდატი, ასევე შემთხვევით გახდა ოპოზიციის ლიდერი და ძალიან მოულოდნელად მოიგო არჩევნები, რომლებიც წინა მთავრობას უკვე ჯიბეში ჰქონდა. იმ არჩევნების უპირობო ფავორიტი იყო ახლანდელი პრემიერ-მინისტრი ალექსანდრე ანქვაბი. ის იყო იმ დროის ოპოზიციის ლიდერი, მას ჰქონდა ხელისუფლებასთან რადიკალურად მებრძოლის იმიჯი, მას სერიოზული ელექტორატი ჰყავდა. თავისთავად ხელისუფლებას სწორედ ანქვაბის ეშინოდა და გააკეთა ყველაფერი იმისთვის, რომ ის კანდიდატიც კი არ გამხდარა. ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ანქვაბი ძალიან დიდხანს ცხოვრობდა რუსეთში (1994-2003 წწ.) და, კანონის თანახმად, მას არა აქვს უფლება, გახდეს უმაღლესი თანამდებობის პირი აფხაზეთში. მაგრამ წინა (არძინბას) ხელისუფლებას საერთოდ არ ეშინოდა ბაღაფშის, რომელიც აბსოლუტურად არ ჰგავდა ოპოზიციონერს, ხოლო გამარჯვების შანსი თითქმის არ ჰქონდა. უფრო მეტი, ის იყო ერთადერთი ყოფილი პრემიერ-მინისტრებიდან, რომელმაც არძინბასგან მიიღო მადლობა. ერთი სიტყვით, ბაღაფში იყო უპერსპექტივო და თითქმის თავისიანი. მის შანსებს არავინ აღიქვამდა სერიოზულად. მაგრამ შემდეგ მოხდა მოულოდნელი რამ — ანქვაბმა, რომელსაც ცენტრალურმა საარჩევნო კომიტეტმა არჩევნებში კანდიდატის სახით მონაწილეობაზე უარი უთხრა, უკვე შემდგარი ტანდემის მიუხედავად, ბაღაფშს შესთავაზა, გაეერთიანებინათ პოლიტიკური კაპიტალები. ამის შემდეგ ოპოზიცია ძალზე ძლიერი გახდა, ხოლო მისი გამარჯვება — რეალური“. გაზეთი არაფერს ამბობდა იმაზე, რა მოტივით მოაცილეს ანქვაბი არჩევნებს 2004 წელს.



***— როგორც სოხუმში გამოაცხადეს იმ დროს, ანქვაბმა აფხაზური ენა არ იცისო და ამიტომ არ დაუშვეს არჩევნებზე. თქვენ რა მონაცემები გაქვთ ამის შესახებ და დაუშვებენ თუ არა ანქვაბს არჩევნებზე ამჟამად?***

— დიახ, იმ დროს სოხუმში ე.წ. ცესკომ დაადგინა, რომ ანქვაბმა ვითომ კარგად არ იცოდა აფხაზური ენა. ეს სასაცილო იყო ყველასთვის, რადგან თავად აფხაზები ამბობენ, რომ ანქვაბმა კარგად იცის აფხაზური, უფრო მეტიც, ის ლექსებსაც კი წერს აფხაზურ ენაზე. ამაზე თავის დროზე აფხაზური გაზეთები წერდნენ. საინტერესოა, დაუშვებენ თუ არა ანქვაბს, როგორც „პრეზიდენტობის“ კანდიდატს, იმ „არჩევნებზე“, რომელიც უნდა ჩატარდეს უახლოესი 3 თვის განმავლობაში აფხაზეთში. თუ არ დაუშვებენ, რა მოტივით? არ არის გამორიცხული, რომ მან თვითონ თქვას უარი თავისი კანდიდატურის წამოყენებაზე, თუმცა, დღეს ეს არავინ დაზუსტებით არ იცის, გარდა 58 წლის ალექსანდრე ზოლოტინსკის ძე ანქვაბმა, რომელიც პრაგმატიკოს და უშიშარ პიროვნებად ითვლება.

***— „პრეზიდენტობის“ სხვა შესაძლო კანდიდატების თემას შემდეგ შევეხოთ, ახლა კი დავუბრუნდეთ ბაღაფშის მოღვაწეობის შეფასებას. როგორ აფასებდნენ მას სოხუმში ბოლო წლებში?***

— დიდი ნაწილი ძალიან აქებდა ბაღაფშის მოღვაწეობას, ზოგიერთი კი მწვავედ აკრიტიკებდა. კერძოდ, „ჩეგემსკაია პრავდა“ ორი წლის წინ წერდა, რომ „ბაღაფშის კარიერა გამოირჩეოდა მწყობრობით და, ოპოზიციისგან განსხვავებით, ის ხელისუფლებისკენ მიდიოდა არა ბარიკადების გავლით. მან კარიერა ბედნიერ საბჭოთა წარსულში კომკავშირის ჩინოვნიკის თანამდებობიდან დაიწყო. სწრაფად მიაღწია საკმაოდ მაღალ თანამდებობებამდე, მერე რა, რომ არა სოხუმში, არამედ პერიფერიაში — ოჩამჩირის რაიონში. ბაღაფში ამ რაიონს ხელმძღვანელობდა სწორედ მაშინ, როდესაც დაიწყო პირველი ქართულ-აფხაზური შეტაკებები 1989 წელს (ბაღაფში 1981-1989 წწ. იყო საქართველოს კომპარტიის ოჩამჩირის რაიკომის პირველი მდივანი-რედ). პრეზიდენტობის წლებში ბაღაფშმა ისწავლა პრეზიდენტად ყოფნა. მისი წინასაარჩევნო გამოსვლები ძალიან ხისტი იყო, ძალიან ბანალური, არ იყო ქარიზმატული. ამასთან ერთად, როდესაც გაირკვა, რომ მან მაინც გაიმარჯვა, არჩეულ პრეზიდენტს მოუხდა გადაეტანა რამდენიმეთვიანი ზეწოლა და მუქარები, რომელთა შორის ყუბანის გუბერნატორის ალექსანდრე ტკაჩოვის განცხადება „კრიმინალების ბაღაფშის მეთაურობით“ შესახებ ყველაზე საწყენი არ ყოფილა“. „ჩეგემსკაია პრავდა“ წერდა: „აფხაზეთის შიგნით ბაღაფშის მმართველობის სიმბოლოები არის ახალი გზები, ღია ფერებში შეღებილი აგარაკები, თეთრი ბორდიურები და ელიტური უცხოური მანქანები, მაგრამ ბაღაფში არ გახდა პრეზიდენტი რეფორმატორი, თუმცა, იძლეოდა ნათელ იმედებს უფრო დინამიკურ მომავალზე“. „ის არ გახდა კორუფციასთან მებრძოლი. უფრო მეტიც, მის დროს კორუფცია უფრო კონკურენტული გახდა, რაც ასევე უპირატესობაა. თუ წინა ხელისუფლების დროს რესურსებთან (ე.ი. კორუფციის წყაროსთან) მიწვდომის საშუალება ჰქონდა მხოლოდ ერთ ვიწრო გარკვეულ პირთა წრეს, ახლა ეს ათასობით სხვადასხვა ხალხია“. გაზეთი წერდა: „ვერ გაიხსენებთ ვერც ერთ სფეროს, რომელშიც ბაღაფშის დროს ჩატარებული იყო რეფორმები, რომელთაც დასრულებული სახე ექნებოდა. აფხაზეთს გაუმართლა იმ კუთხით, რომ მნიშვნელოვანწილად რეფორმები ჩანაცვლებულ იქნა რუსეთის ინფრასტრუქტურული ინვესტიციებით, მაგრამ აფხაზეთის ხელისუფლების ხასიათი და არსი უცვლელი დარჩა და აფხაზეთის საზოგადოება დამწუხრებულია ამით“. ეს სტატია, რომელიც გამოქვეყნდა ზომიერად ოპოზიციურ გაზეთ „ჩეგემსკაია პრავდაში“, აშკარად მეტყველებდა იმაზე, რომ გავლენიან აფხაზურ პოლიტიკურ ძალებს და მათ მფარველებს რუსეთში სურდათ შეეცვალათ ბაღაფშ-ანქვაბის ტანდემი და ჩაენაცვლებინათ ეს გუნდი სხვა ხალხით, რომლებიც კიდევ უფრო მორჩილნი იქნებოდნენ. 2009 წლის დეკემბერში „არჩევნების“ დროს ამ ძალებმა ვერ შეძლეს ბაღაფშისა და ანქვაბის ჩანაცვლება, რადგან აფხაზური საზოგადოების საკმაოდ დიდი ნაწილი და რუსეთის ხელისუფლების გარკვეული გავლენიანი პირები მათ მხარს უჭერდნენ.

***— ბევრი კითხულობს, ვინ გახდება ბაღაფშის შემდეგ ახალი „პრეზიდენტი“?***

— საუბრობენ სერგეი შამბაზე, ალექსანდრე ანქვაბზე (ორივე გუდაუთელია), ბესლან ბუთბაზე (ოჩამჩირელი), რაულ ხაჯიმბაზე (წარმოშობით ტყვარჩელიდან) და კიდევ რამდენიმე სხვა კანდიდატზე. ამბობენ, რომ კრემლს უფრო აწყობს სერგეი შამბა, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ მოსკოვის ფავორიტი სხვა პიროვნება გახდეს, რადგან კრემლმა ანგარიში უნდა გაუწიოს აფხაზი საზოგადოებისა და მოსახლეობის აზრს. არსებობს კულუარული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ 2009 წლის არჩევნების შემდეგ აფხაზურ პოლიტიკურ ელიტაში მიღწეული იყო ზეპირი შეთანხმება, რომ შემდეგაც არჩევნებზე ოჩამჩირის პოლიტიკური დაჯგუფება არ წამოაყენებს თავის კანდიდატს, რადგან ბოლო ორ არჩევნებში გაიმარჯვა ოჩამჩირელმა ბაღაფშმა. ამ „შეთანხმების“ მიხედვით შემდეგი „პრეზიდენტი“ უნდა იყოს გუდაუთის დაჯგუფების წარმომადგენელი. თუ ასეთ „შეთანხმებას“ ნამდვილად ჰქონდა ადგილი, საკითხავია, შესრულდება თუ არა ის დღევანდელ სიტუაციაში? თუმცა, გლობალურად არსებული ვითარების მიხედვით, ალბათ, გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს იმას, ვინ იქნება ბაღაფშის შემცვლელი და ვინ გაიმარჯვებს რიგგარეშე „არჩევნებში“, რადგან საქართველოს გაერთიანების საკითხი ბევრწილად დამოკიდებულია გეოპოლიტიკურ, გლობალურ და რეგიონულ ფაქტორებზე, თუმცა, დიდი მნიშვნელობა აქვს თავად აფხაზი საზოგადოებისა და პოლიტიკური ელიტის პოზიციებს“.

# არასამთავრობოების აქცია პარლამენტის წინ

**1 ივნისს, ღამის 12 საათზე, პარლამენტის წინ, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებმა 26 მაისის დარბევასთან დაკავშირებით სანთლებით ხელში მდუმარე აქცია გამართეს. აქციაზე მივიდნენ საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლებიც.**

გულიკო ბალა ე

როგორც ჩანს, ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა სადამსჯელო ოოპერაციამ ხალხი ვერ დააშინა. მით უმეტეს, არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც გაერთიანდნენ და უკვე მერამდენედ აწყობენ აქციას ძალადობის წინააღმდეგ.

ადვოკატმა და ადამიანის უფლებადამცველმა გელა ნიკოლაიშვილმა 26 მაისს ღამით თავისი თვალით ნახა, რაც მოხდა.

ხელისუფლება და მათთან ასოცირებული არასამთავრობო ორგანიზაციები მუდმივად აპელირებენ ლიბერალობით. გელა ნიკოლაიშვილის თქმით, მნიშვნელობა არ აქვს, ხელისუფლებაში მოკალათებული ადამიანები რას დაირქმევენ, ლიბერალებს თუ არალიბერალებს, მთავარია, როგორ მოქმედებენ.

— რა მნიშვნელობა აქვს, რას დაირქმევენ. თქვენ გგონიათ, რასისტები ამბობენ, ჩვენ ცუდი ხალხი ვართო? ყველა ამბობს, ჩვენ დემოკრატები ვართო და ხალხის ინტერესებს ვემსახურებითო. ასე ამბობენ ესენიც, მაგრამ რეალურად, ლიბერალობა მათთვი არის ფასადი. ისევე, როგორც დემოკრატიიაა საქართველოში, ასევე მათი ლიბერალიზმიც მხოლოდ სახელია, თორემ ვისაც ახსოვს, სოციალისტური და კომუნისტური დემოკრატია ლოზუნგების მიხედვით იყო ყველაზე უფრო დიდი დემოკრატია მსოფლიოში. ასევეა დღევანდელი ქართული დემოკრატიაც, — ამბობს გელა ნიკოლაიშვილი.

„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ხელმძღვანელი ალეკო ცქიტიშვილი ამბობს, რომ თუ ყველას შეეშინდება და მომხდარის გამო პროტესტს არ გამოთქვამს, ამით ხელისუფლებას საშუალებას მივცემთ, ძალადობა გააგრძელოს. სანამ იქნება წინააღმდეგობა, მანამდე შესაძლებლობაც იქნება იმისა, რომ ხელისუფლების ძალადობას საზოგადოება წინ აღუდგეს. „თუ საზოგადოების მხრიდან წინააღმდეგობა არ იქნება, ხელისუფლების ძლადობა უფრო საშიშ და დიდ მასშტაბებს მიიღებს. სასურველია, რომ საზოგადოება არ შეშინდეს და ხელისუფლების ძალადობას დაუპირისპირდეს. ეს იყოს ადამიანების სამაგალითოდ დასჯა“, — განაცხადა ალეკო ცქიტიშვილმა.

ექსპერტი ეკონიმიკის საკითხებში გია ხუხაშვილის თქმით, ჩვენ რომ გვყავდეს ისეთი ხელისუფლება, მასი ადამიანებს პროტესტის გამოსახატავად

**გაგრძელება მე-7 გვერდზე**

## არასამთავრობოების აქცია პარლამენტის წინ

დასაწყისი მე-6 გვერდზე

პარლამენტის წინ ღამის 12 საათზე მისვლა არ მიუწევდათ.

— ჩვენ რომ გვყავდეს ისეთი ხელისუფლება, მაშინ ჩვენ აქ არ ვიდგებოდით. ჩვენ აქ დგომით, ამ კითხვაზე პასუხი გაცემულია.

— ბატონი გია, პარლამენტში მსხდომ პირებს ხალხის რჩეული ჰქვიათ, ყოველ შემთხვევაში ასე ირქმევენ, როგორ ფიქრობთ, 26 მაისის სადამსჯელო აქციის მიმართ მათი შეფასებები ხალხის შეფასებების ადეკვატური თუ არის?

— რა თქმა უნდა, მათი შეფასებები არ არის ადეკვატური. ნაცვლად იმისა, რომ სახელმწიფოებრივი ამოცანები წყდებოდეს, ნაცვლად იმისა, რომ განსხვავებული აზრისადმი ტოლერანტულები იყვნენ, განსხვავებულ აზრს დაარქვეს რუსეთი და ექცევიან, როგორც მტერს. ნებისმიერი უკმაყოფილო ადამიანის პროტესტი, სოციალური თუ მორალური მიზეზით გამოწვეული, ასოცირდება და იდენტიფიცირდება რუსეთთან. თუ თქვენ თქვენი შვილი პრეზიდენტზე მეტად გიყვართ, თქვენ უკვე რუსეთი ხართ. დაარქვეს რუსეთი და რუსეთს, ანუ ჩვენ — მთელ საზოგადოებას გვირტყამენ თავში. ჩვენ მათთვის ყველა ვართ რუსეთი.

— საზოგადოებამ დაიჯერა, რომ ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალება მზადდებოდა, რომ რუსეთის გერეუ-ს სპეცრაზმი უნდა შემოსულიყო?

— თუ საზოგადოებამ ეს დაიჯერა, მაშინ ეს საზოგადოება იმ ხელისუფლების ღირსია, რომელიც ჰყავს.

პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილის აზრით:

— საქართველოს ხელისუფლებამ დაფიქრების პოტენციალი ამოწურა და ახლა სარგებლობს საკუთარი ნიჭის შესაბამისი მონაგონი იმის თაობაზე, რომ ნებისმიერი წინააღმდეგობა მათ მიმართ, ნებისმიერი მიუღებლობა მათი მოქმედებისა, წარმოაჩინოს, როგორც რუსული ძალის მოქმედება საქართველოში. ეს პრიმიტიული გზა არის უკანასკნელი თავშესაფარი ამ იდეოლოგიის, რომელიც მათ გააჩნიათ და ამიტომ დაფიქრება არ შედის ხელისუფლების ინტერესებში. მათ ყველაფერზე მზა პასუხი აქვთ.

ხელისუფლებამ მცდელობა არ დააკლო, რომ საზოგადოებას დაეჯერებინა, რომ ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალება და უბედურება მზადდებოდა.

ხელისუფლებამ გამოაქვეყნა ათასგვარი დამონტაჟებული თუ დაუმონტაჟებელი (ზუსტად უფალმა უწყის, როგორი ჩანაწერებია) ჩანაწერები, თითქოს აქციის ორგანიზატორები საქართველოში ოკუპანტის სპეცრაზმებს იწვევდნენ, მაგრამ ამგვარი ბრალდებები ჩვენ ადრეც გვსმენია და ტყუილი გამომდგარა. მიიღო თუ არა საზოგადოებამ ხელისუფლების მტკიცებულებები. სოსო ცისკარიშვილის თქმით:

— ინფორმირებულ საზოგადოებას ძნელად თუ გაუჩენ ასეთ ეჭვს, რადგან საზოგადოებას კარგად ახსოვს 2007 წელი, 2009 წელი, როცა რუსთაველის გამზირზე თითქოს სწორედ ასეთი საზოგადოება იდგა, აცხადებდნენ, თითქოს რუსეთის ჯარი ყაზბეგის მხრიდან საქართველოს საზღვრებს მოადგა, როგორ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, თითქოს სამშობლოს ღალატის მუხლით შალვა ნათელაშვილის წინააღმდეგ, როგორ გამოცხადდა ჯაშუშად გოგა ხაინდრავა და სხვა. აღმოჩნდა, რომ ეს ყველაფერი იყო პრიმიტიული ბლეფი და ვერანაირი განვითარება ამ სისხლის სამართლის საქმემ ვერ ჰპოვა. ამიტომ საუბარი ზედმეტია იმაზე, ჩვენი ხელისუფლების შემყურემ უნდა დავიჯეროთ, რომ სააკაშილის ფხიზელმა გონებამ რუსთაველის გამზირზე დაამარცხა კრემლი, ეს დაახლოებით ისეთი მითია, როგორც საუბარი იყო უიმაზე, რომ ცხინვალში რუსეთმა დაამარცხა ვაშინგტონი. ამაშიც პუტინი და სააკაშვილი ერთნაირ ხედვას ავლენენ.

— ბატონო სოსო, ამ დღეებში ჩვენ მოვისმინეთ შეფასება, რომ ის ხალხი დარბევის ღირსი იყო. ის საზოგადოება, რომელიც ხელისუფლების მხრიდან პერმანენტულად დარბევის საგანი ხდება, ასეთი შეურაცხყოფის ღირსია?

— საზოგადოება უნდა მიხვდეს, რომ მისი პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ ავად არ იქცევა პატიოსნად არჩევნების პროცესში. საზოგადოებას აქვს უფლება, მოსთხოვოს ხელისუფლებას პასუხი მისი ქმედებისთვის, თუ თავად უდანაშაულოა და არ არის ფალსიფიკაციაში ხელის შემწყობი არჩევნების პროცესში. სამწუხაროდ, დღეს დიდი ნაწილი გახლავთ ან მოსყიდული, ან დაშინებული, ან პირიქით, სიამოვნებით ჩართული იმ პროცესში, რასაც ჰქვია არჩევნების გაყალბება. ყველაფერი ეს, მას ხდის თანამზრახველად იმ ბოროტებისა, რასაც ჰქვია მათ მიერ არჩეული ხელისუფლება. თორემ, თავისთავად, ის საზოგადოება, რომელიც 26 მაისს აქ იდგა, ძალადობის კი არა, სიტყვის შებრუნების ღირსიც არ არის, რადგან აქ ყველა მოსული იყო საკუთარი გაჭირვების და არა იმ ლოზუნგების გამო, რაც გვესმოდა ტრიბუნიდან.

# დასავლეთს სააკაშვილის რეჟიმის შეცვლა არ სურს

## ბურჯანა ეს მათი იმედი ტყუილად ჰქონდა

შორენა გონგლა ე

### ინტერვიუ პოლიტოლოგ გულბაათ რცხილაძესთან

***— როგორ აფასებთ 26 მაისს განვითარებულ მოვლენებს, ჰქონდა თუ არა პოლიციელთა მხრიდან ძალის გადამეტებას ადგილი?***

— ეს ქმედებები იურისტებმა ჯეროვნად შეაფასეს, მაგრამ ვინაიდან საქართველოში არ არსებობს არც სამართალდამცავი ორგანოები და არც სასამართლო, არამედ არსებობს ძალოვანი ორგანოები და მათდამი დაქვემდებარებული ფსევდოსასამართლო, ამ შეფასებებს მხოლოდ სიმბოლური ხასიათი აქვთ. არც კანონის, არც ადამიანობის ფარგლებში ეს ქმედებები, რა თქმა უნდა, არ ჯდება.

***— თავიდანვე ნათელი იყო, რომ მომიტინგეებს ძალის გამოყენებით დაშლიდნენ. ხომ არ ჰქონდა ადგილი აქციის ორგანიზატორების მხრიდან მიზანმიმართულ პროვოკაციას?***

— ეს, ალბათ, უფრო ამ ორგანიზატორებს უნდა ჰკითხოთ. მაგრამ მე იმას გეტყვით, რაც არის ამ აქციის ორგანიზატორთა და მთლიანად ჩვენი საზოგადოების მთავარი დაავადება: უმაღლეს ინსტანციად ყველა მათგანი განიხილავს ამერიკისა და ევროპული სახელმწიფოების საელჩოებს, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობებს საქართველოში. 26 მაისის მოვლენების შემდეგ დადასტურდა, რომ ქართულ ოპოზიციურ პოლიტიკურ სპექტრს კონკრეტული მოქმედების არანაირი გეგმა არ გააჩნია, გარდა დასავლეთის საელჩოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი მიმართვების გაკეთებისა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათი ყოველი მოქმედება — იქნება ეს რადიკალური ოპოზიციის ქუჩის მსვლელობა თუ საპარლამენტო ოპოზიციის მიერ მოლაპარაკების მაგიდასთან გაკეთებული წინადადება — საბოლოო ჯამში, მიზნად ისახავს ამერიკის, ევროპისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებზე შთაბეჭდილების მოხდენას! სწორედ დასავლეთმა უნდა მოახდინოს შემდგომ ზეწოლა სააკაშვილზე და ცხოვრებაში გაატარებინოს ხალხისა და ოპოზიციის ესა თუ ის სურვილი — ასეა განწყობილი თავად ქართული ოპოზიცია შინაგანად, ასეა მოწყობილი მისი პოლიტიკური აზროვნება. შესაბამისად, აქციის ორგანიზატორები იმედოვნებდნენ, რომ დასავლეთის დიპლომატები და საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციები ხელისუფლების ქმედებებს დაგმობდნენ. ამიტომ ორგანიზატორებს აქციის დარბევა უღირდათ — დასავლეთს რომ მათი დარბევა დაეგმო, ეს ხომ სააკაშვილს მართლაც წყალს შეუყენებდა. მაგრამ აქციის ორგანიზატორებს, ისევე, როგორც, პრაქტიკულად, მთელ ქართულ პოლიტიკურ სპექტრს, არასწორი წარმოდგენა აქვს დასავლეთზე და ჰგონია, რომ იქ დეკლარირებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს რეალური ფასი აქვს, რაც მავნე შეხედულებაა, განსაკუთრებით — საგარეო-პოლიტიკურ კონტექსტში. არც არაბულ რევოლუციებს უჭერს დასავლეთი მხარს იმის გამო, რომ მას ადამიანის უფლებები აღელვებს. ეს ელემენტარული ჭეშმარიტება ვერა და ვერ შეიგნო ჩვენმა დილეტანტმა ოპოზიციამ. დააკვირდით, რა განცხადებები გააკეთა ნინო ბურჯანაძემ აქციის დარბევის წინ და შემდეგაც. დარბევამდე იგი ამბობდა, რომ ამერიკის ელჩი, ბასი, რომელმაც, ფაქტობრივად, მიტინგის დარბევის სანქცირება მოახდინა, უბრალოდ, დიპლომატიურად საუბრობს და რეალურად იგი სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ არის განწყობილი, ანუ ბურჯანაძე მიანიშნებდა, დასავლეთი ჩემ მხარეს არისო. დარბევის შემდგომ მან რამდენჯერმე მიმართა დასავლეთის წარმომადგენლობებს და მათი არასასურველი რეაგირების გამო აღშფოთდა კიდეც. ფაქტობრივად, დამტკიცდა, რომ ბურჯანაძეს არაფერი ჰქონდა გათვლილი იმასთან დაკავშირებით, თუ აქციის დარბევის შემდეგ რა უნდა გაეკეთებინა, მთელი მისი გათვლა დაფუძნებული იყო დასავლეთის რეაქციაზე. მაგრამ, რა თქმა უნდა, დასავლეთს არ სურს საქართველოში იმ რეჟიმის შეცვლა, რომელიც ბეჯითად ემსახურება მის ინტერესებს და ყოველმხრივ არის მასზე დამოკიდებული, ამიტომ რაღაც მიტინგის დარბევა თბილისში დასავლეთისთვის, რომელიც თავად შეუდარებლად მეტ მშვიდობიან ადამიანს ხოცავს ავღანეთსა და ლიბიაში, არააქტუალურია. შესაბამისად, მისი რეაქცია არასასურველი იყო ბურჯანაძისა და მთლიანად სააკაშვილის რეჟიმის მოწინააღმდეგეებისთვის. მივესალმები ზაზა შათირიშვილისა და დავით მაღრაძის განცხადებებს, რომლებმაც ამერიკის პოლიტიკას თავისი სახელი დაარქვეს. მე ამას ათ წელიწადზე მეტი ხანია ვამბობ, მაგრამ იქნებ ამ ადამიანებს მაინც დაუჯერონ ახლა, თუკი პოლიტიკის ექსპერტების აზრი არ აინტერესებთ.

***— ეთანხმებით თუ არა მოსაზრებას, რომ აქციები ფინანსდებოდა და იმართებოდა რუსეთიდან?***

— არა, არ ვეთანხმები. უკვე ოცი წელიწადია, ანტირუსული ისტერიკა სუფევს ჩვენს ქვეყანაში და სამივე პრეზიდენტი — გამსახურდია, შევარდნაძე და ახლა ყველაზე ისტერიკულად — სააკაშვილი — ცდილობდა და ცდილობს რუსეთისგან მარადიული დემონის სურათის დამკვიდრებას, რაც საშუალებას იძლევა, ნებისმიერი ანტიკანონიერი ქმედება გამართლებულ იქნეს გარეშე მტერთან ბრძოლის აუცილებლობით.

***— ბიწაძის წინააღმდეგ ბრალდებები რამდენად მყარი და რეალობასთან მიახლოებულია?***

— მე რასაც ვხედავ, სახელდახელოდ შეთითხნილი ფაბრიკაციების კორიანტელი დააყენა ხელისუფლებამ. რაც დრო გადის, შსს მით უფრო უნიჭო ვერსიებსა და არადამაჯერებელ ვიდეო თუ აუდიომონტაჟებს გვთავაზობს, 2007 წელს — კიდევ ჰო, რაღაც დამაჯერებლობის ნატამალი მაინც იდო მაშინდელ სიყალბეებში, მაგრამ ახლა საერთოდ სასაცილოა ეს ყველაფერი, სატირალი რომ არ იყოს.

***— ოპოზიციის ნაწილმა მხარი არ დაუჭირა იმ მოტივით, რომ მათთვის რუსეთთან ურთიერთობა მიუღებელია, გავრცელებული ინფორმაციით კი ოპოზიციის ნაწილმა აქციებზე გასვლა გარკვეული თანხის სანაცვლოდ გადაიფიქრა...***

— ოპოზიციის ეს ნაწილი ბედნიერია იმით, რომ 2008 წელს რუსეთთან ომი მოხდა. ამ ომმა მათ საშუალება მისცა, ღიად განეცხადებინათ ის, რასაც ფარულად აკეთებდნენ, კერძოდ, რომ ხელისუფლებას უდგებიან გვერდით, ვინაიდან რუსეთი გარეშე მტერია და იგი ოკუპანტია. ზემოთ მე ხელისუფლების მიზანი ვახსენე რუსეთისგან დემონის ხატის შექმნით. ოპოზიციაც არანაკლებ სპეკულანტურად იყენებს რუსეთის თემას და საკუთარ გამყიდველობასა და ხალხისთვის გადამწყვეტ მომენტში ზურგში დანის ჩაცემას ამით ამართლებს. აღარ მინდა ახლა გვარები ჩამოვთვალო, ყველამ იცის, ვის დაუფარეს კრედიტები, ვინ გახდა სააკაშვილისთვის კონსტრუქციული ოპოზიცია და ვისით უკეთებს თავის მხეცურ ქმედებებს ლეგიტიმაციას ეს ხელისუფლება — სწორედ ამ კონსტრუქციული ოპოზიციით.

***— საუბარია საგამოძიებო კომისიის შექმნაზე. რამდენად ეფექტური იქნება კომისიის მუშაობა?***

— ძალიან სკეპტიკურად ვარ განწყობილი, თუმცა, მგონი, კომისიაც არ შეიქმნება.

***— აქციის დარბევას წინ უძღოდა ამერიკის ელჩის განცხადება, რომელმაც საზოგადოების გაღიზიანება გამოიწვია. იყო თუ არა ელჩის ეს განცხადება აქციის დარბევისთვის მწვანე შუქის ანთება?***

— ეს იყო ამ კონკრეტული ელჩის საკმაოდ სუსტი ნაბიჯი. ვფიქრობ, რომ ბასი აჩქარდა. მისი განცხადება საერთოდ არ იყო საჭირო, მიტინგს ისედაც დაარბევდნენ. ამჟამად კი ამერიკის იმიჯი კიდევ უფრო შეილახა ქართველი ხალხის თვალში. ზემოთ ვახსენე ზაზა შათირიშვილი და დათო მაღრაძე. მე მგონი, ამ ადამიანებს პრორუსულობას ვერავინ დასწამებს, მაგრამ ის, რაც ამერიკის პოლიტიკაზე მათ თქვეს, ძალიან სიმპტომატურია მთლიანად ქართველ საზოგადოებაში არსებული განწყობებისათვის. ელჩ ბასს რომ არც არაფერი ეთქვა, ისედაც ცხადი იყო, რომ ამერიკა სააკაშვილის რეჟიმს ამყარებს, მაგრამ ამ მოუქნელი განცხადებით ელჩმა ცეცხლზე ნავთი დაასხა და სააკაშვილით უკმაყოფილო ხალხის რისხვა ამერიკაზე გადაიტანა ნაწილობრივ. ასევე გამაღიზიანებლად იქცევა ზოგიერთი სხვა დასავლური სახელმწიფოს ელჩი. თუმცა, ეს ქართველების ბრალია, ეს ხომ ჩვენვე გავალმერთეთ ყბადაღებული დიპლომატიური კორპუსი. ხელისუფლებაც და ოპოზიციაც ყველაფრის შესათანხმებლად მათთან დარბის და მათგანაც სხვას რას უნდა ველოდოთ, გარდა მენტორული ტონისა და „ბრძნული" რჩევებისა. ამ დიპლომატებმა უკვე კარგა ხანია დაკარგეს დიპლომატობის შეგრძნება და ისე იქცევიან, როგორც მათი გუბერნატორები იქცეოდნენ ადრე, ზღვისიქითა ბანანის კოლონიებში.

აუცილებელია, ქართველმა ხალხმა მოახერხოს შიდა რესურსების მობილიზება და წყალი შეუყენოს დასავლეთის ტოტალურ ბატონობას საქართველოში. სხვაგვარად ჩვენ ვერასოდეს ჩამოვყალიბდებით სუვერენულ სახელმწიფოდ. ამაში რუსეთში და სხვა ქვეყნებში მცხოვრები ძლიერი ქართული დიასპორები



უნდა დავიხმაროთ, რომლებიც დახმარებისთვის მზად არიან. ჩვენ კი, ნაცვლად ამისა, მათ ხელს ვკრავთ და რუსეთის აგენტებად ვნათლავთ. არადა, აგენტურა დასავლეთს რომ ჰყავს საქართველოში, რუსეთს არც დასიზმრებია. ტრაგედიაა, რომ სწორედ დამოუკიდებლობის დღეს რომელიმე, თუნდაც ძალზე მძლავრი სახელმწიფოს ელჩი თავს უფლებას აძლევს, მსგავსი განცხადებები აკეთოს და საქართველოს საშინაო საქმეებში ჩაერიოს.

***— ოპოზიციის ნაწილი აცხადებს, რომ ხელისუფლების ცვლილება უნდა მოხდეს არჩევნების გზით, რომ არჩევნებს ალტერნატივა არ აქვს...***

— ზოგადად, რა თქმა უნდა, არჩევნები ყველაზე ქმედითი იარაღია, ლეგიტიმურობასთან ერთად. მაგრამ შევხედოთ, რა გააკეთა ოპოზიციამ აქამდე? ხალხმა 2007 წლის 7 ნოემბერს გამოჩენილი გმირობით მიაღწია სააკაშვილის გადადგომას და, მიუხედავად რეჟიმის უზარმაზარი წინააღმდეგობისა, იგი დაამარცხა ვადამდელ არჩევნებში 2008 წლის 5 იანვარს. ოპოზიციას ხელთ ჰქონდა უტყუარი მტკიცებულებები, თუ როგორ გააყალბა ხელისუფლებამ არჩევნები, ანუ, ფაქტობრივად, როგორ წააგო სააკაშვილმა, ოპოზიციამ ამ ყალბი ბიულეტენებისა და ოქმების გამოფენაც კი მოაწყო (გაგეცინებათ — ისევ და ისევ უცხოელი ელჩები მოიწვია ამ გამოფენაზე, მაგრამ ისინი არ მოვიდნენ). კარგად მახსოვს, ახლანდელი რვიანის მონაწილე ზოგი ოპოზიციონერი როგორ კიოდა უკვე 6 იანვარს, ვიცით გაყალბების შესახებ და გეფიცებით, ხალხო, თქვენს ხმებს არ დავთმობთ, ბოლომდე ვიბრძოლებთო. მაგრამ რა ქნეს? სააკაშვილს დაუკანონეს გაყალბებული არჩევნები, ათეულობით თუ ასეულობით ათასი საბრძოლველად აღტყინებული კაცი გაუშვეს სახლებში, ანუ ოპოზიციამ უკვე მოგებული არჩევნები ვერ მოიგო, დაიწყეს ამერიკელებთან წანწალი, მიიღეს დაპირებები, აი, საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება და იქ აღარ გაგიყალბებენო. ყველამ იცით, მერე რაც მოხდა. შარშან კი მუნიციპალური არჩევნები ჩატარდა და იქ უკვე ყოველგვარი გაყალბების გარეშე ხელისუფლებამ გამანადგურებლად მოუგო ოპოზიციას, უგულავა კანონიერი მერი გვყავს□ახლა ვკითხოთ რვიანებს და კიდევ ვინც არიან: პატივცემულებო, 2012 წელს რომ გაყალბდეს არჩევნები (გარემოსგან დამოუკიდებლად), ისევე აპირებთ ამომრჩევლების ხმების დაცვას, როგორც 2008 წლის იანვარში დაიცავით თუ კვლავ დიპკორპუსის იმედად გვტოვებთ? ან, იქნებ, სულო ცოდვილო და, ხელისუფლებასთან პირდაპირ გარიგებაში შეხვალთ და, როდესაც მოგიგდებენ რამდენიმე ადგილს პარლამენტში, ამას დიდ გამარჯვებად და დემოკრატიისკენ წინგადადგმულ ნაბიჯად გამოაცხადებთ?! ამ ოპოზიციამ ხალხს აჩვენა, რომ სააკაშვილს ვერც რევოლუციით, ვერც არჩევნებით ვერ უგებს. სააკაშვილსაც მეტი რა უნდა, უკვე ისე იქცევა, როგორც ღვთაება-ფარაონი, ნერგავს თავისი უძლეველობის (მიშა მაგარია) მითს და კულტს. ნახეთ, ალბათ, რიყეზე ახლად აშენებულ შადრევნებში უკვე სააკაშვილის გამოსახულება ირეკლება. მაინცდამაინც იმედი არ მაქვს, რომ ჩვენს საზოგადოებას ამის ძალა შესწევს და საამისო ინტელექტუალური რესურსები არსებობს, მაგრამ საქართველოში საჭიროა გრძელვადიანი საგანმანათლებლო მუშაობა, ისეთი, რომ ახალგაზრდა თაობა აღიზარდოს რელიგიური და თან მებრძოლი სულისკვეთებით, რათა ერთ მშვენიერ დღეს საქართველოც ერთბაშად განიწმინდოს უცხო ძალების ბატონობისგან, როგორც ეს ამ უცხო ძალებისთვის მოულოდნელად მოხდა ირანში, ისლამური რევოლუციის ჟამს.

შედით საიტზე atb.ge

# „მასმოდა 2011“ რედისონში ჩატარდება

ეკა ირემაშვილი

პოდიუმი ჟურნალისტებისთვის წელს უკვე მეექვსედ მოეწყობა, სადაც 60-მდე ჟურნალისტი გაივლის. მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დასრულებულია. პროექტში მონაწილე მას მედიის წარმომადგენლებმა რეპეტიცია რესტორან „ბოჰემაში“ გაიარეს და ახლა მთავარი დღისთვის — 4 ივნისისთვის ემზადებიან.

წელს ჟურნალისტები პოდიუმამდე „პორშეს“ მანქანებით მივლენ. საღამო კონსერვატიული და კლასიკური იქნება. ეკატერინე თადუმაძე და თამარ ჯინჭარაძე პროექტს უკვე მე-6 წელია ახორციელებენ. მათ მიერ მასმოდისთვის შერჩეული ჟურნალისტები ერდისონში შეკრებილი საზოგადოების წინაშე რადიკალურად განსხვავებულ ამპლუაში წარსდგებიან.

დიზაინერ დადუს გადაწყვეტილებით, მანდილოსნები აბრეშუმისა და შიფონის საღამოს კაბებს მოირგებენ. მამაკაცები კი შეეცდებიან საღამოს გლამურობა ფრაკებში გამოწყობილებმა შესძინონ. დიზაინერმა წელს ჟურანლისტებთან შეთანხმებულად იმუშავა და კოსტიუმების შექმნისას მათი ინტერესები მაქსიმალურად გაითვალისწინა. კოლექციაში კრეატიული ელემენტებიც არის, მთლიანობაში კი უფრო საღამოს კაბებია.



— კოლექცია უკვე მზად არის, თითქმის ყველაფერი დასრულებულია. მხოლოდ 4 ივნისს ველოდებით. კოლექცია ძალიან ლამაზი, კლასიკური და აკადემიური გამოვიდა. ფერებიც ძირითადად მხოლოდ სამი გვაქვს და სამივე საკმაოდ ლამაზია, — განაცხადა დიზაინერმა დადუ თადუმაძემ.

როგორც ღონისძიების ორგანიზატორმა თამარ ჯინჭარაძემ განაცხადა, პოდიუმზე დამდგარი ჟურნალისტებისთვის სიურპრიზები მრავლად იქნება, რადგან ღონისძიების პარტნიორმა და სპონსორმა კომპანიებმა მრავალი საჩუქარი დააწესეს მათთვის. მასმოდაში წელს მონაწილე ჟურნალისტების გარდა კი, მისი ორგანიზატორები სიურპრიზს ყოფილ მასმოდელებსაც უმზადებენ, თუმცა მისი დაკონკრეტება 4 ივნისამდე არ სურთ.

# სუხიშვილებმა ქველმოქმედებისთვის იცეკვეს

ეკა ირემაშვილი

სუხიშვილების საქველმოქმედო კონცერტი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კოკაკოლასა და მაკდონალდსთან ერთად „თბილისი არტ ჰოლში“ გამართეს. საქველმოქმედო საღამოზე მოცეკვავეებმა ორი ნაწილისგან შემდგარი კლასიკური პროგრამა „ნოსტალგია“ წარმოადგინეს. მასში შესრულებული ცეკვების ნაწილი წლების მანძილზე ახალ პროგრამასთან ერთად სხვადასხვა ქვეყნის სცენებზე სრულდებოდა. განახლებული პროგრამა „ნოსტალგიით“ კი მაყურებელს საშუალება მიეცა, ყველა ის ტრადიციული ცეკვა ენახა, რომელზეც თაობები იზრდებოდნენ.

საქველმოქმედო კონცერტს თბილისის ბავშვთა სახლის მზრუნველობამოკლებული აღსაზრდელები დაესწრნენ. კონცერტზე მოსულ პატარა სტუმრებს კონცერტის სპონსორებმა საინტერესო სიურპრიზი მოუმზადეს. სუხიშვილების პრესცენტრის განცხადებით, მსგავსი საქველმოქმედო კონცერტები მომავალშიც გაგრძელდება.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს მიუძღვნეს ღონისძიება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. მასშტაბურ აქციაზე სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები მათ შორის, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის, ასევე თავად ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლები შვილებთან ერთად ჩაერთვნენ სპეციალურად მომზადებულ საბავშვო□შემეცნებით პროგრამაში. ღონისძიება ორ ძირითად კომპონენტს მოიცავდა — „ერთად ვიმოგზაუროთ ხელნაწერთა სამყაროში“ — საექსკურსიო ტური და საბავშვო პროგრამა „ჩემი პირველი წიგნი“. პროგრამის მიზანი ღონისძიებაში ჩართული მოზარდების თვალსაწიერის გაფართოება, წიგნისადმი ინტერესის გაღვივება და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ოჯახური ვიზიტების პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობა იყო.

მუშთაიდის ბაღში საბავშვო კონცერტი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ანსამბლები და სხვა ბავშვთა კოლექტივები. საბავშვო კონცერტები ჩატარდა ჯანსულ კახიძის სახელობის ბაღშიც. იქ შეკრებილი ბავშვებისთვის საბავშვო მუსიკალურმა სტუდიამ „ბასტი-ბუბუ“ და ეროვნული უმცირესობების საბავშვო ანსამბლებმა ჩაატარეს კონცერტი. ბავშვთა ქალაქ „მზიურში“ ფესტივალი „ჩვენ ვხედავთ მზეს“ უკვე მეექვსედ გაიმართა. ორხევში კი მე-19 ხელოვნების სკოლის გოგონათა სასულე ორკესტრის პრეზენტაცია-კონცერტი მოეწყო.

საბავშვო მუსიკალური სატელევიზიო კონკურსის „ანა-ბანა“ გრანდიოზული კონცერტი შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა, რომელშიც „ანა ბანას“ 100 მონაწილე და ესტრადის ვარსკვლავები იღებდნენ მონაწილეობას.

გლდანის პარკში კი გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების სახელმწიფო თეატრმა გამართა საქველმოქმედო სპექტაკლი ბავშვთა სახლებისა და სკოლამდელი და დაწყებითი კლასების მაყურებელთათვის. თეატრის მსახიობებმა პატარა მაყურებლებს წარუდგინეს სუპონინის „ბუტია“. სპექტაკლზე დასწრება ნებისმიერი მსურველისთვის თავისუფალი იყო.

პირველ ივნისს გაიხსნა ახალი საგამოფენო სივრცე თბილისში, რომელსაც „ახალი გალერეა“ ეწოდება. საექსპოზიციო სივრცის პრეზენტაცია ირაკლი ფარჯიანის ნამუშევრებით შედგა. გალერეის ხელმძღვანელთა გადაწყვეტილებით, გამოფენაზე ცნობილი ქართველი მხატვრის დღემდე უცნობი ტილოები გამოიფინა. ბერლინის ციკლი, ჰომეროსის ოდისეა და საბავშვო ბიბლია — ირაკლი ფარჯიანის შემოქმედების სამი ეტაპის განმავლობაში შექმნილი ნამუშევრები ახალ გალერეაში 20 დღე დარჩება. კოლექცია წლების განმავლობაში მხატვრის ოჯახში და სხვადასხვა პირად ფონდებში იყო დაცული და ისინი ფართო საზოგადოების სამსჯავროზე პირველად იქნა წარმოდგენილი.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში პოეტ ზოია ვაშაკიძის შემოქმედებითი საღამო გაიმართა და შეკრებილ საზოგადოებას წარედგინა მისი ახალი პოეტური კრებულები — „საქართველოს იმედი ხარ“, „რჩეული ლირიკა“, „ხატის წინ ჩურჩულით ნათქვამი“ და „ჩემი ჯიხაიში“. ღონისძიება ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა. საღამო საქართველოს მწერალთა კავშირისა და საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა.

# ტექნიკურ უნივერსიტეტს ახალი ჯგუფი ჰყავს

ეკა ირემაშვილი

სტუდენტური დღეები 2011-ის მიერ დაწესებულ ნომინაციაში წლის აღმოჩენა ტექნიკური უნივერსიტეტის ჯგუფი „ურსა“ გახდა, რომელმაც ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს ტექნიკური უნვიერსიტეტის თეატრში „მოდი ნახე“ კონცერტი გამართა ლოზუნგით — ერთად ვიზრუნოთ ბავშვებზე.

ჯგუფში შვიდი წევრია, მისი მუსიკალური მიმდინარეობა კი ძირითადად ჯაზფოლკია. როგორც ჯგუფის ერთ-ერთი წევრი შოთა ქვარცხავა განმარტავს, თავდაპირველად ჯგუფი 8 წევრისგან შედგებოდა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო მევიოლინეს „ურსადან“ წასვლა მოუწია. ტექნიკური უნივერსიტეტის ჯგუფი დაახლოებით ერთი წელია შეიკრიბა და ამ ხნის განმავლობაში სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში აქტიურად იღებს მონაწილეობას. ჯგუფი კონცერტებისა და ფესტივალების ხშირი სტუმარია.

**შოთა ქვარცხავა, ჯგუფის „ურსა“ წევრი:**

— წელს ჩვენ სტუდენტური დღეების აღმოჩენა გავხდით, რაც ჩვენთვის დიდი პატივია. პირველ ივნისს ჩავატარეთ სოლოკონცერტი. საათ-ნახევრიანი საკმაოდ მრავალფეროვანი პროგრამა გვქონდა. ამ დღეს ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, გლდანის ბავშვთა სახლიდან დავპატიჟეთ ბავშვები და მათთვის ვიმღერეთ.

— ***პროფესიით მომღერლები ხართ?***

— არა. ჩვენ ახლა ვსწავლობთ პროფესიონალურად.

— ***ვინ არიან თქვენი ჯუგფის წევრები?***

— ჯგუფში „ურსა“ შვიდი წევრია — ლევან ფერაძე, კობა შენგელია, გიორგი ძოწენიძე, თორნიკე კანდელაკი, ცოტნე ხაზიური, გიორგი გრიგალაშვილი და მე, შოთა ქვარცხავა.

— ***ხელმძღვანელი გყავთ?***

— არა. ჩვენ ჯგუფი ვართ და თვითონ ვაკეთებთ ყველაფერს.

— ***მუსიკალურ ინსტუმენტებს იყენებთ?***

— კი. აკაპელაც გვაქვს, მაგრამ ინსტრუმენტების თანხლებითაც ვმღერით. ჩვენ ვიყენებთ ერთ სოლოგიტარას, ბასგიტარას, ორ ფანდურს, პერკუსიას და შეიკერს.

— ***ეს ყველაფერი თვითონ ისწავლეთ?***

— დიახ. თანდათან ვსწავლობთ და კიდევ უფრო ვაუმჯობესებთ ჩვენს შესაძლებლობებს. ვინც კონცერტზე მოვა, ამაში ნამდვილად დარწმუნდება. ჩვენი კონცერტი გეპეის მეორე კორპუსში, თეატრ „მოდი ნახეში“ ჩატარდება.

— ***საპატიო სტუმრები გეყოლებათ?***

— რა თქმა უნდა, მოწვეული სტუმრები იქნებიან.

— ***სხვადასხვა ფესტივალებში თუ მიგიღიათ მონაწილეობა?***

— „არტ გენში“ გასულ წელს მივიღეთ მონაწილეობა, სტუდენტურ ფესტივალში „ერის ხმა“, რომელიც ბათუმში გაიმართა, იქაც გამოვედით. კონცერტებსა და სხვადასხვა ღონისძიებებში თითქმის კვირაში ორჯერ გვიწევს გამოსვლა. თუ ნორმალური დონის კონცერტზე მიგვიწვევენ, უარს არასოდეს ვამბობთ.

— ***საგალობლებს ასრულებთ?***

— არა, საგალობლებს და ძველ ხალხურ სიმღერას ნაკლებად ვმღერით. ის კი არადა, მრავალჟამიერსაც არ ვასრულებთ. ჩვენ უფრო სხვა მიმდინარეობაში ვუკრავთ, ეს არის ქართული ფოლკლორი ჯაზის ელემენტებში თანაც ინსტრუმენტების თანხლებით.

— ***ვინ აფასებს თქვენს შემოქმედებას?***

— ჩვენ მასტერ კლასებს ჯგუფ „ეგარის“ ხელმძღვანელი დავით შანიძე გვიტარებს.

— ***რას ნიშნავს თქვენი ჯგუფის სახელწოდება „ურსა“?***

— ურსა არის ხანჯალი ხევსურეთში, რომელიც ყოველდღიური გამოყენების იყო. აქედან წამოვიდა ჩვენი ჯგუფისთვის ამ სახელის დარქმევის ინიციატივა. ჩვენი მუსიკაც ქართულია, ჩვენი ჯგუფის სახელწოდებაც ქართულია და ამიტომ გვგონია, რომ ერთმანეთს უხდება.


**განცხადება**

მცირე ტირაჟით გამოვიდა ეგნატე გაბლიანის ნაშრომები სვანეთზე. მიმართეთ „სამთო ქიმიაში“ ოთარ ალიბეგაშვილს.



**SMS-განცხადებები - 3090**

**იყიდება**

❖ **2-სართულიანი საკუთარი სახლი, ორივე სართული იზოლირებული, რემონტით, ცენტრალური გათბობით, 260 კვ.მ, სარდაფი – 130 კვ.მ, ეზო აუზით – 400 კვ.მ. თემქის დასაწყისში, უნივერსამის უკან. ფასი: 190 000. ნატო. 60-31-66, 855-02-22-05.**

**განცხადებები**

● სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად, გარანტიით განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების ანთებას, პროსტატიტს, ხშირ შარდვას ღამით და დღისით, წვას, ტკივილს, პოტენციის დაქვეითებას, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, წყლულებს, შეუხორცებელ ჩირქოვან ჭრილობებს, კიდურებში სიცივესა და დაბუჟებას, რადიკულიტს, ოტიტს, ფარინგიტს, ცისტიტს, ლარინგიტს, თავის ტკივილს, დაყუჟილობას, მასტიტს, ოოფორიტსა და სხვა ანთებებს. ყოველ პროცედურაზე გადასახადის ოდენობა განისაზღვრება თითოეული პაციენტისთვის ინდივიდუალურად. მისამართი: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. დამიკავშირდით წინასწარ. ტელ: 899 97 85 46 რეაბილიტოლოგი ლევან სეხნიაშვილი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 899-25-44-14 ან 34-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.



**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ზურა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ... ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

# ფიფას კვლავ ბლატერი უთავკაცებს

ფიფა-ს რიგით 61-ე კონგრესზე ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში, ერთადერთმა კანდიდატმა, ზეპ ბლატერმა გაიმარჯვა.

ბოლო დღეებში ცნობილი გახდა, რომ 75 წლის შვეიცარიელი, ფიფა-ს პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატი იქნებოდა. მართალია, საპრეზიდენტო არჩევნებამდე მცირე ხნით ადრე, აზიის კონფედერაცია ხმის მიცემის პროცედურისთვის ბოიკოტის გამოცხადებით იმუქრებოდა, ხოლო ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია არჩევნების გადადებას ითხოვდა, მაგრამ საბოლოოდ, ყველაფერმა მაინც ექსცესების გარეშე ჩაიარა და ბლატერი კიდევ 4 წლით აირჩიეს მსოფლიო ფეხბურთის მმართველი ორგანოს პრეზიდენტად. 203 დელეგატიდან, ფიფა-ს ეთიკის კომიტეტის მიერ ცოტა ხნის წინათ გამართლებულ ბლატერს, ხმა 186-მა მისცა.

თუმცა, შესაძლოა, ბლატერმა დადგენილ ოთხი წელიწადი აღარ ჩაამთავროს და უკვე 2013-ში პოსტს უეფა-ს თავკაც მიშელ პლატინის დაუთმობს.

აღნიშნულ ვერსიას რამდენიმე საინფორმაციო სააგენტო ავრცელებს და იმასაც დასძენს, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ფიფა-სა და უეფა-ს შორის აქტიური მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს. შეთანხმების შემთხვევაში კი, ინგლისისა და შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციები, რომლებიც საპრეზიდენტო არჩევნების მოგვიანებით ჩატარებას ითხოვენ, თავიანთ პრეტენზიებზე უარს იტყვიან.

# როჯერ ფედერერი ჟურნალისტებს საყვედურობს



**დღეს, პლანეტის ყველაზე ტიტულოვანი ჩოგბურთელი როჯერ ფედერერი, საფრანგეთის ღია პირველობაზე სერბ ნოვაკ ჯოკოვიჩთან ნახევარფინალურ მატჩს ჩაატარებს. შვეიცარიელს ერთ-ერთმა გერმანულმა გაზეთმა ინტერვიუ ჩამოართვა, განტვირთვის მიზნით, მას მომავალ შეხვედრაზე არაფერი ჰკითხა და მკითხველისთვის კორტს გარეთ მყოფი როჯერის უკეთ გაცნობა სცადა.**

***— ჩოგბურთის შემდეგ ყველაზე მეტ დროს რას უთმობთ?***

— რასაკვირველია, ოჯახს. ახლობელ ადამიანებთან ურთიერთობა ჩემთვის უმნიშვნელოვანესია. შეძლებისდაგვარად, დიდ დროს ვუთმობ მშობლებთან, მირკას მშობლებთან, მეუღლესა და შვილებთან ურთიერთობას. ძალიან მიყვარს მეგობრებთან ერთად დროის გატარებაც.

***— რა გასწავლათ პროფესიულ სპორტში ყოფნამ ისეთი, რასაც სხვა შემთხვევაში ვერ აითვისებდით?***

— ჩოგბურთელობამ დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვის გადატანის უნარი შემძინა. სხვა პროფესია რომ ამერჩია, არ მგონია, საკუთარი ემოციის კონტროლი შემძლებოდა, ბევრი მემოგზაურა და უამრავი საინტერესო ადამიანი გამეცნო.

***— თავად თუ ახერხებთ სპორტულ მატჩებზე დასწრებას?***

— როგორც კი ამის საშუალება მაქვს, სტადიონზე ან დარბაზში მივდივარ. ბოლოს ორი ბრწყინვალე საკალათბურთო სპექტაკლი ვიხილე. როდესაც ბევერლი-ჰილზში ვიყავი, „ლეიკერსის“ თამაშს დავესწარი, ფლორიდაში მოგზაურობისას კი, „მაიამი ჰიტის“ მატჩი ვიხილე. თამაშს თვალი დაბალი რიგიდან მივადევნე და უნდა ვთქვა, რომ პარკეტის სიმაღლიდან კალათბურთის ყურება ძალიან საინტერესო და მიმზიდველია. ბევრ რამეს უფრო კარგად ხედავ, ვიდრე მაღალ რიგებში ჯდომისას.

***— ბევრს მოგზაურობთ. თქვენი საყვარელი ადგილი რომელია?***

— მიუხედავად იმისა, რომ შვებულებას სამშობლოში არ ვატარებ, შვეიცარიას პლანეტაზე ვერც ერთი ადგილი ვერ შეედრება.

***— შვეიცარიის მმართველი რომ იყოთ, რას შეცვლიდით?***

— ჩემი სამშობლო ისეთი მომწონს, როგორიცაა. მხოლოდ ერთ დეტალზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას. მაიამიში ან დუბაიში საღამოს ცხრა საათზე რესტორანს „ჩვეულებრივი მოკვდავი“ რომ ესტუმროს, თავისუფალი ადგილების არარსებობის გამო უარით გაისტუმრებენ, აი, რომელიმე ვარსკვლავისთვის კი მაგიდა ყოველთვის „შენახული“ აქვთ. შვეიცარიაში ასეთი რამ არ მოხდება — თუკი თუნდაც ერთი სკამი თავისუფალია, უარს არავის ეტყვიან.

***— ზემოთ აღნიშნეთ, რომ უამრავი ადამიანი გაიცანით. კიდევ რომელ პიროვნებებთან ისურვებდით კონტაქტს?***

— ნელსონ მანდელას, მუჰამედ ალის და მაიკლ ჯორდანს სიამოვნებით გავიცნობდი. ისე კი, პოპულარობის ნიშნით ადამიანების დაყოფა არ მიყვარს. „უბრალო მოკვდავთა“ შორისაც მრავლად შემხვედრია ფრიად საინტერესო ადამიანები.

***— ყველაზე მეტად რა გაღიზიანებთ?***

— ბოროტება. ნუ მიწყენთ და, საყვედური თქვენ კოლეგებს მინდა ვუთხრა. პლანეტაზე ყოველდღიურად ბევრი ტრაგედია ხდება და აქცენტი უპირველესად მათ გაშუქებაზე კეთდება. ჩემი აზრით, ეს არასწორია.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ნიგერია-არგენტინა | 4:1 |
| უკრაინა-უზბეკეთი | 2:0 |
| კანადა-ეკვადორი | 2:2 |
| გვატემალა-ვენესუელა | 0:2 |
| მექსიკა-ახ.ზელანდია | 3:0 |
| ეჩ-2013 | (21) |
| სან მარინო-ბოსნია | 0:3 |

**ამხანაგური მატჩები (21)**

| | |
|---|---|
| კოლუმბია-პორტუგალია | 1:1 |
| კოტდივუარი-იტალია | 0:2 |

**ამხანაგური მატჩი (18)**

| | |
|---|---|
| შვედეთი-პოლონეთი | 1:0 |

**აშშ. მლს**

| | |
|---|---|
| ჩივასი-ვანკუვერი | 1:1 |

**ბრაზილია. თასი**

**ფინალი პირველი მატჩი**

| | |
|---|---|
| ვასკუ-კურიტიბა | 1:0 |

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

### წყალბურთი

**საერთაშორისო ტურნირი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| უნგრეთი-აშშ | 8:10 |
| საბერძნეთი-ავსტრალია | 11:14 |
| რუსეთი-ყაზახეთი | 23:3 |

### ფრენბურთი

**საერთაშორისო ტურნირი**

**ქალები**

| | |
|---|---|
| კუბა-ჰოლანდია | 3:0 |

### ჩოგბურთი

**როლან გაროსი**

| | |
|---|---|
| აზარენკო-ლი | 5:7;2:6 |
| შარაპოვა-პეტკოვიჩი | 6:0;6:3 |

**კაცები**

| | |
|---|---|
| მიურეი-ჩელა | 7:6;7;5;6:2 |
| ნადალი-სოდერლინგი | 6:4;6:1;7:6 |

### ჰოკეი

**ნჰლ. პლეი-ოფი**

**ფინალი 4 მოგებამდე**

| | |
|---|---|
| ვანკუვერი-ბოსტონი | 1:0 |
| სერიის ანგარიში | 1:0 |

# იაპონიამ სასწავლი მიგვანიშნა

საქართველოს ნაკრებმა 20-წლამდე მსოფლიოს ჩემპიონატის ლაფაზე ჯგუფის ბოლო მატჩი წააგო და ახლა მხოლოდ მე-3 ადგილისთვის იბრძოლებს. იაპონელებმა აშკარად ჩვენზე მეტი განსწავლულობა გამოიჩინეს რაგბიში და თითქმის ყველა კომპონენტში დაგვჩაგრეს — პირველ რიგში ტაქტიკურად.

იაპონიამ თავგანწირული დაცვა ითამაშა, ქართულ ძალას ჭკუა დაუპირისპირა და შედეგიც მიიღო. მეტოქემ მთლიანად შეგვიზღუდა სივრცეები, სისწრაფესა და ბურთის გაშლაშიც გვაჯობა.

საწყისი 10 წუთის შემდეგ, იაპონია 11:0-ს იგებდა — ნაკამურას ორ ჯარიმას, იაპონელებმა შეტევა თა მარცხენა ფლანგზე დაიწყეს, შემდეგ ლიიმ, ცენტრისკენ გაიწია, მერე ბურთი მარჯვნივ ჩათამაშდა და ჰიკოსაკამ ალამთან ლელო დადო. რეალიზაცია არაზუსტი იყო.



ნელ-ნელა საქართველოს ნაკრები გონს მოეგო. მე-16 და 28-ე წუთებზე, ბახვა კობახიძემ ქართველები თამაშში დააბრუნა, თუმცა, იაპონელებმა მალევე ჯარიმით უპირატესობა 8 ქულამდე გაზარდეს. ამას, აზიელთა ზედიზედ რამდენიმე დაჯარიმება მოჰყვა და შედეგად, მათი პირველხაზელი ენოკი სინბინით დაისაჯა, კობახიძემ კი ჯარიმით სხვაობა კვლავ ხუთ ქულამდე დაიყვანა და ტაიმიც 9:14 დასრულდა.

დაიწყო მე-2 ტაიმი და საქართველოს ნაკრებმა პირველზე უფრო შესამჩნევი ტერიტორიული უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ მეტოქის 22-ში შესვლასაც ვერ ახერხებდნენ. მეტოქე კი, ბურთი ფეხის კარგი დარტყმით ჩვენს ნახევარზე გადაჰქონდა და ყველაფერი თავიდან იწყებოდა. აქ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჯარიმების გამოყენებას, მაგრამ დაძაბულობამ კობახიძეზეც იმოქმედა და მანაც 2 გასატანი ჯარიმა გააფუჭა.

53-ე წუთზე, იაპონია საქართველოს ნახევარზე გადავიდა, დერეფანი მოიგო, მოლი დააყენა, წინ წაიწია, მერე ბურთი ფლანგზე გაათამაშეს და ჰანომ თავისი გუნდის მე-2 ლელო გაიტანა, ნაკამურამ კი რეალიზაცია გამოიყენა.

ქართველთა რაქიდან მოკლე დარტყმებმა შედეგი ერთხელ მოიტანა, როდესაც ამ ყველაფერს გაგოშვილის გარღვევა, მერე ბურთის მარცხენა ფლანგზე გადატანა და ნავროზაშვილის ლელო მოჰყვა, მაგრამ მჭედლიშვილს რეალიზაცია გაუფუჭდა. მიუხედავად ამისა, ანგარიში ერთ გარდასახულ ლელომდე დავიდა და იმედი გაჩნდა, თუმცა, იაპონიამ შანსი ხელიდან არ გაუშვა და ხუთ წუთში ჯარიმით უპირატესობა ათ ქულამდე გაზარდა.

რაც უფრო ცოტა დრო რჩებოდა, ქართველთა შეტევები მით უფრო უსუსურ ხასიათს იღებდა, ჰოდა, ყველაფერი 77-ე წუთზე დასრულდა, როდესაც იაპონიამ მეორედ შეძლო კარგი მოლის დაყენება. ამჯერად, ჰიკოსაკამ ჩათვლის მოედნამდე იარა და შეხვედრას ლოგიკური წერტილი დაუსვა — 29:14 იაპონიის სასარგებლოდ.

— გვეგონა, რომ ძალისმიერი თამაში ჩვენი კოზირი იქნებოდა, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. იაპონია შერკინებაში ვერ დავჩაგრეთ, მოლში აქეთ გვაჯობეს, ჩვენი გათვლები არასწორი აღმოჩნდა და სამწუხაროდ, გადამწყვეტ შეხვედრაში დავმარცხდით. ნამდვილად არ ველოდი, იაპონია მოლსა და შერკინებაში ჩვენზე ძლიერი რომ იქნებოდა. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, ჩვენზე ძლიერ გუნდთან დავმარცხდით — მათ ეს გამარჯვება დაიმსახურეს. ვეცდებით, ურუგვაისთან მატჩისთვის განწყობა შევიქმნათ და მოსაგებად ვითამაშოთ, თუმცა, ამის გაკეთება იოლი არ იქნება, — განაცხადა ნამატჩევს საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა პაატა ნარიმანაშვილმა.

საქართველოს ნაკრებმა ეს მატჩი ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ბახვა კობახიძე, ზურაბ ძნელაძე, ვანო გაბროშვილი (გიგა გაგოშვილი 58), გიორგი მარგიანი (უჩა მჭედლიშვილი 41), გიორგი აბრამიძე, ლუკა კვარაცხელია, ჯიმი ლამბაშიძე (რამაზ ჯინაშვილი 73); ზურაბ ჟვანია (ზაზა ნავროზაშვილი 41), ირაკლი ჩომახაშვილი (მერაბ მატკავა 41), ლევან ჩილაჩავა (ზურაბ ჟვანია 71), ბექა ბიწაძე, კოტე მიქაუტაძე (გიორგი ჟღენტი 58), გიგა თხილაიშვილი, გიორგი ტყეშელიაძე, დავით ლოსაბერიძე (ნიკოლოზ ჩხიკვაძე 55).

ფინალში იაპონელთა მეტოქე სამოა იქნება, რომელმაც რუსეთს თავიდან 2 ლელო კი გაუტანა, მაგრამ მერე სლავებმაც მოინდომეს, ჩამორჩენა შეამცირეს და მეტოქე დააბნიეს. სამოელები იქამდე მივიდნენ, რომ ჯარიმების კარში დარტყმები იკადრეს. უნდა ითქვას, რომ ამ პერიოდში რუსებმა 3 გასატანი ჯარიმა გააფუჭეს და მართალია, 50-ე წუთზე, ლელო-გარდასახვით სხვაობა ერთხელაც შეამცირეს — 14:21, მაგრამ ძალა აღარ შერჩათ და სამოამ ჩვეულად გაილაღა, კიდევ 5 ლელო გაიტანა და დიდი უპირატესობით — 50:14 იმარჯვა.

რუსეთის მარცხით იხეირა ურუგვაიმ, რომელსაც ბ ჯგუფში დამსახურებული მე-2 ადგილი შერჩა და მსოფლიო თასის „ალაფაზე“ პრესტიჟულ მე-3 ადგილს საქართველოს შეეცილება. ურუგვაიმ ამერიკის ნაკრებს ყველაფერში აჯობა, პირველ ტაიმში ერთგვარი წინააღმდეგობის მიუხედავად, უპირატესობა თავიდანვე მოიპოვა, მერე ის მეთოდურად გაზარდა და 33:5 იმარჯვა.

ა ჯგუფის აუტსაიდერებში კარგა ხანს უქულო ბურთაობა მიდიოდა. კანადამ ლელოთი ანგარიში მხოლოდ 30-ე წუთზე გახსნა და რეალიზაციაც გამოიყენა, მაგრამ შესვენებამდე ზიმბაბვემ ჯარიმა და ლელო მიითვალა და ტაიმი 8:7 მოიგო. მე-2 ნახევარში, კანადელთა უპირატესობა გამოიკვეთა და მიუხედავად აფრიკელთა წინააღმდეგობისა, 49:23 იმარჯვა, რის შედეგადაც რუსეთს მე-5 ადგილისთვის დაეჭიდება, ზიმბაბვე კი აშშ-ს, ბოლოსწინა, მე-7 საფეხურს შეეცილება.

**ა ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ურუგვაი-აშშ | 33:5 |
| სამოა-რუსეთი | 50:14 |

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სამოა | 3 | 3 | 0 | 0 | 135:31 | 15 |
| 2.ურუგვაი | 3 | 2 | 0 | 1 | 72:47 | 9 |
| 3.რუსეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 61:119 | 5 |
| 4.აშშ | 3 | 0 | 0 | 3 | 52:123 | 2 |

**ბ ჯგუფი**

| | |
|---|---|
| კანადა-ზიმბაბვე | 49:23 |
| საქართველო-იაპონია | 14:29 |

**საბოლოო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იაპონია | 3 | 3 | 0 | 0 | 96:53 | 14 |
| 2.საქართველო | 3 | 2 | 0 | 1 | 102:57 | 10 |
| 3.კანადა | 3 | 1 | 0 | 2 | 73:91 | 5 |
| 4.ზიმბაბვე | 3 | 0 | 0 | 3 | 66:136 | 0 |

**5 ივნისი. კვირა.**

VII ადგილისთვის. „შევარდენი“

აშშ-ზიმბაბვე

V ადგილისთვის. „ავჭალა“

რუსეთი-კანადა

III ადგილისთვის. „ავჭალა“

საქართველო-ურუგვაი

ფინალი. „ავჭალა“

სამოა-იაპონია

# ბილიჩმა ვარიანტები ჩამოწერა

საქართველოს ნაკრები დღეს, ხორვატიის ქალაქ სპლიტში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს ითამაშებს ადგილობრივ გუნდთან. ხორვატიის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სლავენ ბილიჩმა, რომელსაც კარგად ახსოვს თბილისურ მატჩში განცდილი მარცხის სიმწარე, განაცხადა, რომ ქართველებთან შეხვედრის წინ ყველაფერი გათვალა და საჭიროების შემთხვევაში, შემადგენლობის სათადარიგო ვარიანტებიც შემონახული აქვს.

— ბედის ანაბარა არაფერი იქნება დატოვებული. ჩვენ ბ და ც ვარიანტებიც გვაქვს. რაც მთავარია, ორივე ერთნაირად კარგია. ამიტომ, სერიოზულ პრობლემებს არ ველით, — განაცხადა ბილიჩმა.

ვარჯიშებზე უკვე სრულად იტვირთება დანიელ პრანიჩი, რომელსაც ფეხი აწუხებდა და თუ რაიმე პრობლემა არ შეექმნა პარასკევს ქართველების წინააღმდეგ ითამაშებს.

იმ შემთხვევაში თუ პრანიჩს ფეხი მაინც შეაწუხებს, მაშინ დაცვის მარცხენა ფლანგზე ვედრან ჩორლუკა ითამაშებს, ხოლო ცენტრალურ მცველად დეიან ლოვრენს განაწესებენ.

ხორვატული მასმედიის ცნობით, თბილისში წაგებულ (0:1) მატჩთან შედარებით, მომავალი დაპირისპირების წინ ბილიჩმა ძირითად შემადგენლობაში შვიდი ცვლილება განახორციელა და ამჯერად სასტარტოში მხოლოდ რუნიე, სრნა, მოდრიჩი და ჩორლუკა იქნებიან.

და ერთიც: როგორც იქნა, ერთმა ხორვატმა ფეხბურთელმა მაინც დაახასიათა საქართველოს ნაკრები ღირსეულ გუნდად და დღევანდელ მატჩს წინასწარ მოგებულად არ თვლის. ეს ქართველთა დამფასებელი კაცი მეკარე ვედრან რუნიეა, რომელიც თბილისური შეხვედრის მსგავსად, ალბათ, სპლიტშიც ძირითადი გოლკიპერი იქნება.

— ეს ფეხბურთია და ხდება ხოლმე. ბოლო წუთზე ქართველი ფეხბურთელის დარტყმული დეიან ლოვრენს შეეხო, მიმართულება შეიცვალა და კარში აღმოჩნდა. რაც შეეხება სპლიტის მატჩს, ჩვენს ნაკრებში მშვენიერი ატმოსფეროა და ყველას გვესმის თამაშის მნიშვნელობა. შეცდომის დაშვების უფლება არ გვაქვს, ამიტომაც აუცილებლად უნდა მოვიგოთ. არ უნდა ვიჩქაროთ, ჩვენი სიძლიერე და უპირატესობა თამაშის განმავლობაში უნდა დავამტკიცოთ. ბევრი ფეხბურთელი გვყავს, რომლებიც გასულ სეზონში მშვენივრად გამოიყურებოდნენ: ივან პერიშიჩი ბელგიის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე გახდა, ნიკო იელავიჩმა პირველი წელი გაატარა „გლაზგო რეინჯერსში“ და ბევრი გოლი გაიტანა, მარიო მანჯუკიჩი მშვენივრად ათამაშდა „ვოლფსბურგში“ ფელიქს მაგათის მისვლის შემდეგ, ედუარდო ყოველთვის ძლიერია... იმედია, ამ ფეხბურთელებიდან ერთ-ერთს მაინც ექნება ბრწყინვალე დღე. მეტოქე ჩვენს მშვენიერ ცისფერ ზღვაში საცურაოდ არ მოდიან. საქართველოს ნაკრები ამბიციურია და ცხრილიდანაც ჩანს, რომ ჯგუფიდან გასვლის შანსი აქვს. დარწმუნებული ვარ, უპირველესად საკუთარი კარის შენარჩუნებაზე იზრუნებენ და მხოლოდ შემდეგ იფიქრებენ გოლის გატანაზე, — განაცხადა რუნიემ.

ხორვატების სავარაუდო სასტარტო შემადგენლობა კი ასეთი უნდა იყოს: რუნიე, სრნა, ჩორლუკა, შიმუნიჩი, პრანიჩი, ვუკოევიჩი, მოდრიჩი, მანჯუკიჩი, ედუარდო, პერიშიჩი, ელავიჩი.

# მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე 70 წლისაა

ეკა ირემაშვილი

თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულმა სასახლემ 70 წლის იუბილე გრანდიოზულად აღნიშნა. სასახლეს ესოდენ მნიშვნელოვანი თარიღის მისალოცად 14 ქვეყნის საპატიო დელეგაცია ეწვია და არსებობის 70 წელი მიულოცა. იუბილე მიულოცა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეს თბილისის მერიამაც.

იუბილესთან დაკავშირებით მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში კონცერტი გაიმართა, რომელშიც სასახლის შემოქმედებითმა კოლექტივმაც მიიღო მონაწილეობა. ღონისძიებას ის ადამიანები ესწრებოდნენ, რომლებიც წლების წინ სასახლეში სწავლობდნენ.

სასახლეში შეიკრიბნენ პოლიტიკოსები, მწერლები, ცნობილი ტელე სახეები, მომღერლები, ანუ ისინი, ვინც სასახლეში აღიზარდა. საზეიმო ცერემონიალი ქართული ხმების სიმღერით გაიხსნა. მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე 1941 წელს დაარსდა და მას შემდეგ ათეული წელია მომავალ თაობებს სხვადასხვა მიმართულებით აძლევს განათლებას და მათ პიროვნებებად ჩამოყალიბებაში ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტ როლსაც თამაშობს.

**გია შალამბერიძე, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის დირექტორი:**

— ჩვენ დიდი სტუმრიანობა გვაქვს. ამ სასახლეში საქართველოს წარმატებული და ნიჭიერი თაობა აღიზარდა. მის იუბილეზე კი აქ შეიკრიბა ყველა ის ადამიანი, ვინც 70 წლის განმავლობაში სასახლეში დადიოდა. ისინი ძალიან წარმატებულები არიან თავიანთ საქმიანობაში. მათ ჩვენი ქვეყნისა და ქალაქის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უკავიათ თავისი ნიჭისა და ტალანტის წყალობით. ეს ამ სასახლის ღირსება და სიამაყეა. მოხარული ვარ, რომ სასახლემ ამდენი ნიჭიერი და ღირსეული ადამიანი აღზარდა. ეს სასახლე ნამდვილად დიდ როლს ასრულებს ჩვენი მომავალი თაობების პიროვნებებად ჩამოყალიბებაში.

**მამუკა ქაცარავა, დედაქალაქის მერიის ჯანდაცვის, სოციალური მომსახურებისა და კულტურის სამსახურის უფროსი:**

— მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის იუბილეს ძალიან ბევრი ღვაწმოსილი ადამიანი დაესწრო, მათ შორის 14 ქვეყნის წარმომადგენლებიც არიან. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ 70 წლის განმავლობაში, ამ სასახლემ ბევრი ღირსეული ქართველი გამოზარდა. მათ შორის არიან პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწეები, მომღეროლები, მოცეკვავეები, ქორეოგრაფები. ეს ტრადიცია კი დღესაც გრძელდება. მომავალ თაობებს აქ მოღვაწე პედაგოგები ბავშვების მუსიკალურ, შემოქმედებით, ინტელექტუალურ, ესთეტიურ, სპორტულ აღზრდას ეწევიან, რაც დიდ როლს ასრულებს ჩვენი მომავალი თაობების აღზრდასა და სრულფასოვან პიროვნებებად ჩამოყალიბებაში.



**გიორგი თარგამაძე, პოლიტიკოსი:**

— შეიძლება ბევრს გაუკვირდეს, რასაც ვიტყვი, მაგრამ ეს სიმართლეა — ეს სასახლე ჩემი მეორე სახლია, თუმცა არის მომენტები, როცა შეიძლება პირველიც კი იყოს. ამ სასახლემ ჩემს მშობლებთან ერთად გამზარდა. თუკი სიტყვა აღზრდა მიესადაგება საქართველოში რომელიმე საალმზრდელო დაწესებულებას, ეს ჩემი მშობლიური სასახლეა. შეიძლება ბევრს მოვწონვარ, ბევრს კი არა, ეს სხვა საკითხია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ აქაურობა ჩემი ოჯახია და ჩემს პიროვნებად ჩამოყალიბებაში, სწორედ მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლემ დიდი როლი ითამაშა.

# სამხრეთკორეელი სამხედროები წვრთნისას სამიზნეებად ჩრდილოეთ კორეის ლიდერების ფოტოებს იყენებდნენ




სამხრეთ კორეის მთავრობის განცხადებით, ხელისუფლების წარმომადგენლების სამხრეთკორეელ სამხედროებს პოლიგონებზე წვრთნების დროს სამიზნეებიდან ჩრდილოეთ კორეის ლიდერისა და მისი ოჯახის წევრების ფოტოსურათების მოხსნის თხოვნით მიმართეს.

სამხრეთკორეელმა სამხედროებმა მანამდე აღიარეს, რომ წვრთნების დროს სამიზნის სახით ისინი ჩრდილოეთ კორეის ლიდერის, კიმ ჩენ ირის, მისი მამის, კიმ ირ სენისა და უმცროსი ვაჟის, კიმ ჩენ უნის ფოტოებს იყენებდნენ.

ადგილობრივმა პრესამ გამოაქვეყნა ფოტოები, რომელზეც ჩრდილოეთკორეელი ლიდერების ფოტოები მოჩანს.

ეს ინფორმაცია ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის ურთიერთობის გამწვავების მორიგ ეტაპს დაემთხვა.

რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ სამიზნეების შერჩევის საკითხებს საბრძოლო შენაერთების მეთაურები თავად წყვეტენ. მოგვიანებით სამთავრობო სტრუქტურების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ყველა სამხედრო შენაერთი მსგავსი პრაქტიკის შეწყვეტის განკარგულებას მიიღებს, ანუ ჩრდილოეთ კორეის ლიდერისა და მისი ოჯახის წევრების ფოტოებს სამიზნეებად არ გამოიყენებენ.

ადგილობრივი პრესის ინტერვიუში ერთ-ერთი შენაერთის მეთაურმა განაცხადა, რომ ამ პრაქტიკას ჯარისკაცების საბრძოლო სულისკვეთების ამაღლების მიზნით მიმართავდნენ. სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის ურთიერთობა ბოლო დროს საგრძნობლად გაუარესდა. ამას ხელი შეუწყო 2010 წელს მომხდარმა ორმა სერიოზულმა ინციდენტმა.

გასული წლის მარტში ორი კორეის საზღვაო საზღვრის მახლობლად სამხრეტკორეული კორვეტი „ჩჰონანი" ჩაიძირა. დაიღუპა ეკიპაჟის 46 წევრი. ნოემბერში კი ჩრდილოეთ კორეის შეიარაღებულმა ძალებმა ცეცხლი გაუხსნეს სამხრეთ კორეის კუნძულ იონპჰენდოს, რის შედეგადაც ოთხი ადამიანი დაიღუპა.

# შერონ სტოუნი თბილისში ჩამოვა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ეს არის 2011 წლის მხატვრული ფილმი, რომელიც ასახავს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს. ფილმის რეჟისორი და თანაპროდიუსერია ფინური წარმოშობის ამერიკელი რეჟისორი ლაური მაურიც ჰარიოლა, რომელიც უფრო ცნობილია როგორც რენი ჰარლინი. გადაღებები დაიწყო 2009 წლის ოქტომბერში წალკაში საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით. შესაბამისმა სამხედრო სტრუქტურებმა გადაღების პროცესი სათანადო ტექნიკით უზრუნველყვეს. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა კი გადამღებ ჯგუფს ნება მისცა,გადაღებებისთვის გამოეყენებინათ მისი სამუშაო ოფისი — პრეზიდენტის სასახლე. ფილმის გადაღებები გორში, ვაზიანსა და თბილისში მიმდინარეობდა.

რენი ჰარლინის ფილმში მონაწილეობენ — ენდი გარსია (პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი), რუპერტ ფრენდი (ამერიკელი ჟურნალისტი თომას ანდრესი), იონათან შეხი (ოფიცერი რევაზ ავალიანი), ველ კილმერი (საქართველოში მომუშავე ნიდერლანდელი ჟურნალისტი) და სხვა ქართველი მსახიობები.

ფილმის პრემიერაზე დასწრების გარდა, შერონ სტოუნი იმ საქველმოქმედო ვახშამსაც დაესწრება, რომელიც რუსთაველის თეატრში გაიმართება.

# ინდოეთის დედაქალაქში მიტოვებული ძვირადღირებული მანქანები მომრავლდა




ინდოეთის დედაქალაქში მეტად საინტერესი ვითარება იქმნება — ქალაქის ქუჩებში სულ უფრო და უფრო იზრდება მიტოვებული ძვირადღირებული ავტომობილების რაოდენობა.

ადგილობრივი პოლიცია და საგადასახადო სამსახური იძულებული გახდა ქალაქის ქუჩებში მიტოვებული ძვირფასი ავტომობილები სპეციალურ ავტოსადგომზე გადაეყვანა. გავრცელებული ცნობების თანახმად, ასეთი მანქანების რიცხვმა 40-ს მიაღწია.

მიზეზი ის გახლავთ, რომ ეს ავტომობილები ინდოეთში შეყვანის შემდეგ შეძლებულ მოქალაქეებს „ფასდაკლებით" მიჰიდეს. ეს გარიგება მაღალი რანგის რამდენიმე თაღლითის მიერ არის ორგანიზებული, რომლებმაც დიპლომატიური „ქოლგის" ქვეშ, ადგილობრივი საგადახასადო კანონმდებლობის გვერდის ავლით ინდოეთში არაერთი მოპარული ძვირადრირებული მანქანა ჩაიყვანეს.

ინდოეთის შემოსავლების სამსახურის მოხელეები ეჭვობენ, რომ ამ მაქინაციებში ჩრდილოეთ კორეისა და ვიეტნამის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, ასევე ერთი ბრიტანელი ბიზნესმენი არიან გარეული.

მათ ინდოეთში ავტოსალონების ქსელი შექმნეს, რომლის საშუალებითაც მოპარული ავტომობილების ყიდვა დაიწყეს.

ოთხ-ნახევარი წლის განმავლობაში მათ ინდოეთში ლუქსის კლასის 400-მდე მანქანა გაყიდეს. ამ მანქანებით ძირითადად ინდოეთის პოლიტიკური მოღვაწეები, ბოლივუდის ვარსკვლავები, კრიკეტის ცნობილი მოთამაშეები და ბიზნესმენები სარგებლობენ. თაღლითური სქემის გამოააშკარავების შემდეგ ისინი იძულებული გახდნენ თავიდან მოეშორებინათ ისინი, ან დაემტკიცებინათ, რომ მანქანა კანონიერი გზებით ჰქონდათ შეძენილი. ამის დამტკიცება კი შეუძლებელი ხდება, რადგან მრავალ მათგანს ავტომობილი ძალიან იაფად ჰქონდა ნაჰიდი.

ინდოეთში ლუქსის კლასის ავტომობილებზე მოთხოვნა ძალიან მაღალია და საბაჟო გადასახადი მანქანის ღირებულების 100%-ს შეადგენს. ამის გამო თაღლითები ძვირადღირებულ მანქანებს ინგლისში, საფრანგეთში, იაპონიაში, სინგაპურში იპარავდნენ და შემდეგ დიპლომატიური არხებით ინდოეთში ჩაჰყავდათ ისინი, საბაჟო გადასახადის გადახდის გვერდის ავლით.

საბაჟო სამსახურის მიერ ამ მასშტაბური კონტრაბანდის გამოააშკარავების შემდეგ მფლობელებმა ძვირადღირებული მანქანების ქუჩებში მიტოვება დაიწყეს. ასე გამოჩნდა დელის ქუჩებში 400 ათასი დოლარის პორშე პანამერა, 550 ათასი დოლარის ბენტლი ცონტინენტალ სუპერსპორტი, 450 ათასი დოლარის სტონ მარტინ რაპიდი, რამდენიმე მაზერატი, როლს როისი, ჰამერი, ლამბორჯინი.

კონტრაბანდაში მსხვილი ბრიტანელი დილერი არის ეჭვმიტანილი, ამიტომ ინდოეთის ხელისუფლებმა საქმის გამოძიებაში დახმარების თხოვნით ლონდონს მიმართეს.

ინდოელი დეტექტივები ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტროს და ვიეტნამსაც დაუკავშირდნენ.

ნიუ დელიში მოქმედი ავტოსალონების ქსელის ხელმძღვანელი სუმიტ უოლია მიმდინარე წლის მაისში თაღლითობის, ყალბი დოკუმენტებით მანქანების კონტრაბანდის, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის ბრალდებებით დააკავეს.

გ.თ.

ტესტი

## რამდენად დამოუკიდებელი ხართ

### ტესტის შეკითხვებს უპასუხეთ დიახ, არა, როდის როგორ



1. შესანიშნავად ვიცი, რა ნაკლიც მაქვს, მაგრამ მსურს რომ ახლობლებმა მათ ყურადღება არ მიაქციონ.
2. მიმაჩნია, რომ ყოველი ადამიანი ნებისმიერ ვითარებაში ძლიერი და დამოუკიდებელი უნდა იყოს.
3. როგორც წესი, ვეგუები სიტუაციას, თუ მისი შეცვლა არ შემიძლია.
4. თუ გავცივდი, ვცდილობ, თავს თავად ვუმკურნალო, ექიმს არ მივმართავ.
5. კონფლიქტების შემდეგ, თუ ვხვდები, რომ თავად ვიყავი დამნაშავე, პირველი ვიწყებ შერიგებას.
6. დარწმუნებული ვარ, რომ ალკოჰოლიკები თავად არიან დამნაშავე თავიანთ ავადმყოფობაში.
7. სიყვარულსა და პროფესიულ საქმიანობაში წარუმატებლობის მიზეზებზე ფიქრს მოქმედებას ვამჯობინებ.
8. ხანდახან მგონია, რომ ბედი არ მწყალობს.
9. ყოველთვის ვგრძნობ პასუხისმგებლობას ჩემს ცხოვრებაში მომხდარ მოვლენებზე.

**პასუხები**

**პასუხები შეაფასეთ: როდის როგორ — 0.5 ქულა, დიახ (გარდა 2 და 8) 1 ქულა, არა — 0 ქულა.**

**0-1 ქულა:** თქვენ არამც თუ აძლევთ სხვებს უფლებას, ზეგავლენა მოახდინონ თქვენზე, არამედ თავად ცდილობთ სხვებს დაემორჩილოთ.

**2-3 ქულა:** თქვენი ქცევის აქტივობა და დამოუკიდებლობა თქვენს გუნება-განწყობილებაზეა დამოკიდებული.

**4-5 ქულა:** ყოველთვის დამოუკიდებლად იღებთ გადაწყვეტილების და არც ვინმეზე ცდილობთ ზეგავლენის მოხდენას.

**6-7 ქულა:** ვერ იტანთ, როდესაც ვინმე თქვენზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობთ, მეტად მწვავედ რეაგირებთ.

**8-9 ქულა:** არამც თუ დამოუკიდებლად მოქმედებთ, არამედ ცდილობთ ყველა თქვენს ზეგავლენას დაუმორჩილოთ და თქვენს ნებაზე ატაროთ.

გ. თ.




## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ნიადაგის ზედა ნოყიერი ფენა; 2. ციტრუსოვანი ხილი; 3. სამედიატორო სასამართლო; 4. ბალახოვანი მცენარე, რომლის ფესვებისგან იღებენ წითელ საღებავს; 5. ახლად გამოჩეკილი თევზი; 8. წვრილად დაჭრილი თამბაქოს გამხმარი ფოთლები; 9. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 12. დიდი ებრაული რელიგიური დღესასწაული; 14. ნაბეჭდი ტექსტის ზომის ერთეული; 16. მწერის განვითარების ბოლო სტადია.

**თარაზულად:** 1. გერმანული ლუდი; 6. ძუნწი, წუწურაქი ადამიანი; 7. ქონება, რომელსაც პატარძალს ატანენ მშობლები გათხოვებისას; 9. პოლიტიკური პარტია ისრაელში; 10. ლუდის გამონახარში, ალაოს ლექი; 11. ფულის ერთეული მონღოლეთში; 13. რაჭაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 15. ლექციის, მოხსენების, სტატიის მოკლე შინაარსი; 17. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 18. მომღერალთა გუნდი; 19. გერმანელი მწერალი, დრამატურგი; 20. სეირნობა, სიარული სუფთა ჰაერზე ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად.

შეადგინა თვოვინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. აუდიტი; 2. „ციცკა"; 3. პლაზმა; 4. ფროიდი; 6. ნიმეირი; 9. კუსტო; 11. „ბილაინი"; 15. ნიკოლსონი; 16. კაბურა; 17. „მანიკური"; 19. იპოთეკა; 21. ბრონქსი; 22. „ვაშაში".

**თარაზულად:** 5. მურყვამი; 7. ინდიანა; 8. „კოდაკი"; 10. დუმბაძე; 12. დუვრი; 13. ოპიზა; 14. ბეტანკური; 18. უნაბი; 20. მაჭარი; 23. პაულსი; 24. „ორლი"; 25. „ვერიკო"; 26. „შინი"; 27. ისტორია.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ბატიტი; 2. ხოჭო; 3. ფაქსიმილე; 4. ფარჩა; 5. კაპრიზი; 8. პრერია; 9. ნიკარაგუა; 12. მანეჟი; 14. პუსანი; 16. ობამა.

**თარაზულად:** 1. ბურდუხანი; 6. კალევალა; 7. ტყაპუჭი; 9. „ნესტლე"; 10. დალი; 11. „არაბიკა"; 13. პეპსი; 15. ყაყაჩო; 17. „ბენიასა"; 18. ცეზურა; 19. ტლანქი; 20. ბატარეა.

# ირანის ოპოზიციის აქტივისტი მამის დაკრძალვაზე გარდაიცვალა

ირანის ოპოზიციის აქტივისტი ჰალე საჰაბი მამის დაკრძალვის დროს უშიშროების ძალების თანამშრომლებთან დაპირისპირების შემდეგ გარდაიცვალა.

55 წლის საჰაბი ციხიდან მამის, ირანის პარლამენტის ყოფილი დეპუტატისა და ცნობილი დისიდენტის, ეზათოლა საჰაბის დაკრძალვასთან დაკავშირებით გამოუშვეს.

როგორც ჰალე საჰაბის ვაჟი, იაჰია შამეჰი აცხადებს, უშიშროების ძალებმა სამგლოვიარო ცერემონიალის შეჩერება სცადეს და ამ დროს დედამისს ინფარქტი დაემართა.

„პაპაჩემი რომ გამოვასვენეთ, ატმოსფერო დაიძაბა, — განაცხადა, იაჰია შშმეყის, — უშიშროების ძალების წარმომადგენლებმა ცერემონიალის შეჩერება სცადეს. მათ მიცვალებულს დასტაცეს ხელი და გაიტანეს და ამის შემდეგ დედაჩემმა გონება დაკარგა და წაიქცა. ექიმებმა თქვეს, რომ ინფარქტით გარდაიცვალა“.

ოპოზიციის წარმომადგენლების თქმით, დაკრძალვა ძალიან ადრე, დილის შვიდ საათზე დაიწყო და ეს ხელისუფლებმა მოითხოვეს.

ჰალე საჰაბი ქალთა უფლებებისათვის აქტიური მებრძოლი და მოძრაობის „ქალები მშვიდობისათვის“ აქტივისტი იყო. იგი ხშირად გამოდიოდა მთავრობის კრიტიკით. 2009 წლის აგვისტოში პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჟადის მიერ ფიცის დადების დღეს პარლამენტის წინ დააკავეს. მას სასამართლომ ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მამამისი ეზათოლა საჰაბი 1979 წლის ისლამური რევოლუციის მიერ შექმნილი დროებითი მთავრობის წევრი იყო, მაგრამ თეირანში აშშ-ის საელჩოს დაკავებით უკმაყოფილების ნიშნად გადადგა.

ირანის სახელმწიფო მედიასაშუალებებს მამის დაკრძალვის დროს ჰალე საჰაბის გარდაცვალების ინფორმაციის გავრცელებისას მიზეზების შესახებ არაფერი უთქვამთ.

ოპოზიციის ინტერნეტ საიტებმა გაავრცელეს გარდაცვლილის ძმის, ფერეუტდინ საჰაბის სიტყვები, რომელიც ამტკიცებს, რომ ჰალე საჰაბის უშიშროების ძალების თანამშრომლებმა სასტიკად სცემეს და იგი ამის გამო გარდაიცვალა.

ირანის უშიშროების სამსახურები ოპოზიციის წარმომადგენლების დაკრძალვას წარსულშიც უშლიდნენ ხელს. ასე მაგალითად, ოპოზიციონერ მირ ჰუსეინ მუსავის მამის, მირ ისმაილ მუსავის დაკავებისას ჭირისუფლების ოჯახის ორი წევრი დააკავეს.

# იაპონიამ ცუნამის საფრთხე არასათანადოდ შეაფასა

**გაეროს ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტომ განაცხადა, რომ იაპონიამ არასათანადოდ შეაფასა ის საფრთხე, რომელიც ფუკუსიმას ატომურ ელექტროსადგურს ცუნამის დარტყმის შემთხვევაში ემუქრეობოდა.**

**ამასთან, გაეროს სააგენტომ მაღალი შეფასება მისცა იაპონიის მთავრობის ძალისხმევას, რომელიც მიზნად 11 მარტს მომხდარი მიწისძვრისა და ცუნამის დაზიანების შედეგების ლიკვიდაციას ისახავდა მიზნად.**



გაეროს ატომური ენერგიის სააგენტოს ინსპექტორებმა იაპონიაში ერთი კვირა გაატარეს და ატომურ ელექტროსადგურ ფუკუსიმაზე არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით ანგარიში მოამზადეს.

დოკუმენტის ძირითადი დებულებები იაპონიის მთავრობას წარუდგინეს.

ანგარიშს მთლიანად მიმდინარე წლის ივნისში ვენაში გამართულ შეხვედრაზე წარმოადგენენ. ამ შეხვედრის დროს მსოფლიოში ბირთვული უსაფრთხოების საკითხებს განიხილავენ.

ექსპერტების ჯგუფს, რომლის შემადგენლობაშიც ბრიტანელი, ფრანგი, რუსი და ჩინელი სპეციალისტები შედიოდნენ, დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელი მაიკ უაითმენი ხელმძღვანელობდა.

ინსპექტორებმა საგანგებოდ აღნიშნეს ის მთავარი ნაკლი, რაც მათი აზრით, ატომური ელექტროსადგურის უსაფრთხოების სისტემას გააჩნდა. კერძოდ, არ არსებობდა მოქმედების გეგმა იმ შემთხვევისათვის, თუკი ცუნამის ტალღა ატომური ელექტროსადგურის დამატებით გენერატორებს დააზიანებდა.

იაპონიის მხარე ამ დასკვნას დაეთანხმა.

ფუკუსიმას გარშემო დამცავი კედლის სიმაღლე 6 მეტრზე ნაკლები იყო, ცუნამის ტალღის სიმაღლემ კი 14 მეტრი შეადგინა.

ამჟამად იაპონიაში არსებული 54 ბირთვული რეაქტორიდან მხოლოდ 17 მოქმედებს.

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ანგარიშში გარდა ამისა, ატომურ სფეროში დამოუკიდებელი რეგულატორების როლის შესახებ არის საუბარი.

ასე მაგალითად, იაპონიაში უკმაყოფილება გამოხატავდნენ იმის გამო, რომ ბირთვული უსაფრთხოების სააგენტო მრეწველობის სამინისტროს ნაწილს წარმოადგენდა, რომელიც თავის მხრივ, ბირთვული ენერგეტიკის განვითარებით იყო დაინტერესებული.

იაპონიის პრემიერ-მინისტრის, ნაოტო კანის მრჩეველი გოსი ჰოსონო გაეროს სააგენტოს ანგარიშში მოყვანილ დასკვნებს დაეთანხმა და განაცხადა, რომ მთავრობამ ბირთვული სფეროს რეგულირების სისტემა უნდა გადასინჯოს.

მიმომხილველების თქმით, იაპონიის ხელისუფლებმა თავად მიიწვიეს გაეროს ექსპერტები და ცუნამისა და მიწისძვრის შემდეგ მომხდარი მოვლენების გაანალიზება და დასკვნების გამოტანა სთხოვეს.

მიმდინარე წლის 11 მარტს იაპონიაში მომხდარი მძლავრი მიწისძვრისა და მისი მომდევნო ცუნამის შედეგად 15280 ადამიანი დაიღუპა, 8500 ათასამდე კვლავინდებურად უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება.

# მეზღაპრეები და ხურდა ფულის გამპრიალებლები სასტუმროს პერსონალისათვის

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სასტუმროებში არსებული უჩვეულო მომსახურების რეიტინგში აღმოჩნდნენ პერსონალური მეზღაპრე მოზრდილებისათვის, ხურდა ფულის გამპრიალებელი და იხვების მწყემსი.

იმ სასტუმროების თანამშრომლების აზრით, რომლებიც თავიანთ სტუმრებს ასეთ უჩვეულო მომსახურებას სთავაზობენ, სასტუმროს ავკარგიანობა უპირველეს ყოვლისა პერსონალზე არის დამოკიდებული, პერსონალის საქმიანობა კი მიზნად სტუმრების კომფორტის უზრუნველყოფას უნდა ისახავდეს.

ასე მაგალითად, ლონდონის ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო, „ანდაზ ლივერპულ ა ჰაიატ ჰოთელი“ სტუმრებს დაძაბული დღის შემდეგ დასვენების და მოდუნების იდეალურ საშუალებას სთავაზობს. მდგმურის სურვილისამებრ, სასტუმროს თანამშრომელი მას რომანტიკულ ისტორიას უამბობს დამ ის დაძინებას შეეცდება. ეს მომსახურება ისეთი პოპულარული აღმოჩნდა, რომ ადმინისტრაციამ მეზღაპრეების სახით ცნობილი ჟურნალისტებისა მწერლების მიწვევა გადაწყვიტა.

სტუმრების სულიერ წონასწორობაზე ზრუნავს აგრეთვე ჯორჯიის შტატში მდებარე ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო „ბარნსლი გარდენს რისორთი“. სასტუმროს საშტატო განაწესში არსებობს ფერიის შტატი, რომლის მოვალეობაა ოთახების ვარდის ფურცლებით მორთვა, გარდა ამისა, ნომრებში შამპანურისა და შოკოლადის ჩამოტარება. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფერია ჯადოსნურ კვერთხს არ ფლობს, სასტუმროს სტუმრები მისი მომსახურებით კმაყოფილი არიან.

ინდურ ხუთვარსკვლავიან სასტუმროში, „რამბაღ ფალასში“ სპეციალურად ადიქირავეს ორი ადამიანი, რომელთა მოვალეობასაც სასტუმროს შესასვლელთან მტრედების დაფრთხობა შეადგენს. ამასთან მათ ფრნველების უსაფრთხოებაზეც უნდა იზრუნონ.

ინდოელებისაგან განსხვავდებით, ამერიკული სასტუმრო, „მემფის პიბოდი“ ფრინველების დაფრთხობის ნაცვლად მათი საშუალებით კლიენტების მიზიდვას ცდილობს. ყოველდღიურად დღის 11 საათზე იხვების მწყემსს ფრინველები შადრევნისაკენ მიჰყავს, საღამოს, 19 საათზე კი უკან მიერეკება და შადრევანს ფრინველების შემდეგი სტუმრობისათვის ამზადებს.

ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო „ჰოლიდეი ინ ლანდონ ქენსინთქონ ფორუმი“ თავის სტუმრებს საწოლის გათბობის უნიკალურ მომსახურებას სთავაზობს. საწოლებს სპეციალურ თერმოკოსტიუმებში გამოწყობილი თანამშრომლები ათბობენ, ასე რომ, ამ სასტუმროს კლიენტებს საღამოობით ცივ საწოლში შეძრომის დისკომფორტი არ ემუქრებათ.

თუმცა, როგორც ინტერნეტ საიტი „ჰოთელს დოთ ქომ“ აცხადებს, ყველაზე უჩვეულო მომსახურებას თავის სტუმრებს ოთხვარსკვლავიანი სასტუმრო „ვესთინ სან ფრანსისქო მარქით სთრითი“ სთავაზობს. ჯერ კიდევ 1935 წლიდან აქ არსებობს სასტუმროში შემოსული ხურდა ფულის წმენდისა და გაპრიალების სამსახური.

ამ სამსახურის თანამშრომლების სიბეჯითის წყალობით სასტუმროს სტუმრებს ხურდა ფულის, საკუთარი ხელებისა თუ ხელთათმანების ჰიგიენაზე ზრუნვა აღარ სჭირდებათ.

# სამგლოვიარო განცხადებები



გულრიფშის რაიონის ბაღმარანის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება 1950 წლიდან სკოლის დირექტორის, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის, შრომისა და სამამულო ომის ვეტერანის

**ვარლამ ვლადიმერის ძე მამფორიას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გამოსვენება: შაბათს, 4 ივნისს, 15 საათზე, სამტრედიის ქუჩაზე მდებარე დიდუბის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიიდან.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო სამძიმარს უცხადებს აპარატის თანამშრომელს ბატონ ვლადიმერ მამფორიას მამის, საქართველოს დამსახურებული პედაგოგის

**ვარლამ ვლადიმერის ძე მამფორიას**

გარდაცვალების გამო.

---

შვილიშვილები ეკატერინე, მაკა, მარიკა, მალხაზ ცქვიტარიები, რუსუდან, თამარ კილაბერიები ოჯახებით, არსენ, ნინო მებონიები იუწყებიან საყვარელი ბაბუის

**კონდრატე ილიკოს ძე ქანთარიას**

გარდაცვალებას.

დაკრძალვა: კვირას, 5 ივნისს.

---

ძმისშვილი თამარ მოსაშვილი, ბიძაშვილი ილო მოსაშვილი, რძალი მერი ჩხენკელი, მიხა და გაგა ჩხენკელები, მანანა შევარდნაძე ოჯახებით, ბიძაშვილები, დეიდაშვილები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნანა მოსაშვილი**

პანაშვიდი: 3, 4 ივნისს, 17 საათზე;
დაკრძალვა: 5 ივნისს, 14 საათზე;
მისამართი: ატენის 16, II სადარბაზო, V სართული.

---

ენძელა, დარეჯან, დალი, პეტრე ბერაიები შვილებით, სიძეებითა და შვილიშვილებით მწუხარებას გამოთქვამენ

**კლარა სახეიშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

მეუღლე მარგო ადამია, შვილები ნანული, ნუნუ, ნონა ქანთარიები, და ტანია ცანავა, რძალი როზა ქანთარია, სიძეები გოგი ცქვიტარია, სლავა მებონია, ლონგინოზ კილაბერია, დისშვილები, ძმისშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან მეუღლის, მამის, ძმის, ბიძის

**კონდრატე ილიკოს ძე ქანთარიას**

გარდაცვალებას.

დაკრძალვა: კვირას, 5 ივნისს;
მისამართი: ქ.თბილისი, გლდანულა, კორპუსი 3ა, III სადარბაზო, IV სართული, ბინა 55.

---

სს თბილაბრეშუმი „ცისარტყელა“ მწუხარებით იუწყება საზოგადოების ყოფილი მუშაკის

**როზა მატახერია-ნადარაიას**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

---

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

## პარასკევი 3 ივნისი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00, 02.45** მოამბე **12.30** ავტოპილოტი **13.30** ვაშინგტონი დღეს **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** დამზადებულია საქართველოში **18.30** ჩვენი სამართალი **19.05** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ხუთი და"** **21.55 ფეხბურთი**. **2012** წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი. ხორვატია-საქართველო **23.50** წითელი ზონა **00.50** მხ. ფილმი **"ბატონი ლაზარესკუს სიკვდილი"** **03.40** მოამბე **04.00** მხ. ფილმი **"უძინარი სიეტლში"** (ტ. ჰენკსი)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია **19.00** დოკ. ფილმი "ბრძოლები ჩვენს წელთაღრიცხვამდე" **20.00** მხ.ფ.**"50 პირველი პაემანი"** **01.00** მხ. ფ.**"ცეცხლის ხაზზე"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმწყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** პროფილი **18.45** სერ. **"ავრორა"** **19.45** სერ. **"ელენას მორჩენება"** **21.00** კურიერი **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.00** კომედი შოუ (გან.) **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ.**"ლამაზი სიცოცხლე"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ.**"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** ყოფილი ცოლების კლუბი (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ.**"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **23.00** ღამის შოუ **00.00 შეგირდი** **00.30** მუსიკალური ლიგა (გან.) **01.45** ფლეიბოი იმედზე **02.15** მხ.ფ.**"კატა ცხელ სახურავზე"** (პ. ნიუმენი) (სუბტ.) **04.25** მხ.ფ.**"სახიფათო დავალება"** (ე. ჰოპკინსი) (სუბტ.) **07.15** სერ. **"ბოშები"**

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.20** ფარული კამერა **16.10** სერ. **"ვნებათა მიწა"** **17.10** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **21.00 105** წუთი **22.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **04.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **05.00** მხ. ფილმი

**09.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.30, 23.00** სერ. **"პეტერბურგის საიდუმლოებანი"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. **"მონადირე"** **12.50, 19.30** სერ. **"უკვალოდ"** **15.00** სერ.**"სკოლის მეგობრები"** **18.00** დოკ. ფილმი **19.00** მუსიკა **00.00** მხ. ფილმი

ერთსულოვნება

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.15** სიახლენი **10.35** პატრიარქის მოგზაურობა ჭყონდიდის ეპარქიაში **10.50** დოკ. ფილმი "ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი" **11.05** ჟურნალისტის დღიური **11.30** გზა, რომლითაც ვიარე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"ამბავი ივანე კოტორაშვილისა"** **13.30** კონცერტი – სტეფან გრაპელი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი **"ხევსურული ბალადა"** **17.00** დოკ.ფ."ველური ბუნება" **17.15** დოკ. ფილმი "სტადიონი" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** საქართველო არის ესე **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.25** მხ.ფ.**"წარსული ზაფხული"** **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ.ფ."ფრაგმენტები ტაო-კლარჯეთის ისტორიიდან" **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** კვირიაკე

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**3 ივნისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6658

ევრო —2,3799

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7451

რუსული რუბლი — 0,0593

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 24-2§, ღამით — 16-1§

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 21-26, ღამით — 16-17

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 18-21, ღამით — 8-15

## ამინდის პროგნოზი 3 ივნისისთვის








წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


## ზურაბ ხიზანიშვილი ჯერ ნაკრებზე ფიქრობს



ჯერჯერობით, უცნობია, სად გააგრძელებს კარიერას საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი ზურაბ ხიზანიშვილი. 29 წლის ქართველ მცველს „ბლექბერნთან"□კონტრაქტი დაუსრულდა და შესაბამისად, ამოიწურა „რედინგში" განათხოვრების ვადაც. ამჟამად, „ხიზანა" თავისუფალი აგენტია და ყოველგვარი ფინანსური კომპენსაციის გარეშე შეუძლია გუნდის პოვნა.

თუმცა ქართველი ფეხბურთელი ბრიტანულ მედიასთან საუბარში ამბობს, რომ ჯერ მხოლოდ სანაკრებო მატჩზე ვფიქრობო. ხიზანიშვილს 30 მაისს ინგლისის პრემიერლიგაში გადასასვლელი მატჩი ჰქონდა უელსურ „სუონსისთან" და ინგლისიდან პირდაპირ ხორვატიაში ჩაფრინდა, სადაც საქართველოს ეროვნულ ნაკრებს შეუერთდა.

— ამ დღეებში ჩემი საფიქრალი მხოლოდ ხორვატია-საქართველოს თამაშია. შემდეგ კი, საკლუბო მომავალზე ვიზრუნებ. ჯერჯერობით, გადაწყვეტილი არაფერია და არ ვიცი, სად გაგრძელდება ჩემი კარიერა, — განაცხადა ხიზანამ.

ხიზანიშვილის თქმით, „რედინგმა" ახალი კონტრაქტი შესთავაზა და ამ ეტაპზე, ალბათ, ყველაზე რეალური სწორედ ამ გუნდში დარჩენა იქნებაო. **მ. ჟ.**

## შერონ სტოუნი თბილისში ჩამოვა



ეკა ირემაშვილი

ჰოლივუდის ვარსკვლავი შერონ სტოუნი თბილისში ჩამოვა. იგი 5 ივნისს თბილისის კინოთეატრებში დაგეგმილ „აგვისტოს ხუთი დღის" პრემიერას დაესწრება. მსახიობი ჩვენს დედაქალაქს პრემიერამდე ერთი დღით ადრე ეწვევა და სასტუმრო „რედისონში" დაბინავდება. ჭორები ამ ფაქტთან დაკავშირებით ორი დღის წინ გავრცელდა, თუმცა ამის შესახებ ოფიციალური განცხადება თავად საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რომში ჯო ბაიდენთან შეხვედრისას გააკეთა. როგორც ირკვევა, ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი რენი ჰარლინის ფილმით „აგვისტოს ხუთი დღე" დაინტერესდა.

თბილისში ელოდებიან ფილმის რეჟისორს რენი ჰარლინს და ჰოლივუდის ვარსკვლავებს, ველ ქილმერს და ენდი გარსიას. ამ უკანასკნელმა ფილმში საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის როლი ითამაშა.

თბილისურ პრემიერამდე ფილმი უკვე შეაფასეს კანის კინოფესტივალსა და ვალენსიის სათავგადასავლო ფესტივალებზე. თბილისური პრემიერისთვის დედაქალაქში საგანგებოდ წითელი ხალიჩა გაიშლება, რომელზეც შერონ სტოუნი და ფილმის შემოქმედებითი ჯგუფი გაივლის. საპრემიერო ჩვენება თბილისის გარდა, დიდ ბრიტანეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებშიც არის დაგეგმილი.

გაგრძელება მე-10 გვერდზე


# 30 მაისიდან

# იყიდება

100 წიგნი

„ახალი თაობის" და „საოჯახო ბიბლიოთეკის"

# სუპერპროექტის

ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო




**ტომი 6**

# რიშელიე

**გაზეთი და წიგნი ერთად 8 ლარი**


## ასტროპროგნოზი 3 ივნისისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

**წარმატებული დღეა**

**ვერძი** — ახალი პროექტი დაგაინტერესებთ. **კურო** — სხვებზეც იზრუნეთ, ნუ იქნებით ეგოისტი. **ტყუპები** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კირჩხიბი** — არ დაიგვიანოთ, ის ყოველთვის არ დაგელოდებათ. **ლომი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ქალწული** — სახლში სიახლეა, საინტერესო ამბავია მოსალოდნელი. **სასწორი** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **ღრიანკალი** — ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **მშვილდოსანი** — არ აყვეთ სხვებს, მშვიდად იმოქმედეთ. **თხის რქა** — თქვენი საქმე წინ მიდის, გელით სიურპრიზი. **მერწყული** — არ გადაიღალოთ, თქვენს თავზეც იფიქრეთ. **თევზები** — სახლთან ახლოს იტრიალეთ, შორს ნუ გაემგზავრებით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. პიტნითა და კონიაკით შეზავებული ვისკი ან კონიაკი; 2. სახელმწიფო აფრიკის ჩრდილოეთში; 3. ნავების, იახტების სადგომი ნავსადგური; 4. ინგლისის ნაკრებისა და „ტოტენჰემპოთსპურის" ფეხბურთელი; 6. ქართველ მწერალ არსენ მამულაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 9. სილის გორაკი ზღვის ტბის სანაპიროზე; 11. შვეიცარიელი საზოგადო მოღვაწე „წითელი ჯვრის" საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის ინიციატორი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 15. ნუშისებრი ჯირკვლის ანთება; 16. ინდიელთა ტომის ბელადი; 17. ფილტრიანი სიგარეტი; 19. ელექტრონული წინაღობის საზომი ხელსაწყო; 21. შეყვარებული ქალი ან მამაკაცი; 22. წარმართული რელიგიის მსახური.

**თარაზულად:** 5. მზის სისტემის პლანეტა; 7. კინოთეატრი თბილისში; 8. აღმოსავლური, ხელჩართული ორთაბრძოლის ერთ-ერთი სახეობა; 10. მარტის თვის ქართული სახელწოდება; 12. ლუდის დასაყენებელი ხის კასრი ხევსურეთში; 13. ისტორიული სამთავრო დასავლეთ საქართველოში; 14. გერმანელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 18. ტროპიკული ხილი; 20. ქართული ნაციონალური კერძი; 23. ძველ რომაელთა სამოსი; 24. სქელი მურაბა; 25. ლიტერატურული პრემია ბრიტანეთში; 26. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 27. ინკუბატორში გამოჩეკილი წიწილების გამოსაზრდელი მოწყობილობა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




ლურჯი წითელი ყვითელი შავი